

მ ღ ა ბ ი ო ნ ი

მოკმედი პირნი:

ბესსემენოვი, ვასილი ვასილევიჩი — 58 წლისა, შეძლებული მდაბიო, სამღებრო საამქროს უფროსი.

აკულინა ივანოვნა — მისი ცოლი 52 წლისა.

ბეტრე — ყოფილი სტუდენტი, 25 წლის.

ტატიანა — სკოლის მასწავლებელი, 28 წლის. } — მათი შვილები.

ნილი — ბესსემენოვის აღზრდილი, მემანქანე, 27 წლის.

პერჩიხინი — ბესსემენოვის შორეული ნათესავი, მგალობელი ჩიტე-ბით მოეპტრე, 50 წლის.

პოლია — მისი ქალიშვილი, მკერავი, მუშაობს თჯახებში დლიურ ქი-რაზე, 21 წლის.

ელენა ნიკოლაევნა კრივეცოვა — ციხის ზედამხედველის ქერი-ვი, ცხოვრობს ბესსემენოვის ბინაზე, 24 წლის.

ტიტერევი — მგალობელი.

შიშკინი — სტუდენტი.

} ბესსემენოვებთან მოსადილე მღვმურები.

ცვიტაევა — მასწავლებელი, ტატიანას ამხანაგი, 25 წლის.

სტეპანიდა — მზარეული ქალი.

დედაკაცი ქუჩიდან.

ბიჭი — მღებავი.

ეკიმი.

მოქმედების ადგილი — პატარა პროვინციული ქალაქი.

მორთულობა

ოთახი შეძლებულ მდაბიოს სახლში. მისი მარჯვენა კუთხე ორი ყრუ ტიხარით არის მოკვეთილი. ისინი სწორი კუთხით იჭრებიან ოთახში, ავიწროებენ უკანა პლანს და წინა პლანზე ქმნიან პატარა ოთახს, რომელიც დიდისაგან ხის თაღით არის გამოყოფილი. თაღზე გაბმულია მეთუელი და ზედ ჭრელი ფარდა კიდია. დიდი ოთახის უკანა კედელში — წინაყარში და სახლის მეორე ნახევარში — გასასვლელი კარებია, სადაც მოთავსებულია სამზარეულო და მდგმურების ოთახები. კარებიდან მარცხნივ — უზარმაზარი მძიმე კარადა ქურჭლეულისათვის, კუთხეში სკივრი, მარჯვნივ ძველებური კედლის საათი. საათის დიდი შთაერის მსგავსი ქანქარა ზანტად ქანაობს და, როცა ოთახში სიწყნარება, ისმის მისი უსულგულო ტაკა-ტუკი. მარცხენა კედელში ორი კარია: ერთი გადის ბებრების ოთახში, მეორე — პეტრესთან. კარებს შორის ღუმელია თეთრი შორენკეცით მოპირკეთებული. ღუმელთან ძველი სავარძელი, რომელსაც მუშამბა აქვს გადაკრული, მის წინ დგას დიდი მაგიდა, რომელზედაც სადილობენ, ჩაის სეამენ. იაფფასიანი ვენური სკამები გულისშემომყრელ სისწორითაა გამწკრივებული კედლის გასწვრივ. მარცხნივ კი, სცენის კედელში, დგას მინის კარადა, რომელშიც მოთავსებულია ფერადი კოლოფები, აღდგომის კვერცხები, ერთი წყვილი ბრინჯაოს შანდალი, ჩაის და სუფრის კოვზები, რამდენიმე ცალი ვერცხლის ჭიქა და სირჩები. თაღის იქითა ოთახში, კედელთან მაყურებლის პირდაპირ დგას პიანინო, ეტაჟერი ნოტებით, ხოლო კუთხეში გეჯა ფელოდენდრონი. მარჯვენა კედელში ორი ფანჯარაა. რაფაზე ყვავილებია ჩამწკრივებული. ფანჯარასთან დგას ტახტი, ხოლო მის მახლობლად წინა კედელთან — პატარა მაგიდა.

პირველი მოქმედება

დაახლოებით საღამოს ხუთი საათია. ფანჯრებში შემოდგომის ბინდი იცქირება. ოთახში თითქმის ბნელა. ტახტზე წამოწოლილი ტატიანა წიგნს კითხულობს. პოლია მაგიდასთან რაღაცას კერავს.

ტატიანა — (კითხულობს). „ამოვიდა მთვარე. საოცარი სანახავი იყო, რომ ასეთი პატარა და სევდის ამშლელი, ასე უხვად ჰფენდა დედამიწაზე მომტრედისფერო-ვერცხლისებურ ალერსიან ნათელს“. (წიგნს მუხლებზე დაიდებს). ბნელა.

პოლია — ლამა ავანთო?

ტატიანა — არ არის საჭირო! დავიდალე კითხვით...

პოლია — რა კარგად არის დაწერილი! ასე უბრალოდ... სევდიანად... სულში გწვდება. (პაუზა). საშინლად მინდა ვიცოდე, რით დამთავრდება? დაქორწინდებიან თუ არა ისინი?

ტატიანა — (სინანულით). საქმე ეგ არ არის...

პოლია — მე კი ასეთს არ შევიყვარებდი... არა!

ტატიანა — რატომ?

პოლია — იმიტომ, რომ გულის გამაწვრილებელი კაცია... სულ წუწუნებს... მერყეობს... მამაკაცმა უნდა იცოდეს, რა უნდა აკეთოს ცხოვრებაში.

ტატიანა — (ზმადაბლა). ნილმა კი იცის?

პოლია — (დარწმუნებით). იცის!

ტატიანა — რა?

პოლია — მე... ვერ გეტყვით... ისე უბრალოდ, როგორც თვითონ, მაგრამ ცუდ ადამიანებს... ზოროტებს და ხარბებს — ავი დღე მოეღიით მისგან! არ უყვარს ისინი.

ტატიანა — ვინ არის — ცუდი? და ვინ არის — კარგი?

პოლია — ეს იმან იცის!.. (ტატიანა ღუმს, არ უცქერის პოლიას. პოლია იღიმება, იღებს ტატიანას მუხლებიდან წიგნს). კარგად არის დაწერილი! ძალიან მიმზიდველად... პირდაპირია, სადა და გულწრფელი! აი,

როდესაც ასეთი სათნოებით შემკულ ქალს ხედავ, შენი თავიც უკეთესი გგონია...

ტ ა ტ ი ა ნ ა — როგორი გულუბრყვილო და სასაცილო ხარ, პოლია... მე კი მამბრახებს მთელი ეს ამბავი! არც ყოფილა ქვეყანაზე ასეთი ქალიშვილი, არც ასეთი კარმიდამო, არც მდინარე, არც მთვარე, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა! ყველაფერი ეს მოგონილია. და, საერთოდ, წიგნებში ცხოვრება ისე როდია აღწერილი, როგორც... ეს სინამდვილეშია... აი, ისეთი, როგორიცაა შენი... ან ჩემი ცხოვრება, მაგალითად...

პოლია — წერენ საინტერესო ამბებს. ჩვენს ცხოვრებაში აბა რაა საგულისხმიერო?

ტ ა ტ ი ა ნ ა — (არ უსმენს, ბრაზით). ხშირად მგონია, რომ წიგნებს წერენ ადამიანები... რომელთაც მე არ ვუყვარვარ... და... ნუღამ მეკამათებინან. თითქოს ისინი მეუბნებიან: ეს უმჯობესია, ვიდრე შენ ფიქრობ, ეს კი — უარესი...

პოლია — მე კი მგონია, მწერლები უსათუოდ გულკეთილი ხალხია... ნეტავი მაჩვენა მწერალი!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (თითქოს თავისთვის). აესა და სამძიმოს ისე კი არ ასახავენ, როგორც ეხედავ... არამედ განსაკუთრებულად... ვაზვიადებულად... ტრაგიკულ სახეებში. კარგს, კი ისინი თვითონ თხზავენ. სიყვარულს ისე არავენ უხსნის, როგორც წერენ. არც ცხოვრებაა ისეთი ტრაგიკული... ის მღორედ... ერთფეროვნად მიედინება, როგორც დიდი მღვრიე მდინარე. და როცა მის მდინარებას უცქერი, თვალი გელღება, მოსაწყენი ხდება... გონება გიჩლუნგდება და არც კი გინდა იფიქრო, რისთვის მიედინება!

პოლია — (ფიქრწაღებული იცქირება წინ). ახ, ნეტავი მაჩვენა მწერალი. თქვენ, რომ კითხულობდით, დრო-დრო იმას ვფიქრობდით, ნეტა როგორია ის-მეთქი? ახალგაზრდაა? მოხუცია? შავგვრემანია?..

ტ ა ტ ი ა ნ ა — ვინ?

პოლია — აი, ამის დამწერი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — იგი მკვდარია...

პოლია — ოხ... როგორ მეწყინა! დიდი ხანია? ახალგაზრდა იყო?

ტ ა ტ ი ა ნ ა — შუა ხნისა. ლოთი იყო... არაყს სევამდა...

პოლია — საბრალო... (ააუხა). რად არის, რომ ჭკვიანი ხალხი ლოთობს? აი, ეს ჩვენი მდგმური, მაგალობელი... ხომ ჭკვიანია, მერე და, როგორ სევამს... რათ არის ასე?

ტ ა ტ ი ა ნ ა — ეს ცხოვრება მოსაწყენია და იმიტომ.

პ ე ტ რ ე — (ნამძინარევი გამოდის თავის ოთახიდან). ეს რა უკუნეთია. მანდ ვინ ზის?

პოლია — მე... და ტატიანა ვასილევნა...

პ ე ტ რ ე — მერედა, რატომ სანთელს არ აანთებთ?

პოლია — ნაღვლიანმა ფიქრებმა გავვიტაცა...

პ ე ტ რ ე — ჩემს ოთახში ბებრების მხრიდან ზეითუნის ზეთის სუნი შემოდის... ალბათ ამიტომ იყო სიზმარი ენახე, მიცურავ მდინარეში, წყალი კი კუბრივით სქელია... ცურვა მიმძიმს. არც კი ვიცი საით გავცურო... ნაპირს ვერ ვხედავ. წყალს ჩემკენ მოაქვს რაღაც ნამსხვრევები, მაგრამ როგორც კი ხელს წაგავლებ, ფერფლად იფშენება... დამპალი და ფუტუროა. საოცარი სისულელეა... (სტვენს და დადის). ჩაის დალევის დრო კია...

პოლია — (ლამპას აანთებს). წავალ, ამას მე მოვაწყვსრივებ... (მიდის).

პ ე ტ რ ე — ჩვენი სახლი განსაკუთრებით საღამოობით არის სულის შემხუთავი და პირქუში... ყველა ეს ადამისდროინდელი ნივთები თითქოს იზრდებიან, უფრო დიდრონი ხდებიან, უფრო მძიმე... ოთახიდან ჰაერს აძევებენ და სუნთქვას მიშლიან. (ყარადან ურტყამს ხელს). აი, ეს ახმახი თვრამეტი წელიწადია ამ ადგილას დგას... თვრამეტი წელიწადი... ამბობენ, ცხოვრება სწრაფად მიდისო... ეს კარადა კი ერთი გოჯითაც არ დაძრულა ადგილიდან... პატარაობისას არაერთხელ მიმიხლია შუბლი ამ ციხე-სიმაგრისათვის... და ახლაც თითქოს წინ მელობება. სულელური რაღაცაა... კარადა კი არა რაღაც სიმბოლოა... ეშმაკმა დალანხვროს!

ტ ა ტ ი ა ნ ა — როგორი გულის გამწვრივლებელი კაცი ხარ, პეტრე... შენთვის მავნებელია ასე ცხოვრება.

პ ე ტ რ ე — ეს როგორ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — არსად არ დადიხარ... მხოლოდ ზევით, ლენასთან... ყოველ საღამოს. და ეს ძალიან აშფოთებს ბებრებს... (პეტრე არ უპასუხებს, აქეთ-იქით დადის და სტვენს). იცი, მე ძალიან ვიღლები... სკოლაში ხმაური და უწყვრივობა მქანცავს... აქ კი მყუდროება და წესრიგი. თუმცა ლენას გადმოსვლის შემდეგ თითქოს გამხიარულდა აქაურობა. არა, ძალიან ვიღლები! უქმეები ჯერ კიდევ შორსაა. ნოემბერი... დეკემბერი... (საათი რეკს ექვსჯერ).

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (გამოყოფს თავს ოთახიდან). აკივინდნენ ციკნები. თხოვნა კიდევ არ დაგიწერია?

პ ე ტ რ ე — დავეწერე, დავეწერე!..

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — ძლივს არ მოიცალე... ეხე-ხე! (ჩაიხიხითა და დამბალი).

ტ ა ტ ი ა ნ ა — ეს რა თხოვნაა?

პ ე ტ რ ე — ვაჭარ სიზოვისათვის ფარდულის შეღებვაში ჩვიდმეტი მანეთის და ორმოცდაათი კაპეიკის გადახდევინების შესახებ...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (შემოდის ლამპით). ისევ გაწვიმდა (მიდის კარდასთან, გამოაქვს ჭურჭელი და სუფრას შლის). რალაც აცივდა ჩვენსა. ღუმელი გავახურეთ და მაინც ცივა. ძველი სახლია... ყველგან უბერავს! ხო, ხო, ხო! მამათქვენი კი გაბრაზებულა, ჩემო ბავშვებო... წელი მტეხსო, ამბობს. ისიც დაძველდა... სულ ფათერაკი და უწესრიგობა... ხარჯები... ათასი საზრუნავი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ძმას). გუშინ საღამოს ლენასთან თუ იყავი?

პ ე ტ რ ე — ვიყავი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მხიარულება იყო?

პ ე ტ რ ე — როგორც ყოველთვის... დავლიეთ ჩაი, ვიმღერეთ... ვიკამათეთ...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ვინ ვისთან?

პ ე ტ რ ე — მე — ნილთან და შიშკინთან.

ტ ა ტ ი ა ნ ა — ჩვეულებისამებრ...

პ ე ტ რ ე — ჰო! ნილი აღტაცებულია ცხოვრების მიმდინარეობით. საშინლად მიშლის ძარღვებს... როცა მოჰყვება ქადაგებას სიმხნევეზე, ცხოვრებისადმი სიყვარულზე. სასაცილოა რომ უსმენ, ეს ყველასათვის უცნობი ცხოვრება წარმომიდგება რატომღაც ამერიკელ მამიდის სახით, რომელიც საცაა მოგველინება და აგავსებს ყოველგვარ სიყვითით... შიშკინი კი ქადაგებდა რძის სარგებლობასა და თამბაქოს მავნებლობაზე... მე მამხელდა — აზრთა წყობის ბურჟუაზიულობაში.

ტ ა ტ ი ა ნ ა — სულ ერთი და იგივე...

პ ე ტ რ ე — ჰო, ჩვეულებისამებრ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — შენ... ძალიან მოგწონს ლენა?

პ ე ტ რ ე — რა უშავს... სანდომიანი ქალია... მხიარული...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ჩიტირეკია! ქარაფშუტულად ცხოვრობს! ყოველ ცისმარე დღე სტუმრები — ჩაი და შაქარი... ცეკვა-სიმღერა... პირსაბანი კი ვერ უყიდა! პირს ტაშტში იბანს და წყალს იატაკზე ღვრის... სახლი კი ღვება...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მე კი წუხელ კლუბში... საოჯახო საღამოზე ვიყავი. ქალაქის საბჭოს წევრმა, სომოვმა, ჩემი სკოლის მზრუნველი რომ არის, სალამის ნიშნად თავი ოდნავ დამიკანტურა... მაგრამ, როგორც კი დარბაზში მოსამართლე რომანოვის ხასა შემოვიდა, გაე-

ქანა, თაყვანი სცა, როგორც გუბერნატორის ცოლს, და ხელზე ემთხვია...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — რა უტიფარი ვინმე ყოფილა! იმის მაგიერ, რომ წესიერ ქალიშვილისათვის ხელი მკლავში გაეყარა, პატივი ეცა და დარბაზში ღირსეულად გაეტარებინა, ხალხის წინაშე...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ძმას). არა შენ ეს იფიქრე! მასწავლებელი მაგ ხალხის თვალში გაცილებით ნაკლები ყურადღების ღირსია, ვიდრე ფერ-უმარტილი შეთითხნილი უნამუსო დედაკაცი...

პ ე ტ რ ე — არ ღირს ამ უხამსობაზე ლაპარაკი... თავი უფრო მალლა უნდა დააყენო... მართალია, ის ქალი გარყვნილია, მაგრამ არ ითხუპნება.

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — შენ საიდან იცი? ლოყები ხომ არ აგილოკავს? საკუთარი და დავიჩაგრეს და შენ კი მჩაგრავს ექომაგები...

პ ე ტ რ ე — დედაჩემო! კარგი ერთი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — არა, დედაჩემის თანდასწრებით შეუძლებელია რაიმეზე ლაპარაკი... (კარს იქით, წინაქარში გაისმის მძიმე ნაბიჯის ხმა).

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ჰო-ჰო აკაპასდით და აღრინდით... შენ, პეტრე, ტყუილად რომ დაებოტები ამ ოთახში, გირჩევენია სამოვარი შემოიტანო, თორემ სტეპანიდა გულს მიწყალებს — მძიმეა და ვერ ვეზიდებით...

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — (შემოაქვს სამოვარი, დადგამს იატაკზე სუფრასთან. მერე გაიმართება წელში და დიასახლისს ხენწით მიუბრუნდება). როგორც გენებოთ, მაგრამ მე ისევ უნდა მოგახსენოთ, ამ მაჯლაჯუნის ზიდვა არ შემიძლია, არაქათი არა მაქვს, მუხლები მეკეცება.

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — რა გიყო? შეიძლება მიბრძანო, რომ საგანგებო კაცი დაგიჭიროო სამოვრის საზიდავად?

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — როგორც გენებოთ! აი, მგალობელმა ზიდოს. მისთვის ეს რაა? პიოტრ ვასილიჩ, გეთაყვა, დადგით სამოვარი სუფრაზე. ღმერთი, რჯული, არაქათი არა მაქვს!

პ ე ტ რ ე — აჰა, მოიტა... ეფ!

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — გმადლობთ. (წაიდა).

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — მართლაც, პეტია, უთხარი მგალობელს, იკისროს სამოვრის შემოტანა. რა იქნება...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (დარდიანად ამოიხრებს). ოხ, ღმერთო ჩემო...

პ ე ტ რ ე — შეიძლება ისიც უთხრა, წყალიც ზიდოს, იატაკი დარეცხოს, ღუმელის მიღები დაასუფთაოს და ბარემ სარეცხიც დავიგრიცხოთ?!

აკულინა ივანოვნა — (სინანულით ხელს ჩაიჭნევს). აბა რას ლაპარაკობ? ეს ყველაფერი თავის დროზე კეთდება... სამოვარის შემოტანა კი...

პეტრე — დედაჩემო! რაა ყოველ საღამოს რომ წამოიჭრება ეს საბედისწერო საკითხი, სამოვარი ვინ შემოიტანოს. დამიჯერეთ, ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩება, სანამ მეეზოვეს არ ვიქირავებთ.

აკულინა ივანოვნა — რა ჭირად გვინდა მეეზოვე? ეზოს თვითონ მამაშენი გვის...

პეტრე — და აი ამას წუწურაქობა ეწოდება. წუწურაქობა კი ცუდია, როცა ბანკში...

აკულინა ივანოვნა — ჩუ... ხმა-კრინტი! მამაშენმა არ გამიგონოს, თორემ ბანკს გაჩვენებს! შენი შეტანილია იმ ბანკში ფული?

პეტრე — გამიგონეთ!

ტატიანა — (წამობტება). პეტრე, შენ მაინც გაჩუმდი... მოთმინება მეკარგება!..

პეტრე — (მიუახლოვდება). კარგი, ნუ ყვირი! შენდა უნებურად ჩაებმება კაცი ამ გაუთავებელ კამათში...

აკულინა ივანოვნა — აწუწუნდნენ! დედას ხმას არ ამოაღებინებენ...

პეტრე — ყოველ ცისპარე დღე ერთი და იგივე... ეს კამათი ჭკარტლად და უანგად ედება სულს...

აკულინა ივანოვნა — (თავის ოთახის კარებისაკენ). მამა, კაცო! მოდი ჩაი დალიე...

პეტრე — უნივერსიტეტიდან ჩემი გაძევების ვადა რომ გათავდება, მოსკოვში წავალ და, როგორც წინათ, მხოლოდ ერთი კვირით ჩამოვალ ხოლმე. სამი წელიწადი უნივერსიტეტში ყოფნამ გადამაჩვია ამ სახლსა და წუწურაქობას, მეშხანთრ ფუსფუს... კარგია ცხოვრება მარტო, მშობლიურ საეანის გარეშე...

ტატიანა — მე კი წასასვლელი გზაც არსაით მაქვს...

პეტრე — გეუბნები — წადი, კურსებზე მოეწყე-მეთქი...

ტატიანა — ოხ, რად მინდა კურსები? მე ცხოვრება მინდა, გაიგე... ცხოვრება და არა სწავლა!

აკულინა ივანოვნა — (სამოვრიდან ჩაიდანის ჩამოღებისას, დაწვა ხელი და წამოიკოვლა). აი, დალახეროს ეშმაკმა!

ტატიანა — (ძმას) და მე არც ვიცი, ვერც წარმომიდგენია, რას ნიშნავს ცხოვრება? როგორ უნდა ვცხოვრობდე?

პეტრე — (ფიქრში წასული). ჰო, მოხერხებულად... ფრთხილად უნდა ცხოვრობდე...

ბესსემენოვი — (გამოდის თავისი ოთახიდან, გადაავლებს თვალს შეილებს და სუფრას მიუჯდება). მდგმურებს დაუძახეთ?

აკულინა ივანოვნა — პეტია! ერთი, გეთაყვა... (ბებრე გადის, ტატიანა შიღის მაგიდასთან).

ბესსემენოვი — ისევ დახერხილი შაქარი იყიდეთ? რამდენჯერ მითქვამს?..

ტატიანა — განა სულერთი არ არის, მამაჩემო?

ბესსემენოვი — მე დედაშენს ვეუბნები და არა შენ. ვიცი, შენთვის სულ ერთია.

აკულინა ივანოვნა — ერთი გირვანქა ვიყიდე... თავი შაქარი გვაქვს, ოღონდ დამტვრევა ვერ მოვასწარი... ნუ ჯავრობ!

ბესსემენოვი — მე არ ვჯავრობ... მე ვლაპარაკობ... დახერხილი შაქარი მძიმეა და სიტკბო არა აქვს. მაშასადამე, უსარფოა. ყოველთვის თავი შაქარი უნდა იყიდო და თვითონვე დაამტვრიო. ნამცეცები რომ დარჩება, იმის გამოყენებაც შეიძლება... თვითონ შაქარი კი მსუბუქი და ტკბილია... (ქალიშვილს). შენ რას იჭმუნები და ოხრავ?

ტატიანა — არაფერი, არაფერი... ისე...

ბესსემენოვი — თუ არაფერია, ნურც ოხრავ. ნუთუ მამის მოსმენა ასე სამძიმოა? ჩემ სასარგებლოდ კი არ ვლაპარაკობ, თქვენთვის, ახალგაზრდებისათვის ვამბობ. ჩვენ, ჩვენი დრო მოვჭამეთ, ახლა ცხოვრება თქვენია. მაგრამ გიცქერით და ვერ გამიგია, როგორ აპირობთ ცხოვრებას? რა ზრახვები გაქვთ? ჩვენი ზნე-ჩვეულება რომ არ მოგწონთ, ამას ჩვენც გხედავთ და ვგრძნობთ, მაგრამ სამაგიეროდ რა მოიფიქრეთ? ეს არ ვიცი. ეს ჩემთვის მაინც გამოცანაა! დიახ გამოცანა!

ტატიანა — მამაჩემო! აბა მოიგონე მერამდენედ მეუბნებით ამას?

ბესსემენოვი — კიდევ მრავალჯერ, დაუსრულებლად, საფლავის კარებამდე ვილაპარაკებ! იმიტომ, რომ ცხოვრება მაქვს გამწარებული. თქვენ გამიმწარეთ... მიქარვა მომივიდა, წინდაუხედავად მოვიქეცი, რომ სასწავლებლად გაგიშვით... აი, პეტრე დაბანლურეს, შენ კი გაუთხოვარი მიბერდები.

ტატიანა — მე ვმუშაობ... მე...

ბესსემენოვი — ბევრჯერ მსმენია. მერე ვისთვის რა სახეიროა შენი მუშაობა? შენი ოცდახუთი მანეთი არავის ჭირდება... არც შენ გჭირდება. გირჩენია გათხოვდე! ასეთია ცხოვრების კანონი და ხუთ თუმანს მე მოგცემ თვეში...

აკულინა ივანოვნა — (მამა-შვილის ლაპარაკის დროს მოუს-

ვენრად ტრიალებდა სკამზე. ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ამბობდა. ბოლოს აღერსით მიმართავს ქმარს). მამაკაცო, სადილიდან მონარჩენ ღვე-ზელს ხომ არ შეჭამ?... აა?

ბესსემენოვი — (მიუბრუნდება, ჯერ გაჯავრებული უცქერის, შემდეგ უღვაშებში ჩაილიმებს და ისე ამბობს). აბა, მოიტა, მოიტა... ხე-ხე!.. (აქუღინა ივანოვს გაეჭანება კარადისაკენ, ბესსემენოვი კი ქალიშვილს მიუბრუნდება). ხედავ? როგორც იხვი პატიობს ხოლმე ძაღლისაგან თავის ბარტყებს, ისე თქვენ გაპატიობთ ჩემგან დედათქვენი... სულ ცახცახებს, შიშობს რომ სიტყვითაც არა გატყინოთ რა... ოჰო! ჩვენი მეფრინველე! ჩხირი კედელს!

პერჩინინი — (გამოჩნდება კარებში, თან უხმოდ შემოჰყვება პოლია). მშვიდობა სახლსა ამასა, მასპინძელს ჭკაროსანსა, დიასახლისსა ტურფა-ფრთოსანსა და სანუკვარსა პირმშო-შვილებსა — აწ და მარადის უკუნისამდე!

ბესსემენოვი — როგორც გეტყობა, ღვინის ნებართვა ავიღია?

პერჩინინი — დარღმა იცის.

ბესსემენოვი — რა დარღმა?

პერჩინინი — (თან ამბობს და თან ხელს ართმებს). დღეს სკვინჩა გავყიდე... სამი წელიწადი თავს ვეველებოდი. რა საუცხოო კრიმანჭულით გალობდა და აი, ასეთი ჩიტი გავყიდე! ამ სულმდაბლურ საქციელის გამო სინდისმა ქეჯნა დამიწყო — და გული ამომიჯდა. საბრალო სკვინჩა, ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს... მიყვარდა... (პოლია ღიმილით შესცქერის მამას).

ბესსემენოვი — რათ გაყიდე, თუ ასე იყო?

პერჩინინი — (სკამის საზურგეებს ხელით ეყრდნობა და თან მაგიდას ირგვლივ უვლის). კარგი ფასი მომცეს...

აკუღინა ივანოვნა — მერედა ფული რა ოხრად გინდა? სულ ერთია, განიავებ...

პერჩინინი — (ღიმილით). სწორია, დედი. ჩემს ხელში ფული არ ჩერდება... რაც მართალია მართალია!

ბესსემენოვი — მაშ, გაყიდვას რა აზრი ჰქონდა?

პერჩინინი — ჰქონდა აზრი. ბრმავდებოდა ჩიტი... მაშასადამე, მალე უნდა მომკვდარიყო...

ბესსემენოვი — (ჩაიციხებს). არც ისეთი ბრიყვი ყოფილხარ...

პერჩინინი — განა ეს ჰკუთით მომივიდა? არა სულმდაბლობით ჩავიდინე... (შემოღიან პეტრე და ტეტერევი).

ტატიანა — ნილი სადღაა?

პეტრე — ისა და შიშკინი რეპეტიციაზე წავიდნენ.

ბესსემენოვი — სად აპირებენ თამაშს?

პეტრე — მანუქში. ჯარისკაცებისთვის წარმოდგენას მართავენ.

პერჩინინი — (ტეტერევს). ღვთის დუღუქს — პატივი! წიწქანას დასაჭერად არ წავიდეთ, ძიაშვილო?

ტეტერევი — რატომაც არა. როდის წავიდეთ?

პერჩინინი — თუნდაც ხვალ.

ტეტერევი — ხვალ არ შემძლია. მიცვალებული მყავს...

პერჩინინი — წირვის დადგომამდე.

ტეტერევი — კარგი. გამომიარე. აქუღინა ივანოვნა! სადილის ნარჩენი ხომ არაფერია, ფაფა ანდა რამე ამგვარი.

აკუღინა ივანოვნა — როგორ არა, გეთაყვა. პოლია, მოიტანე ერთი ისა... (პოლია გადის).

ტეტერევი — უაღრესი მადლობა. როგორც მოგხსენებათ, დღეს მკვდრის გასვენებისა და ჯვარის წერის შემთხვევებისა გამოყვერ ვისადილე...

აკუღინა ივანოვნა — ვიცი, ვიცი... (პეტრეს, სავსე ჭიქა გააქვს ოთახში თაღის იქით, რომელსაც ბესსემენოვი გამოჰდებდა და ტატარევი შტრულ თვალს გააყოლებს. ერთხანს სიჩუმეა. ჩაის შეეჭყევიან).

ბესსემენოვი — ამ თვეში შენ, ტერენტი ხრისანფიჩი, როგორღაც კარგ ფულს აკეთებ, თითქმის ყოველდღე მიცვალებული მყავს.

ტეტერევი — რა უშავს... ბედი მწყალობს...

ბესსემენოვი — ჯვარისწერაც ხშირადაა...

ტეტერევი — გულმოდგინედ ქორწინდებიან...

ბესსემენოვი — აი შენც შეაგროვე ფული და იქორწინე.

ტეტერევი — არ მინდა...

(ტატიანა მიდის ძმასთან და წყნარად მუსაიფობენ).

პერჩინინი — არ გაბრიყვდე. რათ გინდა, ძმაო! ჩვენისთანა ახირებულ ხალხისათვის ცოლი აბა რის მაქნისია? უკეთესია, გულწითელა ჩიტების დასაჭერად წავიდეთ.

ტეტერევი — გეთანხმები...

პერჩინინი — შესანიშნავი საქმეა გულწითელა ჩიტების ქერა! აი, მოთოვა და დედამიწა მღვდლის სააღდგომო სამოსელივით თეთრად ბრწყინავს და ქათქათებს... ირგვლივ მშვიდობიანი მყუდროებაა... განსაკუთრებით თუ მზიანი დღეა, სული სიხარულისაგან მღერის! ხეებზე შემორჩენილი შემოდგომის ფოთლები ოქროსფრად ილვარებენ, ტოტებს კი ვერცხლისფერი ფიფქი აყრია! პოდა, ამ

შენ ეს მითხარი, ვთქვით, ჩვენ ბრიყვნი ვართ, მერე ამიტომ ყოველი ხმის ამოღებაზე უნდა მოგვკვივდნენ და ჭკუა გვასწავლონ?

პეტრე — რას ბრძანებთ! ეს იგივეა, რომ კედელს ცერცვი შეაყარო...

ბესსემენოვი — სიტყვას ნუ მაწყვეტილებ. მე შენზე უხნესი ვარ. თუ ასეა, მაშინ ეს სხარტი და მოქნილი ტვირის ხალხი რად გაგვირბიან, კუთხეებში გვემალებიან და იქიდან დაცივით რაღას გვიცქერაინ და თავსაც აღარ გვიყადრებენ. შენ ერთი ამას ჩაუფიქრდი. მეც წავალ ჩემთვის, მარტო ვიქნები, რადგან ჩემი ამფსონობა ასე გეთაკილებათ... (ხმაურით გასწევს სკამს და მიდის კარებისაკენ). ჩემო განათლებულო შევილებო... (პაუზა).

პეტრე — (პეტრეს და ტატიანას). ბავშვებო! რად გამინაწყენეთ მოხუცი?

პოლია — ეს შენ აწყენინე...

პეტრე — მე?... ჩემ სიცოცხლეში არავისთვის არ მიწყენინებია...

აკულინა ივანოვნა — ეხ, შევილებო, შევილებო! ეს არ არის კარგი... მოხუცი აბა რათ გააჯაერეთ, ჰა? ყველანი როგორღაც ამრეზილები ხართ, გულზეიადები... ის კი მოხუცია, მოსვენება ესაჭიროება... პატივისცემა უნდა... მამა... წავალ, მივხედავ. პელაგია, ჭურჭელი შენ დარეცხე!

ტატიანა — (მიდის სუფრასთან). რათ გაჯაერდა ჩვენზე მამა?

აკულინა ივანოვნა — (კარებიდან). შენც ჭკუის კოლოფი ხარ რაღა... ახლოც არ ეკარები. (პოლია რეცხს ჭურჭელს, მაგიდაზე დაყრდნობილი ტატარევი შესცქერის მას სახეში. პეტრესთან მივა და გვერდით მიუჯდება. ტატიანა დინჯად გადის თავის ოთახში).

პოლია — (ტატარევს). ეგრე რას მიცქერით?

ტეტერევი — ისე...

პეტრე — (პეტრეს). რას ფიქრობ, პეტია?

პეტრე — სად წავიდე-მეთქი...

პეტრე — დიდხანია მინდა გკითხო, მითხარი, გეთაყვა, რა არის კანალიზაცია?

პეტრე — რაში დაგვირდა? გიამბო ისე, რომ ნათლად წარმოიდგინო, ძალიან გრძელი... და მოსაწყენი... იქნება...

პეტრე — შენ თვითონ მაინც ხომ კარგად იცი? ა?

პეტრე — კი... ვიცი...

პეტრე — (უნდობლად შესცქერის პეტრეს სახეში). ხო?

პოლია — რათ იგვიანებს ნილ ვასილიჩი?..

ტეტერევი — რა კარგი თვალეუბი გაქვთ.

პოლია — ეს ხომ გუშინაც მითხარით.

ტეტერევი — ხვალაც გეტყვით...

პოლია — რატომ?

ტეტერევი — არ ვიცი... შეიძლება იფიქროთ, რომ შეყვარებულნი ვიყო.

პოლია — ღმერთმა დამიფაროს! მე არაფერსაც არ ვფიქრობ...

ტეტერევი — არაფერს? სამწუხაროა? აბა იფიქრეთ...

პოლია — რა?

ტეტერევი — თუნდაც ის... რათ აგეკვიტეთ და არ გეშვებით? იფიქრეთ და მითხარით...

პოლია — რა ახირებული კაცი ხართ!

ტეტერევი — ვიცი... ჩემთვის ეს უკვე გითქვამთ. მეც გიმეორებთ, წადით აქედან! თქვენთვის მავნებელია ამ სახლში ყოფნა... გამოირდით აქაურობას!

პეტრე — სიყვარულს უხსნიო? იქნებ ხელს გიშლით...

ტეტერევი — არა, ნუ სწუხდებით! სულიერ საგნად არ მიმანიხარო...

პეტრე — ვერ არის მაინცდამაინც მოსწრებული პასუხი.

პოლია — (ტატარევს). რა ჭირვეული კაცი ხართ! (ტატარევი განხე და გულდასმით აყურადებს პეტრესა და პეტრესის მუსიფს).

ტატიანა — (გამოდის თავის ოთახიდან. შალის მოსასხამში იფუთუნება, მიანისის მიუჯდება და ნოტებს არჩევს, ისე იკითხავს). ნილი ჯერ კიდევ არ მოსულა?

პოლია — არა...

პეტრე — რა მოწყენილობაა... აი, რა, პეტია! ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, რომ ინგლისში თურმე მფრინავი გემები აუცილებელია. ერთის შეხედვით გემია, მაგრამ, როცა შიგ დაჯდება და რაღაცნაირ ღილს თითს დააჭერ — ფიუუუ! იმ წამსვე, როგორც ჩიტი თავს ღრუბლებში სცვითავს და მშვიდობით... ბევრი ინგლისელი უგზო-უკვლოდ დაკარგულა. როგორ ფიქრობ, პეტია, მართალია?

პეტრე — სისულელეა!

პეტრე — დაბეჭდილი რომ არის?..

პეტრე — განა ცოტა სისულელეს ბეჭდავენ?

პეტრე — ნუთუ ბევრს? (ტატიანა წყნარად უკრავს რაღაც ხვედიანს).

პეტრე — (სინანულით). ძალიან ბევრს...

პეტრე — ნუკი ჯავრობ. მართლაც და ეს ახალგაზრდე-

ბი ძალიან ამპარტაუნულად გვიყურებთ მოხუცებს. ლაპარაკსაც აღარ კადრულობთ. ასე არ ვარგა.

პეტრე — მერე?..

პერჩინინი — მერე ისა, რომ ჩემი წასვლის დროა. თავი მოგაბეზრეთ. პოლია, მალე წამოხვალ?

პოლია — აი ავალაგებ და წამოვალ... (გადის ოთახიდან, ტეტერევი თვალს გაყოლებს).

პერჩინინი — მაშ ასე... შენ ისიც დაგვიწყებია, პეტია, ჭივჭივებს ერთად რომ ვიჭერდით. მაშინ გაცვარდი.

პეტრე — ახლაც...

პერჩინინი — ვხედავ, ვგრძნობ... რაც არის ახლა!

პეტრე — მაშინ მე შექარყინული და თავლის კვერიც მიყვარდა, მაგრამ ახლა პირს არ ვაკარებ...

პერჩინინი — გასაგებია... ძია ტერენტი! წავიდეთ, ლუდი დავლიოთ.

ტეტერევი — არა ვარ მაგის გუნებაზე...

პერჩინინი — მაშ მარტო წავალ. კარგია ლუდხანაში. თავს მხიარულად და თავისუფლად გრძნობ. აქ კი მოწყენილობისაგან კაცს ნაღველა გაგისივდება. არაფერს არ აკეთებთ, არავითარი მიდრეკილება თქვენ არა გაქვთ... გინდათ, ქაღალდი ვითამაშოთ? სწორედ ოთხნი ვართ! (ტეტერევი უცქერის პეტრეს და იღიმება). არ გინდათ? თქვენი ნებაა... რაკი ასეა, მშვიდობით! (მიდის ტეტერევთან და ყელთან წიპურტს გაიკრავს). წავიდეთ?

ტეტერევი — არა... (პერჩინინი უიმედოდ ჩაიქნევს ხელს და გადის. რამდენიმე წამს სიჩუმეა. მკაფიოდ მოისმის სევდიანი მუსიკა, რომელსაც ტატინა უკრავს. ტატზე წამოწოლილი პეტრე უსმენს და სტვენს იმავე მელოდიას. ტეტერევი წამოდგება და დადის ოთახში. დერეფანში, კარს იქით, რაღაც ხმაურით ეცემა — ვედრო ან სამოერის მილი უნდა იყოს. ისმის სტეპანიდის ხმა): „სად ეშმაკებში მიდიხარ!“.

ტატინა — (განაგრძობს დაკრავს). როგორ იგვიანებს ნილი...

პეტრე — არავინ მოდის...

ტატინა — შენ რა? ელენეს ელოდები?

პეტრე — ვინც უნდა იყოს...

ტეტერევი — თქვენთან არა ვინ არ მოვა...

ტატინა — რატომ ხართ ასეთი ყარყუმი...

ტეტერევი — არავინ მოვა იმიტომ, რომ თქვენგან ვერაფერს ვერ მიიღებ.

პეტრე — ასე თქვა ტერენტი ღვთისმეტყველმა...

ტეტერევი — (დაყინებით). ამჩნევთ თუ არა რომ მთვრალს,

გაცივთილ ფრინველებით მოვაჭრეს უფრო ცოცხალი, ხალისიანი სული აქვს, ვიდრე თქვენ ორივეს. თქვენ ნახევრად მკვდრები ხართ.

პეტრე — საკუთარ თავზე რა შეხედულების ბრძანდებით?

ტატინა — (წამოდგება). კმარა, გეყოფათ! ამის გამო ბევრჯერ გვიკამათია...

პეტრე — მე მომწონს თქვენი სტილი, ტერენტი ხრისანფოკი... მომწონს აგრეთვე თქვენი როლიც — ჩვენი მსაჯულის როლი... მაგრამ მაინც მინდა გავიგო, ასეთი როლის თამაში რათ იკისრებთ?.. მუდამ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩვენი სულის მოსახსენებელ დაუჯდომელს კითხულობდეთ...

ტეტერევი — ასეთი დაუჯდომელი არ არსებობს...

პეტრე — სულერთია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გეჯერებით!

ტეტერევი — და ძალიანაც!

პეტრე — მადლობთ გულახდილობისათვის. (შემოდის პოლია).

ტეტერევი — გაამოთ.

პოლია — რით უმასპინძლდებით?

ტატინა — კანდიერებით...

ტეტერევი — არა, სიმართლით!..

პოლია — თეატრში მინდა წავიდე... ხომ არ წამოხვალთ?

ტეტერევი — მე...

პეტრე — რა მიდის?

პოლია — „მეორედ გაყმაწვილება“... წავიდეთ, ტატინა ვასილენა!

ტატინა — არ მინდა... მგონი, მიმდინარე სეზონში ვერც კივლი თეატრში. მომბეზრდა. ყველა ეს დრამები სროლით, ოხვრით და ცრემლებით. მომბეზრდა, ძარღვებს მიშლის. (ტეტერევი თითს დაკრავს პიანინოზე, ბანის კლავიშს და ოთახში დაიდგება ბოხი, სევდიანი ბგერა). ყოველივე ეს სიცრუე და სიყალბეა. ცხოვრება ანადგურებს ადამიანს აუჩქარებლად, ყოველგვარ ხმაურის, კვილისა და ცრემლის გარეშე...

პეტრე — (ყუშბად). თამაშობენ რაღაც დრამებს სიყვარულით გატანჯულ ადამიანებზე და არავინ ხედავს ნამდვილ დრამას, რომელიც სჯიჯგნის სულს, სურვილისა და მრვალეობის მიჯნაზე რომ მართულა. (ტეტერევი ღიმილით განაგრძობს ბანის კლავიშზე თითის კაკუნს).

პოლია — (დარცხენილი იღიმება). მე კი მიყვარს თეატრი... აი, მაგალითად, დონ სეზარ დე ბაზანი, ესპანელი აზნაური... შესანიშნავია ნამდვილი გმირი...

ტეტერევი — მე არ ვგავარ იმას?

პოლია — ოჰ, რას ბრძანებთ! სრულებითაც არა!..

ტეტერევი — (სიცილით). უფ... სამწუხაროა!

ტატიანა — როდესაც მსახიობი სცენაზე ვინმეს სიყვარულს უხსნის, მე ვუსმენ და გული მომდის... არა, ეს, ასე არ ხდება, არა!

პოლია — მაშ, მე მივდივარ... ტერენტი ხრისანფოვიჩი, მოდიხართ?

ტეტერევი — (შესწყვეტს კლავიშების წვალუბას) არა! რაკი არაფერი საერთო არ მაქვს იმ ესპანელ აზნაურთან, არ წამოვალ! (პოლია სიცილით გადის).

პეტრე — (თვალს გააყოლებს). რა გაუხდა ეს ესპანელი აზნაური?

ტეტერევი — რა და, ის მასში ჯანსაღ ადამიანს ხედავს...

ტატიანა — კობტადაც არის მოკაზმული...

ტეტერევი — მხიარულიცაა... მხიარული კაცი სანდომიანია... არამზადები იშვიათად არიან მხიარულნი.

პეტრე — მაგ თვალსაზრისით თქვენზე უბოროტესი ადამიანი ქვეყანაზე არ იქნებოდა...

ტეტერევი — (ცვლავ აკაჟუნებს როიალის კლავისს). მე მხოლოდ ლოთი ვარ, არც მეტი, არც ნაკლები. იცით თუ არა თქვენ, რათ არის რუსეთში ამდენი ლოთი? იმიტომ რომ ლოთობა მოსახერხებელი რამ არის. ლოთები ჩვენში უყვართ. ნოვატორი, გაბედული ადამიანი კი ეჯავრებათ, ლოთები უყვართ. იმიტომ რომ უფრო მოსახერხებელია უყვარდეს კაცს რაიმე წვრილმანი, ძველი, ვიდრე დიდი და კარგი.

პეტრე — (დადის ოთახში). ჩვენში, რუსეთში... ჩვენში, რუსეთში... რაღაც უცნაურად ჟღერს... განა რუსეთი ჩვენია? ჩემი? თქვენი? ვინ ვართ ჩვენ? რანი ვართ ჩვენ?

ტეტერევი — (ღიმილით). ლალი ჩიტები...

ტატიანა — ტერენტი ხრისანფოვიჩი! დააყენეთ თუ ღმერთი გწამთ ეგ კლავიში... ძალზე სამგლოვიარო რამ გამოდის...

ტეტერევი — (განაგრძობს). საერთო განწყობილებას ვეხმატები... (ტატიანა ნაწყენი გადის დერეფანში).

პეტრე — (ჩაფიქრებული). მაშ ასე?.. მართლაცდა დააყენეთ ეგ პიანინო, ნერვებზე მოქმედობს... მე მეგონია, როდესაც ფრანგი ან ინგლისელი ამბობს: „საფრანგეთი“, „ინგლისი“, ამ სიტყვებს იქეთ მის ცნობიერებაში სრულიად რეალური, გასაგები რამ ცნება იხატება... მე კი ვამბობ „რუსეთი“ და ვგრძნობ, რომ ჩემთვის ის მხოლოდ ლიტონი სიტყვაა და არ შემიძლია ამ სიტყვაში მოგათავსო რაიმე მკაფიო შინაარსი. (პაუზა. ტეტერევი ისევ უაკუნებს), არის სიტყ-

ვები, რომლებსაც ჩვეულების გამო წარმოსთქვამ და არ უფიქრდები რას ნიშნავს... ცხოვრება... ჩემი ცხოვრება... რას შეიცავენ ეს სიტყვები? (დადის მღუმარედ. ტეტერევი განაგრძობს კლავიშებზე კაჟუნს და თან გალიმებული სახით თვალს ადევნებს პეტრეს. ოთახი სავსეა პიანინოს სევდიანი ხმით). ეს რა ეშმაკად ჩავეები ამ სულელურ მოძრაობაში... შევიდი უნივერსიტეტში, ვსწავლობდი... დააყენეთ, თუ კაცი ხართ, ეგ პიანინო!.. არავითარ ისეთ რეჟიმს, რომის სამართლის შესწავლაში ხელს თუ მიშლიდა, მე არ ვგრძნობდი. ვგრძნობდი მხოლოდ ამხანაგობის რეჟიმს... ავეყვი მათ და აი, ორი წელი ამოიშალა ჩემი ცხოვრებიდან... დიახს! ეს ძალმომრეობა! ძალმომრეობა ჩემს მიმართ. განა ასე არ არის? ვფიქრობდი, დავამთავრებ სწავლას, გავხდები იურისტი და ვიმუშავებ... ვიკითხავ, ყველაფერს თვალყურს ვადევნებ-მეთქი... დავიწყებ ცხოვრებას!..

ტეტერევი — (დაცინით უკარნახებს). მშობლების ნუგეშის-მცემლის, ეკლესიისა და მამულის კეთილმოსურნისა და საზოგადოების მორჩილი მსახურის როლში...

პეტრე — საზოგადოება? აი ის, რაც მეზიზღება! ის თანდათან მზარდ მოთხოვნილებებს უყენებს პიროვნებას, ხელს უშლის მის ბუნებრივ განვითარებას... ადამიანი უწინარეს ყოვლისა მოქალაქე უნდა იყოსო, ჩამჩიჩინებდა საზოგადოება ამხანაგების სახით. მეც ავდექი და გავხდი მოქალაქე, ეშმაკაც დალაზვროს! არ მინდა... არ ვარ მოვალე დავემორჩილო საზოგადოების მოთხოვნილებას! მე პიროვნება ვარ, პიროვნება კი თავისუფალია!.. გამიგონეთ! რა არის დალაზვროს ეშმაკა, შესწყვიტეთ რეკვა.

ტეტერევი — მე ხომ თქვენს განწყობილებას ვეხმატები... პატივცემულო მეშხანო, მდაბიოვ, რომელიც მხოლოდ ნახევარი საათით იყო მოქალაქე. (წინააჟარში ხმაურით).

პეტრე — (გაბრაზებული). თქვენ... დამცინით!.. (ტეტერევი, გამომწვივად უხურებს პეტრეს და განაგრძობს კლავიშის კაჟუნს. შემოდინა: ნილი, ვლენა, შიშკინი, ცვეტაევა და შემდეგ ტატიანა).

ელენე — რას ნიშნავს ეს სამგლოვიარო ზარი? სალამი საშინელ ამუნიას! გაუმარჯოს თითქმის პროკურორს! რას აკეთებდით?

პეტრე — (დაღვრემილი). სისულელეს...

ტეტერევი — მე კი პანაშვიდს ვუხდიდი უდროოდ დაფრთხილ სიცოცხლეს...

ნილი — (ტეტერევის). გამიგონე! შენთან ერთი სათხოვარი მაქვს! (რადიკალს ურში ეჩურჩულება. ტეტერევი თავს თანხმობის ნიშნად უქნევს).

ცვეტაევა — ოხ, რომ იცოდეთ, რა საინტერესო რეპეტიცია იყო.

ელენე — ბატონო პროკურორო! რომ იცოდეთ, რა სასტიკად გეარშიყებოდა პორუჩიკი ბიკოვი!

შიშკინი — თქვენი ბიკოვი პირდაპირ... ხბოს გავს...

პეტრე — რატომ გგონიათ, რომ ასე ძალიან მაინტერესებს, ვინ და როგორ გეარშიყებოდათ?..

ელენე — ოჰო! გუნებაზე ვერა ხართ?

ცვეტაევა — არასოდეს პეტრე ვასილიჩი კარგ გუნებაზე არ მინახავს.

შიშკინი — ეს ჩვეულებრივი რამ არის მის სულიერ განწყობილებისათვის.

ელენე — ტანჩკა! შენც ჩვეულებისამებრ სექტემბრის ღამესავით სევდიანი ხარ?

ტატიანა — ჰო, ჩვეულებისამებრ...

ელენე — მე კი, შესანიშნავ გუნებაზე ვარ! ბატონებო, მითხარით რათ ვარ ყოველთვის მხიარული?

ნილი — მაგაზე ვერაფერს ვერ გიპასუხებთ... მე თვითონ მხიარული ვარ.

ცვეტაევა — მეც!..

შიშკინი — მეც! ყოველთვის არა... მაგრამ...

ტატიანა — გამუდმებით...

ელენე — ტანჩკა! ოხუნჯობ? ეს კარგია. ამუნია, მითხარით, რათ ვარ მხიარული?

ტეტერევი — ო, სრულქმნილო ფუქსავატობა!

ელენე — როგორ? ძალიან კარგი! მე მოგაგონებთ ამას მაშინ, როცა სიყვარულის ახსნას დამიწყებთ.

ნილი — ეგ რა მაგის პასუხია და, რაიმე ხომ უნდა ეჭამო... თორემ სამორიგეოდ ვარ წასასვლელი...

ცვეტაევა — მთელი ღამით? საბრალო!

ნილი — დღე-ღამით... აბა წავედი სამხარეულოში და მივესალმები სტეპანიდას...

ტატიანა — მე ვეტყვი... (ვადის ნილთან ერთად).

ტეტერევი — ცლანკს. ე... ბოლიში. განა მე უნდა შეგიყვაროთ?

ელენე — დიახ, კადნიერო ადამიანო! დიახ, სასტიკო ამუნია! დიახ, დიახ!

ტეტერევი — (უკან იხევს). გემორჩილებით... ეს მე სულაც არ გამიჭირდება... ერთხელ ერთბაშათ ორი ქალიშვილი და ერთი გათხოვილი ქალი მიყვარდა...

ელენე — (განაგრძობს შეტევას). მერე... მერე...

ტეტერევი — მერე და, უშედეგოდ!

ელენე — (ხმადაბლა ანიშნებს პეტრეზე). რა იყო, რა მოხდა თქვენ შორის? (ტეტერევი იცინის. წყნარად საუბრობენ).

შიშკინი — (პეტრეს). გამიგონე, ძმობილო, მანეთიანი ხომ არ გექნება სამი დღით? გესმის, ფეხსაცმელები დამერღვა.

პეტრე — აჰა... შეიღია შენზე...

შიშკინი — მახსოვს...

ცვეტაევა — პიოტრ ვასილიჩ! რატომ არ იღებთ მონაწილეობას ჩვენს წარმოდგენებში?

პეტრე — მე ხომ თამაში არ შემიძლია...

შიშკინი — ჩვენ შეგვიძლია?

ცვეტაევა — რეპეტიციასზე მაინც გველოთ. რომ იცოდეთ, ჯარისკაცები რა საინტერესონი არიან! ერთი მათგანი, შირკოვი, ძალიან სასაცილოა. გულუბრყვილო, სანდომიანი... მორცხვად და ალერსიანად იცინის და არაფერი ამ ქვეყნის მას არ გაეგება.

პეტრე — (აღმაეგრად უთვალთვალავს ელენეს). არ მესმის, როგორ შეიძლება საინტერესო იყოს ადამიანი, რომელსაც არაფერი არ გაეგება?

შიშკინი — მარტო შირკოვი ხომ არ არის...

პეტრე — დავუშვათ, რომ შირკოვების მთელი ასეულია...

ცვეტაევა — როგორ შეიძლება ასე მსჯელობა? ვერ გამოვიცა, რა მოგდით? არისტოკრატიზმია, თუ?

ტეტერევი — (უცებ ხმადაბლა). სიბრალოლი არ მეხერხება...

ელენე — ჩუმი!..

პეტრე — როგორც მოგეხსენებათ, მე მდაბიო ვარ...

შიშკინი — მით უფრო გაუგებარია ეგ შენი დამოკიდებულება მდაბიო ხალხთან...

ტეტერევი — არასოდეს მე არავის არ შევებრალეზივარ...

ელენე — (ხმადაბლა). განა თქვენ არ იცით, რომ ბოროტს სიკეთით უნდა მიუზღაოთ?

ტეტერევი — არ გამაჩნია არც მსხვილი და არც ნაშალი... ფულის ნიშანი...

ელენე — ოო! ჩუმად!

პეტრე — (მიუყურებს ელენეს და ტეტერევის მუსიფს). ვერ გამოვიცა, რისთვის თამაშობთ ამ სიმპათიებს მდაბიო ხალხისადმი...

ცვეტაევა — ჩვენ არ ვთამაშობთ... რაც გაგვაჩნია, თანაბრად ვიყოფით...

შიშკინი — ეგეც არ იყოს... სასიამოვნოა მათ წრეში ყოფნა... ისინი ბუნებრივნი არიან... მათ შორის საღად სუნთქავ... რო-

გორც ტყეში. ჩვენს ძმას, ასოკირკიტას არ აწყენდა გადახალისება...

პეტრე — (დაინებით, თან დაფარულ ბრაზით). მართალი გითხრათ, ილუზიებით ცხოვრება გიყვართ... და იმ ჯარისკაცებთან რაღაც საიდუმლო განზრახვით მიდიხართ... მართალი გითხრათ, სასაცილოა. გადახალისება ჯარისკაცებს შორის... არ მესმის...

ცვეტაევა — რატომ მხოლოდ ჯარისკაცებს შორის! ხომ იცით, რომ დეპოშიც ვმართავთ წარმოდგენებს...

პეტრე — სულერთია. გეუბნებით, როცა თქვენს... ამ წანწალსა და ფუსფუსს ცოცხალ საქმეს უწოდებთ, ცდებით-მეთქი. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ხელს უწყობთ პიროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას... და სხვა ასეთს... ესეც თავის მოტყუებაა! მოვა ხვალ ოფიცერი ან ვინმე ოსტატი და თქვენ პიროვნებას ცხვირ-პირში ჩაანათებს და გამოუბერტყავს თავიდან ყველაფერი იმას, რისი ჩანერგვაც მოასწარით... თუ არ მოასწარით.

ცვეტაევა — რა სამწუხაროა ასეთი სიტყვების მოსმენა.

შიშკინი — (მოღუშული). დიახ, ყოვლად უკუღმართი სიტყვებია... პირველად არ მესმის, თანდათან არ მომწონს... პეტრე, ჩვენ ოდესმე წავიჩხუბებით ამის გამო... და, მგონი... სამუდამოდ!

პეტრე — (ცოვად და ზანტად). მეშინია! მაგრამ მწყურია ასეთი შეხვედრა...

ელენე — (ცხარედ შეჰკოვლებს). არ მესმის რატომ მოგაქვს ასეთად თავი ბატონებო! რატომ უნდა, რომ ის ბოროტ ადამიანად მიაჩნდეს ყველას?

პეტრე — ვფიქრობ, რომ ორიგინალობისთვის!

ცვეტაევა — რა თქმა უნდა, კეკლუცობს! მამაკაცები ყველანი ასე კეკლუცობენ... თავს აწონებენ ქალებს. ერთი პესიმისტს თამაშობს, მეორე მეფისტოფელს... ისე კი ზარმაცები არიან.

ტეტერევი — მოკლედ, მკაფიოდ და ზორბად!

ცვეტაევა — მაშ როგორ? თქვენ გგონიათ, ქათინაურებს გეტყვით? მანამ არა სჭამოთ რა! გიცნობთ მე თქვენ!

ტეტერევი — ამ შემთხვევაში თქვენ მეტი იცით ჩემზე. შეიძლება ისიც იცით, რომ ბოროტს მართლა კეთილით უნდა მიუზღო? ესე იგი, როგორ ფიქრობთ? კეთილი და ბოროტი თანასწორღირებულებისანი არიან, არა?

ცვეტაევა — მოუშვა ისევ პარადოქსების წისქვილი.

შიშკინი — მოითმინეთ, ხელს ნუ უშლით! ეს საინტერესოა. ბატონებო, მიყვარს ტეტერევის მოსმენა! რაც არ უნდა იყოს, ტვინში რაღაც ახალი ხიჭვი რომ არ გაგიჩინოს არ შეიძლება... მერე,

სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენი აზრები და ფიქრები ისევე მთარულოდა გაცეცილია, როგორც ძველი შაურანი...

პეტრე — რა დიდსულოვნებას იჩენ... როცა გინდა შენი საკუთარი ღირსებები ყველგან გაავრცელო.

შიშკინი — კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! სიმართლე უნდა ილაპარაკო, ძმაო, სიმართლე! წერილმანებშიაც მართალი უნდა იყო! ვულწრფელად გეტყვით, რომ ჩემ სიცოცხლეში ერთი ორიგინალური სიტყვაც არ მითქვამს! დიდი სურვილი კი მაქვს!

ტეტერევი — სთქვი და ეგ არის!

შიშკინი — (ხალისით). ნუთუ? სტყუი! რა ვთქვი ისეთი?

ტეტერევი — სთქვი, ძმაო, სთქვი! და შენ თვითონ მიხვდი, რაც სთქვი.

შიშკინი — ეს, ალბათ, უცაბედად გამომივიდა.

ტეტერევი — განზრახ ორიგინალური ვერ იქნები...

ელენე — ჰო, კარგი! ილაპარაკეთ, ტარტაროზო, ცოდვამდღზე?

შიშკინი — გაბერე შენი ფილოსოფიური გულდა-სტვირი!

ტეტერევი — (დგება პოზაში). ღირსპატივსაცემნო ორფენო! როდესაც ამბობთ, ბოროტს კეთილით უნდა მიუზღათო, ცდებით. ბოროტი თანდაყოლილი თვისებაა, ამიტომ ის ნაკლებღირებულთა კეთილი კი თქვენ თვითონვე გამოიგონეთ და ძალიან ძვირიც დაგიჯდათ. ამიტომ არის ის ძვირფასი და სანუკვარი, რის უმშვენიერესიც ამ ქვეყნად არა არის რა. აქედან დასკვნა: ბოროტისა და კეთილის გათანაბრება — უხეირო და ფუჭი საქმეა. მე გეუბნებით, კეთილისათვის მხოლოდ კეთილი უნდა მიუზღათ-მეთქი. და არასოდეს არ გადაიხადოთ, იმაზე მეტი, რაც ნამდვილად ღირს, თორემ ადამიანს მევახშეობის გრძნობა თანდათან მოერევა, ვინაიდან ადამიანი ხარბობა და გაუმაძღარი. თუ ერთხელ მაინც მიიღო იმაზე მეტი, რაც მას ეჭვება, შემდეგ მეტს მოგთხოვს. ნურც დააკლებთ, თორემ ადამიანი გულღრძობა და იტყვის კოტორიაო... დაპყარგავს შენს პატივისცემას და შემდეგ, სიკეთის სამაგიეროდ მხოლოდ მოწყალეობას მოგივლებთ. ძმანო! იყავით ზუსტნი გადახდაში თქვენდამი სიკეთის ჩადენისათვის! რადგან არა არის რა ქვეყნად იმაზე უმდაბლესი და უსამაგლესი, როგორც მოყვასისადმი მოწყალეობის გამცემი. მაგრამ ბოროტის მქნელს ასჯერ მეტი უნდა მიუზღათ. იყავით გულუხვი ავის გადახდაში. თუ თქვენ პურს ითხოვდით და მან ქვა მოგცათ ხელში, თავზე ღვთის რისხვა დაატეხეთ. (ამ სიტყვებს ტეტერევი იწყებს ხუმრობით და თანდათან სერიოზულ ტონზე გადადის, ბოლოს სიტყვის ღრმა რწმენით დაასრულებს. მძიმე ნაბიჯით გადაება განზე, ერთ ხანს

საერთო სინუშეა, საერთო უნერხულება, რადგან მის სიტყვებში იგრძნეს რაღაც შიშე და გულწრფელი).

ელენე — (წყნარად). ალბათ, თქვენ... ბევრი უსიამოვნება შეგ-
ხვედრიათ ადამიანებისაგან...

ტეტერევი — (ცბილების ღრქენით). მაგრამ ამან ხალისიანი
იმედები შთამინერგა. იმედები, რომ მომავალში უფრო მეტ უსიამოვნ-
ებას იწვევენ ჩემგან... ან უფრო სწორად, ჩემს გამო...

ნილი — (შემოდის ჯამით და პურით ხელში, თან ლაპარაკობს და თვალ-
ყურს ადევნებს წვენი არ დაიღვაროს. თან ტატიანა შემოყვება). ეს სულ ფი-
ლოსოფიაა. ახირებული ჩეულება გაქვს, ტანია, ყოველგვარ უმ-
ნიშვნელო წვრილმანებისაგან რაღაც ფილოსოფიის შექმნა! გაწვიმ-
და — ერთი ფილოსოფიაა, თითი გეტყინა — მეორე ფილოსოფია,
დამწვრის სუნია — მესამე და, როდესაც მესმის ეს წვრილმანების
ფილოსოფია, უნებლიეთ ვფიქრობ, რომ სწავლა ყველასთვის არ
არის სასარგებლო...

ტატიანა — როგორ... ტლანქი ხარ, ნილი!

ნილი — (სუფრას მიუჯდა). რა შუაშია ჩემი სიტლანქე? ცხოვ-
რების სიცარიელეს თუ გრძნობ, რამე საქმეს მოჰკიდე ხელი. ვინც
მუშაობს, იმას მოწყენისათვის დრო არ რჩება. შინ ყოფნა გიმძიმს—
სოფელში წადი, იქ იცხოვრე და სხვას ასწავლე... ან მოსკოვს წადი
და თვითონ ისწავლე.

ელენე — ეგრე მაგას, ეგრე! აბა ერთი ესეც დატუქსეთ...
(ანიშნებს ტეტერევიზე). აი ეს!

ნილი — (ირიბად ვახედა). ეგეც! ჰვარტლიანია, ჰერაკლიტობას
ეპოტინება.

ტეტერევი — თუ არ გაგიძნელებდა, სვიფტი მიწოდე...

ნილი — გაწყენს პატივისცემა!

პეტრე — მართალი ხარ, მეტი მოუვა!

ტეტერევი — მე კი ძალიან მასიამოვნებთ...

ცვეტაევა — პირის გემო გქონია!

ნილი — (ჯამში იცქირება). ნუ მირისხდები. ა... ისა... პოლია
აყო?.. თუ წავიდა სადმე!

ტატიანა — თეატრში. რა იყო?

ნილი — არაფერი... ისე ვიკითხე...

ტატიანა — გჭირდება?..

ნილი — არა! თუმცა ახლა არა... მაგრამ საერთოდ... მჭირდე-
ბა... ფუ, ეშმაკს... როგორ ავირიე!.. (ყველას ეღიმიება, გარდა ტატიანას).

ტატიანა — (დაჟინებით). რად? რაში გჭირდება? (ნილი არაფერს
უპასუხებს. ჰამს).

ელენე — (ტატიანას სწრაფად). აბა მითხარი, რისთვის გტუქ-
სდება?

ცვეტაევა — ჰო, საინტერესოა, საინტერესო!

ნიშკინი — ძალიან მომწონს, როცა ნილ ვასილევინი ვინმეს
ტუქსავს...

პეტრე — მე კი, როგორ ჰამს...

ნილი — მე ყველაფერს კარგად ვაკეთებ.

ელენე — აბა, ტანია, გვიამბე.

ტატიანა — მეზარება...

ცვეტაევა — რატომ? ამას ყველაფერი ეზარება...

ტატიანა — რატომ გგონია? იქნებ სიკვდილი არ მეზარება?

ცვეტაევა — ფუ, რა საძაგლობაა!

ელენე — ბრა!.. არ მიყვარს სიკვდილზე ლაპარაკი.

ნილი — რა უნდა ითქვას სიკვდილზე, სანამ არ მომკვდარხარ?

ტეტერევი — აი, ჰეშმარიტი ფილოსოფოსი!

ელენე — წავიდეთ ჩემთან, ბატონებო! დროა, სამოვარიც ალ-
ბათ აღუღებული იქნება...

ნიშკინი — კარგია ახლა ჩაის დალევა. თუმცა არც წა-
ხემსებაზე ვიტყვოდი უარს... რომ შეიძლებოდეს...

ელენე — რატომაც არა!

ნიშკინი — (ანიშნებს ნილზე). თორემ უტყერი და მშურს... მე
ცოდვილს.

ნილი — ნუ გშურს, მე უკვე გავათავე! მეც წამოვალ. ერთი
საათი დრო კიდევ მაქვს...

ტატიანა — უმჯობესი იყო დაგესვენა, მორიგეობის წინ...

ნილი — ესეც არა მიშავს რა...

ელენე — პეტრ ვასილიჩ! მოდიხართ?

პეტრე — თუ თქვენი ნებაც იქნება...

ელენე — მიიღეთ ნება ჩემი! თქვენი ხელი!

ცვეტაევა — აბა წყვილ-წყვილად დაეწყვეთ, ნილ ვასილე-
ვიჩ, ჩემთან...

ნიშკინი — (ტატიანას). მაშასადამე, თქვენ — ჩემთან...

ტეტერევი — აი ამბობენ, რომ ქვეყნად ქალები მეტია მა-
მაკაცებზეო... მიუხედავად ამისა, რომელ ქალაქშიაც არ ვიცხოვრე,
ქალი ყველგან თვალში მაკლდა...

ელენე — (სიცილით მიდის კარებისაკენ და იწყებს სიმღერას).
Allons, enfants de la patri... i... i... e!*

* მარსელიზმის ფრანგული ტექსტის პირველი სტრიქონი. რედ.

შ ი შ კ ი ნ ი — (პეტრეს უბიძგებს ზურგში). იარე ცოცხლად, მამუ-
ლიშვილო!

(მიდიან ხმაურით, სიმღერით, სიცილით. ოთახი რამდენიმე წუთს ცარიელია.
შემდეგ მოხუცთა ოთახის კარი იღება და გამოდის აკულინა ივანოვნა, მთქნა-
რებით აქრობს სანთელს. ისმის ბესსემენოვის ხმა, ერთფეროდ კითხულობს
ღაგიტონს თავის ოთახში, აკულინა ივანოვნა უკან დაბრუნებისას სიბნელეში
სკამს წააწყდება).

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. შემოდგომის შუაღლე. ბესსემენოვი მაგიდას უზის.
ღატიანა უხმოდ, ნელი ნაბიჯით წინ და უკან დადის. პეტრე ტახ-
ტის დეას და ფანჯარაში იტყობს.

ბესსემენოვი — აგრე მთელი საათია გელაპარაკებით...
ჩემო საყვარელო შვილებო, და, ვატყობ, ვერ მიპოვნია ისეთი სიტყ-
ვები, რომ თქვენს გულამდე ჩააღწიოს... ერთი ზურგშექცევით
მისმენს, მეორე კი ისე დადის, როგორც ფრთამოტეხილი ყვავი
დობზეზე...

ღატიანა — (ჯდება). აჰა! დაეჯექი!

პეტრე — (მიუბრუნდება მამას). პირდაპირ თქვი, რა გინდა ჩვენ-
გან?

ბესსემენოვი — მინდა გავიგო, რა ხალხი ხართ... მინდა
ციცოდე, რა კაცი ხარ?

პეტრე — მოითმინე და გიპასუხებ... გაიგებ, დაინახავ. ჯერ
მაცალე სწავლა დავასრულო...

ბესსემენოვი — თპოო! სწავლა გინდა? ისწავლე! მაგრამ
რომ არ სწავლობ... იბღინძები... მაშლაყინწობ! ყველაფერს აძაგებ,
ახუჩად იღებ, ზომიერება არ გაგაჩნია... აი უნივერსიტეტიდან გა-
მოგადგეს! და შენ გგონია, სტყუიან? სრულიადაც არა. სტუდენტი
მოსწავლეა და არა ცხოვრების განმგებელი. რამდენი შენისთანა
ოცი წლის ლაწირაკი გამოჩნდება, იმან, რომ ცხოვრების გამგებლო-
ბა დაიწყოს... ყველაფერი ყირაზე დადგება... საქმის კაცს ქვეყნად
არ დაედგომება. ჯერ წესიერად ისწავლე, გახდი შენი საქმის ოს-
ტატი... და შემდეგ იმსჯელე... მანამდე კი, რაც არ უნდა სთქვ.
შენს სიტყვას ფასი არა აქვს და ყველას უფლება ექნება ხმა ჩაგა-
წყვეტინოს... ჩუ, კრინტიო გითხრას. ამას სიაციით ხომ არ ვამბობ,
გულისტყვილით გეუბნები... შეილი ხარ, სისხლ-ხორცი. ნილს არა-
ფერს არ ვეუბნები... თუმცა იმაზეც დიდი ამაგი მიმიძღვის, შეი-

ლობილია... მაგრამ მაინც სხვა... სხვა სისხლია. და რაც დრო გადის, მით უფრო უცხო ხდება ჩემთვის. მე ვგრძნობ... ვხედავ, ის არამზადა გამოვა, მსახიობი გახდება ანდა რაღაც ასეთი... შეიძლება... სოციალისტიკ გამოვიდეს... ჯანდაბამდეც გზა ჰქონია.

აკულინა ივანოვნა — (კარებიდან გამოიხედავს, საცოდავი და მოკრძალებული ხმით ამბობს). ჩემო კაცო, განა სადილობის დრო არ არის?

ბესსემენოვი — (მკაცრად). დამეკარგე აქედან! ნუ ეჩრები, როცა საჭირო არა ხარ... (აკულინა ივანოვნა კარსუკან მიიმალება. ტატიანა საყვედურით შეხედავს მამას, მერე აღგება და ისევ დაიწყებს სიარულს). ხომ ხედავთ? საწყალ დედათქვენს ერთი წუთით მოსვენება არა აქვს. სულ თქვენზე ზრუნავს... სულ ეშინია, რომ მე რამე არ გაწყენინოთ... არ დაგჩაგრეთ. მე არავის წყენინება არ მინდა... მე თვითონ ვარ თქვენგან ჩაგრული და გულმოკლული... ჩემს სახლში ისე ფრთხილად დავდივარ, თითქოს იატაკზე შუშის ნამსხვრევები იყოს მოფანტული... აღარც სტუმარი მოდის, ახლო მეგობრებიც ჩამოგვმორდნენ. ნასწავლი შვილები გყავს, ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართო... შეიძლება, გაგვიკლონ კიდევაცო. თქვენ არა ერთხელ დავიცინიათ მათთვის და მეც სირცხვილით დამწვარვარ... ნაცნობ-მეგობრებმა მიმატოვეს... თითქოს ნასწავლი შვილები შავი ჭირი იყოს... თქვენ კი ძალდაც არ მაგდებთ, ერთ ალერსიან სიტყვასაც არ გაიმეტებთ... არასოდეს არ მეტყვით, რას ფიქრობთ, რას აკეთებთ ან რას აპირებთ... თითქოს უცხო, უბირი ვინმე ვიყო. მე კი მიყვარხართ... გესმით მიყვარხართ! გაგეგებათ, რას ნიშნავს სიყვარული? აი, შენ გამოგადგეს... და მე გული მეტკინა. ტატიანა შინ გაუთხოვრად მიბერდება, გონება მემღვრევა... მეუხერხულეობა კიდევ... რით არის ტატიანა იმათზე ნაკლები, რომლებიც თხოვდებიან... და სხვა... პეტრე, მინდა კაცად გხედავდე და არა სტუდენტად. აი, ფილიპე ნახაროვის შვილმა სწავლა დაასრულა, იქორწინა, კარგი მზითევიც აიღო და წელიწადში ორას თუმანს აკეთებს... ქალაქის საბჭოს წევრობასაც უმიზნებს...

პეტრე — დამაცადე... ცოლს მეც შევირთავ...

ბესსემენოვი — კი, ვიცი... მზად ხარ თუნდაც ხვალვე... ოღონდ ვინ? ვიღაც ჩიტირეკია, უნამუსო დედაკაცი... და ისიც ქვრივი ე-ეებს!

პეტრე — (წამოხტება). თქვენ უფლება არ გაქვთ... ასე ახსენოთ...

ბესსემენოვი — როგორ თუ ასე? ქვრივი თუ უნამუსო?

ტატიანა — მამაჩემო! გთხოვთ... დაანებო მაგას თავი...

გასივით პეტრე... წადი აქედან... ან დაჩუმდი! მე ხომ... ხმას არ ვიღებ, გამიგონეთ... ერთი რამ მაინც ვერ გამიგია, მამაჩემო... როდესაც თქვენ ლაპარაკობთ, ვგრძნობ, მართალი ხართ. დიას, მართალი, მერ-წიხვით... ამას მართლა ვგრძნობ. მაგრამ თქვენი სიმაართლე უცხოა ჩვენითვის... ჩემთვის და ამისთვის. მიხვდით? მოითმინეთ... ჩვენ ჩვენი სიმაართლე გვაქვს... აქ ორი სიმაართლეა, მამა...

ბესსემენოვი — (წამოხტება). მიქარაგ! სიმაართლე ერთია! ჩვენი სიმაართლე. როგორია თქვენი სიმაართლე? სად არის ის? აბა ჩაჩვენე!

პეტრე — ნუ ყვობი, მამაჩემო. იცი, რას გეტყვი?... სწორია, შენ ხარ მართალი. მაგრამ შენი სიმაართლე ჩვენთვის ვიწროა... ჩვენ გავიზარდებით და, როგორც ტანსაცმელი, ისე დაგვიმოკლდა და დაგვივიწროვდა... აღარ გვარგია... ის, რითაც შენ გიცხოვრია, შენი ცხოვრების წესი დღეს ჩვენ აღარ გამოგვადგება...

ბესსემენოვი — რა თქმა უნდა! თქვენ განათლდით... მე კი სულელი, ხებრე ვარ! თქვენ...

ტატიანა — ეგ კი არა, მამაჩემო! საქმე ეს კი არ არის...

ბესსემენოვი — სწორედ ეს არის. თქვენთან მოდიან სტუმრები... მთელი დღე ხმაურია... ღამით ძილიც შეუძლებელი ხდება... ჩემ თვალწინ მდგმურ ქალს ურცხვად ეარშიყები... შენ კი ყველასთან გაბუტულივით ხარ... მე და დედათქვენი კი კუთხეში შიშით ვიჭუჭკებით...

აკულინა ივანოვნა — (შემოვარდება ოთახში). თქვენ გენაცვალეთ... მე ხომ... თქვენი ჭირი შემეყაროს. მე განა ვამბობ რამეს? არამც თუ კუთხეში, საკუჭნაოში, ბოსელში შეგვძვრები, ოღონდ კი თქვენ ნუ იჩხუბებთ! ნუ სჭამთ ერთმანეთს, თქვენ შემოგველეთ!

ბესსემენოვი — (ცალი ხელით იხიდავს და მეორე ხელით უბიძგებს). დაიკარგე აქედან, დედაბერო! მათ რაში ეჭირვები. არც ერთი მაგათ არ ვუნდივართ! ისინი ჰკვიანები არიან! ჩვენ მათთვის უცხო-ნი ვართ!

ტატიანა — (ყნვის). რა წამებაა... რა წამება...

პეტრე — (გაფითრებული და სასოწარკვეთილი). მამაჩემო, აბა რას ამბობ? ეს ხომ სისულელეა! მოულოდნელად, ასე უსაფუძვლოდ...

ბესსემენოვი — მოულოდნელად? არა, შენ სცდები! მოულოდნელად კი არა... წლობით მწიფდებოდა... გულში!

აკულინა ივანოვნა — პეტია, დაუთმე! ნუ ეღაცები... ტანია... შეიბრალებთ მოხუცი მამა!

ბესსემენოვი — სისულელეაო, ამბობ! ბრიყვი ხარ! ბრიყვი! ეს საოცრებაა... და არა სისულელე! ცხოვრობდნენ მამა-მეილ-

ნი და უცებ... ორი — სიმართლე... ნადირები ხართ... ნადირები...
ტატინა — პეტრე, წადი! დამშვიდდი, მამაჩემო... გთხოვ...
ბესსემენოვი — უღობველსი ხარო... უწყალონი... გვაფი-
წროვებთო?!.. რა თავი მოგაქვთ? მითხარით, რა გაგიკეთებიათ;
ჩვენ კი, გვიცხოვრია! გვიმუშავნია... სახლები გვიშენებია... შეიძლე-
ბა, ხშირად შეგვიცოდავს კიდევ!.. დიან, შეგვიცოდავს... ისიც
თქვენთვის...

პეტრე — (ყვირს). განა მე გთხოვე?.. რათ აშენებდი, რათ
სცოდავდი?

აკულინა ივანოვნა — პეტრე! ღეთის...

ტატინა — პეტრე, მოშორდი აქაურობას! მეტი არ შემიძ-
ლია, არა! წავალ. (ქანცმიღული დაეშვება სკამზე).

ბესსემენოვი — აბა, გარბიხართ? სიმართლეს გაურბი-
ხართ, როგორც ეშმაკი საკმეველს, არა?.. სინდისი გქეჯნით?

ნილი — (ღერეფნიდან კოს ფართოდ შემოაღებს და ზღურბლზე დად-
გება. ის საბუშაოდანაა მოსული. სახე მკვარტლით შავად აქვს გამურული, ხე-
ლები კი კუჭყიანი, ტანთ მოკლე ქურთუკი აცვია, რომელიც ზეთისაგან ბზი-
ნავს. წელზე ქაპარი შემოუჭერია და მუხლებამდე მაღალი ჩექმა კუჭყიანი აქვს.
ხელგაწვდილი ლაპარაკობს). ერთი აბაზიანი მომეცით, მეეტლე უნდა
გაეისტუმრო! (მისმა მოულოდნელმა შემოსვლამ და მშვიდობიანმა ხმამ ოთახ-
ში სიჩუმე ჩამოაგდო. რამდენიმე წუთს ყველანი სდუმან და ნილს უძრავად
შესცქერია. ის მიხვდება, რაშია ახის საქმე და სინანულის ღიმილით ამბობს).
ეეჰ-ე! ისევ ომი გაქვთ?

ბესსემენოვი — (უხეშად ყვირს). შე ურჯულო! სად მოხ-
ველი?

ნილი — ა? სად?

ბესსემენოვი — ქუდი! ქუდი...

აკულინა ივანოვნა — რა არის მართლაც?! გამურულ-
გათხუპნული პირდაპირ დასუფთავებულ ოთახში რომ შემოეხეტე...

ნილი — აბაზიანს მომცემთ თუ არა!

პეტრე — (აძლევს. ჰმადობლა ელაპარაკება). მალე დაბრუნდი...

ნილი — (ღიმილით) — დასახმარებლად? გაგიჭირდათ? ახლავე.

ბესსემენოვი — ესეც არის რაღა სიფთა-ბარაქა!.. ყველა-
ფერს იერიშით, გლეჯით აკეთებს... რალაც-რალაცა ყურწყაკვრით
გაუგია და... არავისი, არაფრის პატივისცემა არ გააჩნია ქვეყანაზე...

აკულინა ივანოვნა — (ქმრის კილოს ჰბაძავს) მართლაც
და, პირდაპირ გათავხედებელია! ტანია, შენ წადი... სამზარეულოში
წადი! სტეპანიდას უთხარი სადილი დაჩქაროს... (ტანია გადის).

ბესსემენოვი — (დალონებული, აღიმება). აბა, პეტრეს სადღა

გაავხანნი, რას დაასაქმებ?.. ე-ე-ხ! სულელი დედაკაცი ხარ... შე...
სულელი გაიგე, ადამიანო, მხეცი კი არა ვარ. გული მტკივა, მაში-
ნებს მათი ბედი... სული მიწუხს და ამიტომ ვყვირი... და არა სიბო-
როტით, რათ მარიღებ შევიღებს?

აკულინა ივანოვნა — ვიცი, გეთაყვა... ვიცი... ყველა-
ფერი ვიცი... ისინიც მებრალებიან. ჩვენ დავბერდით... ჩვენი დრო
მოკვამეთ, მათ კი ცხოვრება უნდათ! ისინი, გეთაყვა, სიმწარეს გა-
რეშეებისაგან კიდევ ბლომად იწვნევენ...

პეტრე — მამაჩემო! მართლაც რომ ტყუილ-უბრალოდ... ღე-
ლა... რალაც ახირებული აზრები გებადება...

ბესსემენოვი — შიში მიპყრობს! დროა ასეთი... საშინე-
ლი დროა! ყველაფერი იმსხვრევა, ირყევა... ცხოვრება ბოროტ-
რობს... შენი მომავალი მაშინებს... უცებ რაიმე და... ვინ შეგვი-
ნახავს მოხუცებულობაში?.. შენ ხარ ჩვენი იმედი, თორემ ნილი,
თვითონაც ხელავ როგორია! აი ეს... ფრინველი, ტეტერევი... კარგი
ჩამ არის! მოერიდე მათ! იმათ... ჩვენ არ ვუყვარვართ. ფრთხილად
თყავი.

პეტრე — კარგი ერთი! არაფერიც არ შემემთხვა... აი, ცოტას
კიდევ დავიციდი... და მერე თხოვნას შევიტან, რომ უნივერსიტეტ-
ში... აღმადგინონ...

აკულინა ივანოვნა — მალე შეიტანე, პეტია, დააწყნა-
რე, გაახარე საწყალი მამაშენი...

ბესსემენოვი — მე შენი მჯერა, პეტრე, როცა ასე... გო-
ნიერულად მსჯელობ... მჯერა, რომ ჩემზე ნაკლებ არ მოაწყობ
შენს ცხოვრებას... მაგრამ ზოგჯერ კი...

პეტრე — კარგი, დავანებოთ თავი ამას... გვეყოფა!.. აბა
აფიქრე, რა ხშირად ვტეხავთ ალიაქოსს... სულ ამის გამო.

აკულინა ივანოვნა — თქვენ გეთაყვანეთ... თქვენ!

ბესსემენოვი — აი, ეს ტატიანაც... ეხ! ნეტა თავს დაანე-
ჩებდეს სასწავლებელს... რა ოხრად უნდა?.. სალაგათს აცლის და
სხვა არაფერი...

პეტრე — სწორია. უნდა დაისვენოს...

აკულინა ივანოვნა — სჭირდება და ეგრე?!

ნილი — (შემოდის ლურჯ ხელთში გადაცმული, მაგრამ ჯერ ისევ
ჩარბუხანელი). სადილი მალე იქნება? ა? (ნილის დანახვაზე, პეტრე საჩქა-
როდ გადის ღერეფანში).

ბესსემენოვი — ჯერ ეგ სიფათი დაიბანე და სადილი მე-
რე მოიკითხე, უკეთესი იქნება...

ნილი — არც ისე დიდი სიფათი მაქვს. ხელად ჩამოვიბან, მაგ-

რამ მგელივით კი მშობი. ქარი, წვიმა, სუსხი, ძველი დანჯღრეული
ორთქლმავალი... საღვთოთი გამაცალა... ერთი დეპოს უფროსი გა-
მასეირნებინა იმ ორთქლმავლით ასეთ ამინდში და ნახავდა სეირს...

ბესსემენოვი — ენა ნუ წაიგრძელე! ყბას ნუ იქცევ უფრო-
სებზე ლაპარაკით... ფრთხილად, ფრთხილად იყავი... ასეთებს უსია-
მოგვების მეტი არაფერი არ მოსდევს...

ნილი — უფროსებს უსიამოვნება არ მოელოთ.

აკულინა ივანოვნა — უფროსებზე კი არა, შენზეა ლა-
პარაკი.

ნილი — აბა, ჩემზე?

ბესსემენოვი — ჰო, შენზე...

ნილი — ოჰოო?

ბესსემენოვი — ყბას ნუ იქცევ, ყური დამიგდე!..

ნილი — გისმენ!

ბესსემენოვი — თავს გაგივიდა...

ნილი — დიდხანია?

ბესსემენოვი — მაგენით ჩემთან ნუ ლაპარაკობ!

ნილი — მე ერთი ენა მაქვს. (ენას გამოყოფს). ყველას ამითი ვე-
ლაპარაკები...

აკულინა ივანოვნა — უუ, შე უსირცხვილო! ვის
უყოფ ენას, ჰა?

ბესსემენოვი — დაიცა, დედაკაცო! მე მაცალე! (აკულინა
ივანოვნა საყვედურით თავს აქნებს და გადის). შენ... ჭკუის კოლოფო...
სათქმელი მაქვს შენთან...

ნილი — სადილის შემდეგ?

ბესსემენოვი — არა, ახლა!

ნილი — ნასადილევს აჯობებდა. ძალიან მშობი, დაღლილიცა
ვარ, მცირეა... დამდეთ პატივი, გადასდეთ თქვენს საუბარი. მერე და,
რა უნდა მითხრათ ისეთი? უნდა ილანძლოთ... მე კი, მართალი
გიტხრათ თქვენთან კინკლაობის თავი არა მაქვს... უმჯობესია პირ-
დაპირი მითხრათ, მითხრათ, რომ გეჯავრებით... და რომ მე...

ბესსემენოვი — ფუი! ეშმაკმა წაგიღოს! (გადის თავის ოთახ-
ში და მჭიდროდ მიხურავს კარს).

ნილი — (ბუზღუნებს). ძალიან კარგი. უმჯობესია ეშმაკმა, ვიდ-
რე შენი (დადის და რალაცას ღლინებს თავისთვის. შემოდის ტატიანა). ისევ
შეპყეფეთ ერთმანეთს?

ტატიანა — შენ ვერ წარმოიდგენ...

ნილი — შესანიშნავად მაქვს წარმოიდგენილი... რალაც ღრ-

მატიულ სცენას თამაშობთ დაუსრულებელ კომედიიდან: „არც
იქით — არც აქეთ!“

ტატიანა — შენ რა გენაღვლება. შეგიძლია ასე ილაპარაკო...
მუდამ განზე გადგები ხოლმე...

ნილი — არა, მე ვახერხებ, რომ ახლოს არ მოვუშვა მთელი
ეს აურზაური და მალე, სამუდამოდაც ავიცილო... რა ვქნა, ისევ
დეპოში გადავალ ამწყობად... მომბერდა საქონლის მატარებლებით
ლამ-ლამობით წინწალი, სულ სხვაა სახალხო... ექსპრესი მაგალი-
თად... ჰკვეთ ჰაერს, მიჰქრი სრული სისწრაფით... საბარგოთი კი —
ციცხლფარეშთან ერთად საცოდავად მიცოცავ საღდაც... მოწყენი-
ლობა გკლავს... მე კი, ხალხში ყოფნა მიყვარს.

ტატიანა — რა ვიცი, ჩვენ კი ვავირობიხარ და...

ნილი — სწორია! მაპატიე, რომ სიმართლეს ვამბობ. ვავრბი-
ვარ, მაშ რა ვქნა? სიცოცხლე მიყვარს, ხმაური, შრომა, მიყვარს სა-
და და მხიარული ხალხი, თქვენ კი, განა ეს ცხოვრება ცხოვრებაა?
მხოლოდ ეზომებით და ებლაუჭებით ცხოვრებას... სჩივით რალაც
გაუგებარ მიზეზის გამო, კენესით, წუწუნებით... ვის ან რას შესტი-
რით, რატომ შესტირით? არ მესმის...

ტატიანა — შენ? არ გესმის?

ნილი — სწორედ მე! მე არ მესმის! როდესაც ადამიანს ერთ
გვერდზე წოლა შეაწუხებს, გადაბრუნდება, მაგრამ როცა ცხოვრე-
ბა შეაწუხებს ის წუწუნს იწყებს... იმის მაგიერ, რომ ძალღონე
მოიკრიფოს და მეორე გვერდზე გადაბრუნდეს.

ტატიანა — იცი, ერთ ფილოსოფოსს უთქვამს, რომ ცხოვ-
რება, მხოლოდ ბრიყვებს ეჩვენებათ მარტივადო!

ნილი — ალბათ ფილოსოფოსებმა ბრიყვების ყადრი იციან...
მაგრამ მე ხომ ჩემს თავს ბრძენად არ ვთვლი... მე ძალდაუტანებ-
ლად, ნათლად ვხედავ, რომ თქვენთან ცხოვრება უზომოდ მოსაწყე-
ნია. ვფიქრობ იმიტომ, რომ თქვენ ყველაფერზე და ყველაზე წუწუ-
ნი გიყვართ. რას წუწუნებთ? ვინ გიშველით? არავინ! და არც ხართ
შველის ღირსი.

ტატიანა — რატომ ხარ, ნილ, ასეთი გულქვა.

ნილი — მერე და, განა ეს გულქვაობაა?

ტატიანა — სისასტიკეც... მე ვფიქრობ, ყოველივე ეს —
ტიტერევისგან გადმოგედო... იმას რატომღაც ყველა დასანახავად
იჯავრება.

ნილი — არა, ყველა არა... (სიცილით). მართლა, ეს ტიტერევი
ნაჯახს არ მოგაგონებს?

ტატიანა — ნაჯახს? რა ნაჯახს?

ნ ი ლ ი — ჩვეულებრივ, რკინის ნაჯახს ხის ტარით...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ნუ ხუმრობ! არ გინდა... იცი, შენთან საუბარი სასიამოვნოა... შენ ისეთი ახალი, ცოცხალი კაცი ხარ... ოღონდ უგულისყურო...

ნ ი ლ ი — რის მიმართ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — ხალხის... მაგალითად, ჩემს მიმართ...

ნ ი ლ ი — მმ... ალბათ, არა ყველას მიმართ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — ჩემდამი...

ნ ი ლ ი — შენდამი? ჰო... (ორივე დუმს. ნილი ათვლიერებს წაღებს. ტატიანა შესტკერის მას რაღაცის მომლოდინე). იცით... მე შენდამი... ესე იგი, მე შენ... (ტატიანა მისკენ ამოძრავდება, ნილი კი ვერას ამჩნევს). დიდ პატივს გცემ... მიყვარხარ კიდევ. ოღონდ არ მომწონს, რომ პროფესიით მასწავლებელი ხარ! ეს საქმე შენ არ გიყვარს, გქანცავს, გაბრაზებს... დიდი, ძალიან დიდი საქმე კი არის... ბალები — ეს ხომ მომავალი ადამიანებია... მათ უნდა აფასებდნენ, უნდა გიყვარდნენ. რა საქმეც არ უნდა იყოს, თუ არ გიყვარს, კარგად ვერ გააკეთებ. იცი, მე საშინლად მიყვარს ჰედვა-კვერვა. აი, შენს წინ წითელი, უსახო-უყალიბო ყურსია, გაავებული და მცხუნვარე... სცემ უროს და განცხრომით ხარ. ის კი ცეცხლის ჩინჩხლებს ყრის... უნდა თვალები დაგწვას, დაგაბრმავოს და გაგაგდოს... ის ცოცხალია, დრეკადია... და შენც სრული ძალღონით სცემ უროს და სჭედ რასაც გინდა...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ამისთვის ძალზე ღონიერი უნდა იყო...

ნ ი ლ ი — ხერხიანიც...

ტ ა ტ ი ა ნ ა — გამიგონე, ნილ, შენ არასოდეს არ გებრალდება...

ნ ი ლ ი — ვინ?

ე ლ ე ნ ე — (შემოდის). ისადილეთ? არა? წამოდით ჩემთან! რომ იცოდეთ, რა შესანიშნავი ღვეზელი გამოვაცხვე! სად არის პროკურორი? რა საუცხოო ღვეზელია!

ნ ი ლ ი — (უახლოვდება ელენეს). მოვდივარ! მე ვშთანთქმავ თქვენს შესანიშნავ ღვეზელს! სიმშლით ვკვდები და განზრახ არ მაჭმევენ! რატომღაც გულმოსულნი არიან ჩემზე...

ე ლ ე ნ ე — შენივე ენის ბრალი იქნება... წამო, ტანია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — დაიცა, დედას გავაფრთხილებ... (გაღის).

ნ ი ლ ი — საიდან იცით, რომ მე მამას ენა გამოვუყავი?

ე ლ ე ნ ე — რა-ა? მე არაფერიც არ ვიცი! რა მოხდა?

ნ ი ლ ი — მაშ, არც მე გეტყვით... უმჯობესია, თქვენი შესანიშნავი ღვეზელის ამბავი მითხრათ.

ე ლ ე ნ ე — მაინც გავიგებ! რაც შეეხება ღვეზელს... იცით? მი-

სი გამოცხობა? ერთმა მკვლევარისათვის მსჯავრდადებულმა ტუ-სალმა მასწავლა. ჩემი ქმარი ნებას აძლევდა, რომ სამზარეულოში ემუშავა. ისეთი საცოდავი, გაძვალტყავებული კაცი იყო...

ნ ი ლ ი — ქმარი?

ე ლ ე ნ ე — მოწყალეო ხელმწიფევი! ჩემი ქმარი სიმაღლით თორმეტი გოჯი იყო...

ნ ი ლ ი — ასეთი ჯუჯა?

ე ლ ე ნ ე — ხმა, კრინტი! ულვაშები კი ასეთი ჰქონდა... (უჩუბ-ჩებს ხელებით). სიგრძით სამი გოჯი...

ნ ი ლ ი — პირველად მესმის, რომ ადამიანის ღირსებას გოჯე-ბით ზომავდნენ!

ე ლ ე ნ ე — სამწუხაროდ, მას ულვაშებს გარდა, სხვა არავითარი ღირსება არ გააჩნდა.

ნ ი ლ ი — ეს კი სავალალოა! განაგრძეთ ღვეზელის ამბავი.

ე ლ ე ნ ე — ის ტუსალი, მზარეული ყოფილა და ცოლი მოუკლავს, მაგრამ მაინც მომწონდა. თურმე ის როგორღაც... ისე მოჰკლა...

ნ ი ლ ი — სხვათა შორის, არა?... გასაგებია!

ე ლ ე ნ ე — დაიკარგეთ! არ მინდა თქვენთან ლაპარაკი. (ტატიანა, გამოსწრაფი კარებში და უცქერის მათ. მეორე კარებიდან გამოდის პეტრე). პროკურორო, წამოდი ჩემთან... რომ იცოდეთ, რა ღვეზელი მაქვს!

პ ე ტ რ ე — სიამოვნებით!

ნ ი ლ ი — დღეს ეს ყმაწვილი მამიკომ ცოტა შეახურა... მშობლების უპატივემლობისათვის.

პ ე ტ რ ე — კარგი, გეყოფა!..

ნ ი ლ ი — მიკვირს, როგორ ბედავს მათ დაუკითხავად წამოსვლას.

პ ე ტ რ ე — (მოუსვენრად იცქირება მოხუცების კარებისაკენ). თუ მივდივართ, ბარემ წავიდეთ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — თქვენ წადით და მე მალე მოვალ... (ნილი, პეტრე და ელენე მიდიან. ტატიანა შედის თავის ოთახში, მაგრამ ამ დროს მოხუცების ოთახიდან მოისმის აკულინა ივანოვნას ხმა).

აკულინა ივანოვნა — ტანია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (შეჩერდება, მოუთმენლად შეიშუშუნის მხრებს). რა იყო?

აკულინა ივანოვნა — (კარებში). მოდი აქ. (თითქმის ჩურჩილთ). რა პეტრეა ისე იმასთან წავიდა?

ტ ა ტ ი ა ნ ა — დიან... და მეც მივდივარ.

აკულინა ივანოვნა — ვაი ჩემს მოსწრებას. გაუბრუებს თავს ჩემს პეტრეს ის გასაქრობი ცმუკია. კარგად ვგრძნობ ამას მე,

უბედური, შენ მაინც მოელაპარაკე. უთხარ, ძამიკო, შეჩერდი-თქო. არ არის შენი შესაფერი-თქო... უთხარი, უთხარი... მერე მაგ ჩიტირეკიას, სამი ათასი მანეთისა და ქმრის პენსიის მეტი... არა გააჩნია რა... ვიცი, გეთაყვა, კარგად ვიცი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — დედა, დაანებეთ ამას თავი. ელენე სულაც არ აქცევს პეტრეს ყურადღებას...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — განზრახ სჩადის ამას! განზრახ! ეგ გაქნილი, ცეცხლს უკიდებს... თავს იკატუნებს, ვითომ არაფერიო... თითონ კი კვალდაკვალ დასდევს, როგორც კატა ჭივჭავს...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ოხ!.. მერე რა! თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ... თავი დამანებეთ! გაიგეთ — დავილაღე!

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — შენც ახლა ნურაფერს ეტყვი... წადი, დაწევი, დაისვენე...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (თითქმის ყვირის). აქ ვერსადაც ვერ დავისვენებ, სამუდამოდ დავიქანცე... სამუდამოდ! გაიგეთ! მთელი სიცოცხლე თქვენ მქანცავთ... თქვენ... (სწრაფად გადის დერეფანში, აკულინა ივანოვნა ისე გაიწევეს ქალშვილისაყენ, თითქოს მისი შეჩერება უნდაო, მაგრამ ტაშს შემოკრავს და გოგნებულო, პირდაღებული გაჩერდება).

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (იციობება კარებიდან). ისევ შეტაკება?

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (გამოფხიზლდება). არა, არაფერი... ეს ისე...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — რა ისე? კადნიერად გელაპარაკა?

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (სწრაფად). არა, არაფერიც... რას ამბობ? ვუთხარი, სადილობის ღრთა-მეთქი, მან კი — არ მინდაო! მე ვუთხარი, როგორ თუ არ გინდა-მეთქი? ის კი...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — მერე და იმათი გულისათვის სცრუობ ამდენს? აბა თვალბში შემომხედე... არ შეგიძლია სიცრუე... აი, შე! (აკულინა ივანოვნა თავდახრილი დგას ქმრის წინაშე და ღუმს. ბესსემენოვიც ღუმს. მერე ჩაფიქრებული ლაპარაკობს) ეხ... ამ განათლებამ ტყუილ-უბრალოდ გაგვიფიქნა მათგან...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (წყნარად). კარგი ერთი შენც! ჩვენ დროში არც უსწავლელნი არიან უკეთესები...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — არასოდეს არ უნდა მისცე შეილებს იმაზე მეტი, რაც შენ თვითონ გაქვს... ამათი შემყურეს დღითიდღე სულ უფრო და უფრო მიკვდება გული... ვერ ვხედავ მათში... ვერც ხასიათს... ვერც ვერავითარ სიმტკიცეს... ყოველ ადამიანში ხომ უნდა იყოს რაღაც თავისი... ამათ კი... საკუთარი სახეც არ გააჩნიათ! აი ნილი... ხომ კადნიერია... ავაზაკია... მაგრამ — კაცია, პიროვნება... საშიშარია... მაგრამ გესმის მისი ზრახვები... ეხ-ეხ-ე! აი მე, ახალ-

გაზრდობაში, საეკლესიო გალობა მიყვარდა... სოკოების ძებნაც მიყვარდა... აბა, ერთი მითხარი, პეტრეს რა უყვარს?

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (მორიდებულად, ამოხენკეშით). მდგმურ ქალთან წავიდა.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — დახე, დახე... მაშ კარგი... დამაცადოს! მე იმას ვაჩვენებ... (შემოდის ტეტერევი — ნამპინარევი და ჩვეულებრივზე უფრო მოღუშული, ხელში უჭირავს არაყით სავსე ბოთლი და პატარა ქიქა). ტერენტი ხრისანფოვიჩ! ისევ გაიხსნილეთ?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — წუხელ, მწუხრის წირვის შემდეგ...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — რის გამო?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — უმიზეზოდ. მალე ვისადილებთ?

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ახლავე გავშლი სუფრას... (იწყებს უუსუსს).

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — ეპ-ჰე... ტერენტი ხრისანფოვიჩ! ჭკვიანი კაცი ხარ... მაგრამ არაყი გლუპავს!..

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — სტყუი, პატივცემულო მდაბიოვ, მე მლუპავს არა არაყი, არამედ ჩემივე ღონე... ძალ-ღონის სიჭარბე, აი რა არის ჩემი დამლუპველი...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — არა, გეთაყვა, ზედმეტი ღონე არ არსებობს...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ისევ სტყუი! ჩვენს დროში ღონე არავის არ სჭირდება. ახლა ხელმარდობა, გაიძვერობაა საჭირო... გველის მოქნილობა. (დაიმკლავებს და უჩვენებს მუშტს). უცქირე, ეს რომ მაგიდას დაეარტყა, ნამსხვრევებად ვაქცევ. და ასეთი ხელებით ცხოვრებაში ვერაფერს ვერ გააკეთებ. ამ ხელებით შეიძლება შეშა დავაპო, მაგრამ წერა, ჯერ ერთი, მიჭირს და, მეორეც, სასაცილოა... ვერაფრით ვერ გამომიყენებია ჩემი ძალა. ჩემი უნარის შესაფერი ადგილი შეიძლება მხოლოდ ბაზრის საოინბაზოში იყოს. საოინბაზოში, სადაც ხალხის გასართობად ჯაჭვებს დავგლეჯ, სიმძიმეებს ავწევ... და სხვა. მაგრამ მისწავლია... კარგადაც ვსწავლობდი... რისთვისაც დამაპანდურეს კიდეც სემინარიიდან... რაკი მისწავლია, არ მინდა ვიცხოვრო სხვის გასართობად. არ მინდა, მოხვიდე საოინბაზოში და მშვიდი კმაყოფილებით დასტკებ ჩემი ცქერით. მე მინდა, რომ მოუსვენარი, შემფოთებული უკმაყოფილებით შემომტკეროდეთ.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — რა ბოროტი ხარ...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ჩემი სიდიდის ხვადაგი არ შეიძლება ბოროტი იყოს... ზოოლოგიის შენ არაფერი არ გაგეგება, ბუნება ეშმაკია. აბა დაუკვირდი ჩემს ძალ-ღონესთან ერთად ბოროტიც რომ ვიყო, მაშინ სად გამექცეოდი, სად?

ბესსემენოვი — არსადაც არ გავექცევი... მე ჩემს სახლში ვარ.

აკულინა ივანოვნა — კარგი, ნუ აპყვები.

ტეტერევი — სწორია! საკუთარ სახლში ხარ. მთელი ცხოვრება შენი სახლია, შენი ნაგებობა... სწორედ ამიტომ არ გამაჩნია საცხოვრებელი, მდაბიოვ!

ბესსემენოვი — ცუდ-უბრალოდ ცხოვრობ... არაფრის მაქნისი შენ არა ხარ... მაგრამ, თუ მოინდომებ...

ტეტერევი — არ მოვინდომებ, ვინაიდან ყოველივე ეს მენიზღება. მირჩევნია ვილოთო, დავიღუპო, ვიდრე ვიცხოვრო და ვიწრომოდ შენთვის და შენისთანებისათვის. განა შეგიძლია, მდაბიოვ, წარმომიდგინო მე ფხიზელი, წესიერად ჩაცმული და შენთან მორჩილი მსახურის ენით მოსაუბრე?! არა არ შემიძლია... (შემოდის პოლია. ტეტერევის დანახვაზე უკან იხევს. ტეტერევი თვალს მოჰკრავს პოლიას და გაიღიმებს, მერე თავს დაუქნევს და ხელს გაუშვებს). გამარჯობათ და ნურც გეშინიათ... მეტს არას გეტყვით... ვინაიდან ყველაფერი ვიცო!

პოლია — (დარცხენილი). რა?... რა უნდა იცოდეთ?

აკულინა ივანოვნა — აჰა, მოხველი? აბა, წადი და სტეპანიდას უთხარი, სადილი შემოიტანოს...

ბესსემენოვი — დროა... (ტეტერევის). მიყვარს შენი მოსმენა, როცა მსჯელობ... განსაკუთრებით, როცა შენ თავზე მსჯელობ, კარგად გამოგდის. და აი, გიკქერ, გიკქერ და საშიში კაცი მგონიხარ. საკუთარ აზრთა გადმოლაგებას რომ დაიწყებ, ვგრძნობ შენ სისუსტეს... (ცმაყოფილი წყნარად იცინის).

ტეტერევი — მეც მომწონხარ, იმიტომ, რომ ზომიერად ჰყვიანია ხარ და ზომიერადვე ბრიყვიც; ზომიერად კეთილი და ზომიერადვე ბოროტიც; ზომიერად პატიოსანი და უნამუსო, ზომიერადვე მხდალი და გაბედულიც... სამაგალითო — მდაბიო ხარ... უხამსობის ხორცშესხმული განსახიერება ხარ... სრულყოფილად შეგისისხლნორცებია უხამსობა... უხამსობა კი ის ძალაა, რომელიც გმირსაც ამარცხებს და ცოცხლობს, ცოცხლობს და ზეიმობს... მოდი, ჭამის წინ გადავკრათ, პატივცემულო თხუნელავ!

ბესსემენოვი — მოიტანენ და გადავკრავ კიდეც. მაგრამ, ერთი ეს მითხარი, რათ ილანძღები?... უმიზეზოდ კაცს რათ უნდა აწყენინო? მსჯელობა უწყინარი, მშვიდი, დალაგებულია საჭირო, რომ შენი მოსმენა კაცს ეხალისებოდეს... თუკი სიტყვებით ადამიანს შეურაცხყოფას მიაყენებ, ვინ მოგისმენს? სულელი უნდა იყოს, ვინც მოგისმენს!

ნილი — (შემოსვლისთანავე). პოლია მოვიდა?

ტეტერევი — (ჩაიცინებს). მოვიდა.

აკულინა ივანოვნა — მერე და შენ რა გესაქმება?

ნილი — (არ უპასუხებს. ტეტერევის). ეჭვი-გადაგიკრავს? ისევ? ძალიან კი მოუხშირე, აი...

ტეტერევი — ადამიანის სისხლის სმას არაყის სმა მირჩევნია... მით უმეტეს, რომ თანამედროვე ადამიანის სისხლი წყალ-წყალაა, საძაგელი და უგემური... ჯანსაღი, გემრიელი სისხლი ცოტალა დარჩა, სულ გამოსწოვეს... (პოლია და სტეპანიდა. სტეპანიდას მოაქვს საწვე. პოლიას კი თევზით ხორცი).

ნილი — (მივა პოლიასთან). გამარჯვება. პასუხი მზადაა?

პოლია — (ხმადაბლა). მოიცა! ასე ყველასთან ხომ ვერ ვიტყვი...

ნილი — დიდი ამბავი! ვისი გეშინია?!

ბესსემენოვი — ვის? რა?

ნილი — მე... და აი ამას...

აკულინა ივანოვნა — არაფერი არ მესმის...

ტეტერევი — (ჩაიცინებს). მე კი მესმის... (ისხამს არაყს და ხეშს).

ბესსემენოვი — რაშია საქმე? რა იყო, პელაგია?

პოლია — (დარცხენით, ხმადაბლა). არაფერი...

ნილი — (მიუჯღება მაგიდას). სრული საიდუმლოება!

ბესსემენოვი — თუ საიდუმლოა, იჩურჩულე შენთვის ხადმე კუთხეში და არა ყველას თანდასწრებით. თორემ, რას გავს, ეს რალაც დაცინვან... სახლიდან ხომ არ გავექცევი თქვენი გული-სათვის. რალაც ქარაგმები, ჩურჩული... შენ კი იჯექი შენთვის ბრიყვიით და პირი დააღე... შენ გეკითხები, ნილ, რა ვარ მე შენთვის?

აკულინა ივანოვნა — მართლაც და, რა არის, ნილ, რას გავს ეს...

ნილი — ჩემი მამობილი ხართ... მაგრამ გაბრაზება და აურხაური რა საჭიროა... არაფერი ისეთი არ მომხდარა.

პოლია — (დგება სკამიდან, რომელზედაც ის იყო დაჯდა). ნილ ვახილიჩმა... გუშინ საღამოთი მითხრა... მკითხა...

ბესსემენოვი — ჰო, რაო?... რა გკითხა?

ნილი — (მშვიდად). ნუ შეაშინეთ... ვკითხე, ცოლად ხომ გამომყვები-მეთქი... (ბესსემენოვი გაკვირებული შესცქერის მას და პოლიას მძლია აწეული კოვზი ხელში უძრავად შერჩენია. აკულინა ივანოვნა ადგილზევე გაქვიადა. ტეტერევი წინ იცქირება და მიიმედ ახამხამებს თვალებს. მეორე ხელი, მუხლზე რომ უდევს, კრთის, პოლიამ თავი დახარა).

ნ ი ლ ი — (განაგრძობს). მან კი მითხრა, რომ პასუხს დღეს მომცემს... ეს არის სულ...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (ხელს ჩაიქნევს). სულ... უბრალოდ... და მეტი არაფერი...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — მაშ ასე... მართლაც... ძალიან უბრალოდ! (სინანულით). ახლებურ ყაიდაზე ყველაფერი! თუმცა რა გვეთქმის! ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ურჯულო ხარ, ურჯულო! თავზე ხელაღებული! არ გეკადრებოდა, ჩვენც შეგვეკითხებოდი?

ნ ი ლ ი — (სინანულით). ეს რა წამოგაყარა ტალე... მეც ვარ რაღა

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — თავი დაანებე, დედაკაცო, რა ჩვენი საქმეა! ქამე და შენთვის იყავი... მეც ჩემთვის ვიქნები...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (თვრება). მე კი ვილაპარაკებ... თუმცა ჯერ მეც ჩუმად ვიქნები...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — დიახ!.. უმჯობესია ყველა გაგჩუმდეთ. ნილ, შენ მაინც და მაინც უნებ მადლიერებას არ იჩენ ჩემი ამავისა და პურ-მარილისადმი... ქვეშ-ქვეშად ცხოვრობ...

ნ ი ლ ი — თქვენი პურ-მარილი შრომით ვიყიდე და კვლავაც გადავიხდით, მაგრამ თქვენს ნება-სურვილს ვერ დავემორჩილები. ვილაც ბრწყინვალე დედაკაც სეტოვას მირიგებდით, მხოლოდ იმიტომ რომ ათასთუთმინიანი მზითვენი ჰქონდა. რა ოხრად მინდა?! პოლია კი მიყვარს... დიდხანია რაც მიყვარს და არავის ამას არ ვუმალავდი. მუდამ გულდიად მიცხოვრია და ასეც ვიცხოვრებ. სასაყვედურო და გასაკიცხი არაფერი არ ჩამიდენია.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (თავშეკავებით). დიახ, დიახ! ძალიან კარგი... რა გაეწყობა! შეირთე, ჩვენ ხელს არ გიშლით. ოღონდ რა თამასუქით აპირებთ ცხოვრებას? თუ ეს საიდუმლო არ არის — მიბრძანეთ.

ნ ი ლ ი — ვიმუშავებთ. მე დეპოში გადავდივარ. პოლიასაც... ექნება საქმე. თქვენ კი კვლავინდებურად ოცდაათ მანეთს მიიღებთ ყოველთვიურად.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — ვნახოთ. დაპირება იოლია...

ნ ი ლ ი — თამასუქი ჩამომართვით.

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — მდაბიოვ! ჩამოართვი... თამასუქი! ჩამოართვი!

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — არავინ თქვენ ამ საქმეში ჩარევას არ გთხოვთ.

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ესეც მრჩეველია რაღა!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — გამოართვი-მეთქი. ვერ გამოართმევ, არა?

გრცხენია ხომ და ვერ ბედავ... ნილ, მიეცი ხელწერილი! მოვალე ვართო გადავიხადო ყოველთვიურად...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — რატომაც არა! შემძლია ხელწერილიც ჩამოვართვა... საამისო მიზეზიცა მაქვს. ათი წლის იყო... სანამ ოცდაშვიდი წელიწადი არ შეუსრულდა, ვაჭმევდი... ვასვი, ჩავაცვი, დავხურე... დიახ...

ნ ი ლ ი — უმჯობესი არ იქნება ყოველივე ეს მერე ვიანგარიშით... რათა მაინცა და მაინც ახლა მოგინდათ?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — კარგი, ეს მერეც შეიძლება. (უეცრად ახლდება). ოღონდ გახსოვდეს, ნილ, ამიერიდან ჩვენ მტრები ვართ! იცოდე, ამას ვერ გაპატიებ!

ნ ი ლ ი — რას? ხომ არ ელოდით, რომ თქვენ შეგიერთავდით?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (ყვირის, არ უსმენს). გახსოვდეს! იმის აბუჩად ავღება და შეურაცხყოფა, ვინც გარჩენდა, გასმევდა... მის დაუკითხავად... მის რჩევის გარეშე... ფარულად... შენ! მშვიდო! უწყინარო! რას ჩაქინდრე თავი? ა? სდუმხარ? იცი რა შემძლია გიყო?...

ნ ი ლ ი — (წამოადგება). ვერაფერსაც ვერ უხამ. გეყოფა ხმაური. ამ სახლში მეც მაქვს უფლება, მეც ვარ პატრონი! ათი წელიწადია ემუშაობ და მთელი ჩემი შემოსავალი აქ მომქონდა... აქ, აი აქ! (იატახტე ფეხს აბარტყუნებს და განიერ ვესტით ხელს აქეთ-იქით იშვერს). განაკოტა აქ ჩემი ნაამაგარი! იცოდეთ, ვინც შრომობს, მეპატრონეც ის არის... (ნილის ლაპარაკის დროს პოლია გადის. კარებში პეტრე და ტატინა შემოხვდება. პეტრე შემოიხედავს ოთახში და მიიმალევა. ტატინა კარებში დგას, კარის წირთხლზეა მიყრდნობილი).

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (თავზარდაცმული, ძვალდაქვეტილი შესცქერის ნილს). როგორ? პატრონი? შენ?

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — თავი დაანებე! წამო, გეთაყვა, წამო! (ნილს მუშტს უღერებს). დაიცა, ნილ! დაიცა! (ცრემლშორიული). დამაცადე... ნახავ შენ სეირს!

ნ ი ლ ი — (დაყინებით) დიახ, პატრონი. ის არის, ვინც შრომობს... კარგად დაიხსომეთ!

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (ძალით მიჰყავს ქმარი). წავიდეთ ბებერო! წამოდი, ჯანდაბას მაგისი თავი. ნუ ლაპარაკობ, ნუ ყვირი! ვინ გაგვიგონებს?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (დაჰყვება ცოლის ნებას). ჰო, კარგი... დარჩი... ბატონო! ვნახოთ... ვინ იქნება პატრონი! ვნახოთ! (გადის თავის ოთახში. ნილი აღელვებული დადის აქეთ-იქით. ქუჩიდან საიდანღაც მოისმის არსის შორი ხმა).

ნ ი ლ ი — ეს რა ხათაბალა ავიტეხე! რა ეშმაკმა დაქაჩა ენაზე... თითქოს მერე ვერ მოვახერხებდი შეკითხვას? ბრიყვი ვარ! არაფრის დამალვა არ შემიძლია... სრულიად არაფრის... ჩემდა უნებურად წამომცდებდა ხოლმე! დალახეროს ეშმაკმა!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ეს არაფერი. საინტერესო წარმოდგენა კი იყო აი! სიამოვნებით ვუსმენდი და ვუცქეროდი. არა უშავს რა, გვარიანია! ნუ ღელავ, ძმაო. ნიჭი გქონია... გმირული როლების თამაში შეგძლებია... დღეს კი გმირია საჭირო... დამიჯერე! ჩვენ დროში ადამიანები უნდა იყოფოდნენ გმირებად, ესე იგი, ბრიყვებად და არამზადებად ან ჭკვიანებად.

ნ ი ლ ი — რად დავატეხე პოლიას ეს სისაძაგლე? შეშინდა... არა, ის მხდალი არ არის! ალბათ ეწყინა... ფუი! (ტატიანა, ისევ კარებში დგას. პოლიას სახელის გაგონებაზე მთელი ტანით შეიშვრის. არღნის ხმა წყდება).

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ადამიანების დაყოფა ბრიყვებად და არამზადებად ხელსაყრელია. არამზადები ურიცხვნი არიან. ნადირის ჭკუით ცხოვრობენ, მათ მხოლოდ ძალის სიმართლე სწამთ, ჩემი ძალის კი, აი აქ მკერდში რომ არის მოთავსებული — არა... მათ სწამთ ცბიერება მზაკვრობის ძალისა... მზაკვრობა ნადირის ჭკუაა.

ნ ი ლ ი — (არ უსმენს). ახლა ქორწილის დაჩქარებაა საჭირო... დავაჩქარებთ კიდეც... თუმცა პოლიას ჯერ პასუხიც არ მიუცია... თუმცა ვიცი, რას მიპასუხებს, რასაც მეტყვის ჩემი კარგი გოგონა... რომ იცოდნენ, როგორ მეზიზღება ეს კაცი, ეს სახლი და მთელი ეს ცხოვრება... დამყაყებელი ცხოვრება. აქ ყველანი... რაღაცნაირი მახინჯები არიან. და არც გრძნობენ, რომ ეს ცხოვრება მათვე გაასაძაგლეს, უმნიშვნელო არარაობამდე მიიყვანეს... საბყრობილედ, კატორღად და უბედურობად აქციეს იგი... საკვირველია, როგორ შესძლეს? არ მესმის... მაგრამ, საშინლად მეზიზღებიან და ვერ ვიტან იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას ასე ასაძაგლებენ, ამახინჯებენ... (ტატიანა გადსდგამს ნაბიჯს მოსვენ, მაგრამ შეჩერდება. შემდეგ ნელა მიდის სკივრისკენ და ჯდება კუთხეში. ის მოიხარა, დაპატარავდა და როგორღაც გასაცოდავდა).

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ცხოვრებას მხოლოდ ბრიყვები ალამაზებენ. მაგრამ ბრიყვები ცოტანი არიან. სულ ძიებაში არიან, ეძებენ იმას, რაც მათვე არ ეჭირვებათ... თხზავენ საყოველთაო ბედნიერების გეგმებს და რაღაც ამგვარ აბდაუბდას. სურთ იბოვონ ცხოვრების არსის თავი და ბოლო. საერთოდ... სისულელეს ჩმახავენ...

ნ ი ლ ი — (ფიქრში წასული). ჰო, სისულელე. მე ამის ოსტატი ვარ... მაგრამ, ის ჩემზე ფხიზელია... იმასაც უყვარს ცხოვრება... გუ-

ლისყურიათ, მშვიდობიანი სიყვარულით... ვიცი, ჩინებულად ვიცხოვრებთ ერთად! ჩვენ ორთავენი გაბედულები ვართ... და რასაც მოვიწადინებთ, მივალწვეთ კიდეც! დიახ, მივალწვეთ... ის როგორღაც... ახალშობილივითაა. (იცინის). ჩვენ მშვენივრად ვიცხოვრებთ!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ბრიყვი მთელი თავის სიცოცხლეს იმის ფიქრს მონადომებს, რათ არის მინა ასე გამჭვირვალე, არამზადა კი ამასობაში ამ მინისაგან სულ უბრალოდ ბოთლებს აკეთებს. (ისევ გასმის არღნის ხმა, სულ ახლოს, თითქმის ფანჯარასთან).

ნ ი ლ ი — შენ რა ისევე ბოთლებზე ლაპარაკობ?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არა, ბრიყვებზე. ბრიყვი ეკითხება თავის თავს, სად არის ცეცხლი, სანამ არ ანთია. როცა დაიწვის, კითხულობს, რა იქნაო? არამზადა კი არხეინად უზის ცეცხლს და თბილად არის...

ნ ი ლ ი — (ფიქრში წასული). დიახ... თბილად არის...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არსებითად კი, ორივე ბრიყვია. ოღონდ ერთი ბრიყვია ლამაზად, გმირულად, მეორე კი ჩლუნგად და გლაზაკურად. თუმცა ორივენი სხვადასხვა გზით, მაგრამ ერთი მიზნისკენ მიემართებიან — სამარისაკენ, მხოლოდ სამარისაკენ, ჩემო მეგობარო... (ხარხარებს. ტატიანა თავს ნელა იქნევს).

ნ ი ლ ი — (ბებრავს) რა მოგივიდა?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ვიცინი... გადარჩენილი ბრიყვები უცქერიან მკვდარ თანამოძმებს და თავის თავს ეკითხებიან — სად არის იგი? არამზადა კი არხეინად ეპატრონება მიცვალებულის ქონებას და განაცრომებს თბილ, მადლარსა და საამურო ცხოვრებას. (ხარხარებს).

ნ ი ლ ი — არა უშავს კარგად გაძობრუქულხარ... დაგესვენა... ა, რას იტყვი?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — მიმითითე, სად?

ნ ი ლ ი — აბა, ნუ ცეტობ! გინდა, წაგიყვან?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — მე, ჩემო ძმაო, ვერსადაც ვერ წამიყვან. მე არც ბრალდებულის და არც დაზარალებულის... ნათესავი არა ვარ. მე ჩემდათავად ვარ! მე — ბოროტმოქმედების ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ვარ. ცხოვრება გასაზიზღრებულია! ის ცუდათ არის შეკერილი. მე ვლაპარაკობ, რომ ცხოვრება პატიოსან კაცის ტანზე არ არის შეკერილი-მეთქი. მდაბიობმა, მეშინებმა დააფიწროვეს და დამოკლეს... და აი მე გახლავარ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ადამიანს ქვეყანაზე არც ადგილი აქვს, არც ცხოვრება და, საერთოდ, არც ღირს ცხოვრება...

ნ ი ლ ი — ჰო, კარგი, წადი! წადი ახლა!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — დამეხსენი! შენ გგონია, დავეცემი? მე უკვე

დავეცი, დავეცი, შე ჩერჩეტო! დიდხანია! თუმცა წამოდგომას ვლამობდი, მაგრამ შენ ჩამიარე, ვერ შემნიშნე... უცაბედად დამეჯახე და ისევ წავიქეცი! არაფერია, წადი შენის გზით... წადი, არაფერს გისაყვედურებ... შენ ჯანსაღი ხარ და იარე, სადაც გინდა და როგორც გინდა... და მე, დაცემული, გაგაყოლებ კურთხევის თვალს... წადი, იარე!

ნ ი ლ ი — ეს რეებს როშავ? რალაც საინტერესო კი უნდა იყოს, მაგრამ ვერ გამიგია...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ნურც გაიგებ! რათ გინდა! ზოგიერთი, რამ არც უნდა იცოდეს, ვინაიდან, სულერთია, მისი ცოდნა უსარგებლოა. წადი, იარე!

ნ ი ლ ი — კარგი, წავალ. (გადის წინკარში. ვერ ამჩნევს კუთხეში მიკუთხულ ტატიანას).

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (თავს უქნევს). ბედნიერებას გისურვებ ყაჩაღ-მძარცველო! შენდა შეუმჩნეველად მომტაცე უკანასკნელი იმედი... ეშმაკსაც წაუღია! (შიდის მაგიდასთან, სადაც ბოთლი დასტოვა და შეამჩნევს კუთხეში ტატიანას). ეს... ვინ უნდა იყოს?!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (წელა). მე ვარ... (არღნის ხმა სწრაფად წყდება).

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — თქვენ? მ... მ... მე კი ვიფიქრე, მომეჩვენებოდა.

ტ ა ტ ი ა ნ ა — არა, მე ვარ...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — გავიგე... მაგრამ რატომ? რატომ ხართ აქ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით). იმიტომ, რომ არ ვიცი სად, რით ან რატომ ვიცხოვრო... (ტეტერევი ხმისამოუღებლად, წელი ნაბიჯით შიდის მისკენ). არ მესმის, რამ დამქანცა, რამ დამანადვლიანა ასე... თქვენ არ იცით, რა საზარლად მღრღნის დარდი. ოცდარვა წლის ვარ... და მრცხვენია, გარწმუნებთ, ძალიან მრცხვენია, რომ თავს ასე უმწეოდ და არაზრად ვგრძნობ... ჩემს გულში სრული სიცარიელეა... ყველაფერი გადამხმარი და გადამწვარია, ვგრძნობ ამას და ეს უფრო მიასკეცებს ტანჯვას... როგორღაც ჩემდა შეუმჩნეველად მოხდა ეს. ჩემდა შეუმჩნეველად, გულში სიცარიელემ ჩაიბუღა... რათ გეუბნებთ ამას?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არ მესმის... ძალიან მთვრალი ვარ, არაფერი არ გამეგება...

ტ ა ტ ი ა ნ ა — არავინ არ ლაპარაკობს ჩემთან ისე, როგორც მე მინდა... იმედი მქონდა, რომ ის... დამელაპარაკებოდა. დიდხანს... ხმის ამოუღებლად ველოდი... ამასობაში ამ ცხოვრებამ თავისი კინკლაობით, უხამსი წვრილმანობით თანდათან გამსრისია... ცხოვრე-

ბის ხალისი გამომაცალა... ჩემი ეს სასოწარკვეთილებაც როგორღაც უსუსურია... მე მეშინოდა... აი ახლაც... უცებ შიშმა ამიტანა...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (თავს იქნევს, განშორდება და შიშის დერფენსაკენ გადის კარს და ძლივს, მძიმედ და ლულულით გადის). წყევლა და კრულვა სახლსა ამას!.. სხვა არაფერი... (ტატიანა წელი ნაბიჯით გადის თავის ოთახში, წამით სიცარიელე და სიჩუმეა. მალე უხმოდ შემოდის პოლია და შემდეგ წილი. მივლენ ფანჯარასთან. წილი ჩაავლებს ხელს პოლიას და ხმადაბლა ელაპარაკება).

ნ ი ლ ი — მაბატე ჩემი დღევანდელი საქციელი... მეტად ბრიყულად და ცუდად გამომივიდა... როცა ლაპარაკის საღერდელი ამეშლება, თავს ვერ ვიკავებ!

პ ო ლ ი ა — (თითქმის ჩურჩულით). არაფერია... ახლა სულ ერთია, მე მათ, აღარ დავეძებ! სულერთია...

ნ ი ლ ი — ვიცი, გიყვარვარ... ვხედავ... და არც გეკითხები... რა სასაცილო ხარ! აქი გუშინ მითხარი, ხვალ გიპასუხებ, უნდა მოვიფიქროვო. რა სასაცილო ხარ! რა გაქვს საფიქრალი? ხომ გიყვარვარ?

პ ო ლ ი ა — რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... რამდენი ხანია...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (შემოიპარება თავის ოთახიდან, დადგება კარის ფარდებს უკან და უსმენს).

ნ ი ლ ი — ჩვენ შესანიშნავად ვიცხოვრებთ... აი ნახავ. კარგი ამხანაგი იქნები, გაჭირვებას არ შეუშინდები...

პ ო ლ ი ა — (უბრალოდ). შენთან რა შემაშინებს. არც მე ვარ მხალი... ოღონდ ჩუმი ვარ...

ნ ი ლ ი — შეუპოვარი ხარ, ღონიერი და არ შედრკები... პოდა, ასე... მოხარული ვარ... ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე იქნებოდა, ძალიან მიხარია...

პ ო ლ ი ა — მეც გული თითქოს ამას მეუბნებოდა...

ნ ი ლ ი — ნუთუ? გრძნობდი? საუცხოვოა! ეჰ, რა კარგია ცხოვრება! რას იტყვი? ხომ მართალია?

პ ო ლ ი ა — მართალია... ჩემო კარგო მეგობარო... ჩემო სასიქადლო ადამიანო...

ნ ი ლ ი — შენ ამბობ ამას?... რა შესანიშნავად გამოვივიდა.

პ ო ლ ი ა — კარგი ნუ მაქებ... კარგი, უნდა წავიდე... უნდა წავიდე... ვინმე შემოვა...

ნ ი ლ ი — ჯანდაბას იმათი თავი!

პ ო ლ ი ა — ეგრე ნუ... აბა... კიდევ ერთი მაკოცე! (გაუსხლტება შიშის ხელიდან და ისე ჩაურბენს ტატიანას, რომ ვერ შეამჩნევს. წილი უკან ღიშლით მიჰყვება. დანახავს ტატიანას და შედგება მის წინ განცვიფრებული და

„ღმერთებულო, ტატიანა დუმს და მისჩერებია ირინი დიმილითა და გაშტერებუ-
ბული თვალებით).

ნ ი ლ ი — (ზიზღით). გვზვერავედი? გვითვალთვალეზბდი? ეხ, შე!
(სწრაფად გადის. ტატიანა უძრავად, გაქვავებულივით დგას. ნილი გასვლისას
წინა კარს ღიად სტოვებს. ოთახში შემოიჭრება ბესსემენოვის მკაცრი წამოძახი-
ლი): „სტეპანიდა! ნახშირი ვინ დააბნია? ვერ ხედავ? აკრიფე?“

უ ა რ ღ ა

მესამე მოქმედება

იგივე ოთახი

დილაა. სტეპანიდა ავეჯს მტკერს აცლის.

აკულინა ივანოვნა — (ჩაის ჭურჭელს რეცხს). დღეს ძა-
ლიან მკლე საქონლის ხორცი გვაქვს, ამიტომ აი, რას იზამ, გუშინ-
დელ შემწვრისაგან ქონი რომ დარჩა, იმას წვენში ჩაუშვებ... ცხიმ-
სი და ყუათს ის მისცემს... გაიგე?

სტეპანიდა — გავიგე...

აკულინა ივანოვნა — ხბოს ხორცს კი შეწვავ, ოღონდ
ბევრ ერბოს ნუ უზამ... თორემ ოთხშაბათს ხუთი გირვანქა ვიყიდე.
გუშინ ვნახე და ერთი გირვანქაც არ გამოვა...

სტეპანიდა — ალბათ დაიხარჯა...

აკულინა ივანოვნა — ვიცი რომ დაიხარჯა... ჯერ თმა-
ხე რამდენი გაცხია... გაკუბრულ ურმის მორგეს გიგავს თავი.

სტეპანიდა — განა სუნით ვერ ატყობთ, რომ ხატის ზეთი
ჩაქვს წასმული?

აკულინა ივანოვნა — ჰო, კარგი, კარგი!.. (პაუზა). იმ დი-
ლით სად გაგზავნა ტატიანამ?

სტეპანიდა — აფთიაქში... ნიშადურისთვის... ასე მითხრა,
აფთიაქში წადი და აბაზის ნიშადური მიყიდეო.

აკულინა ივანოვნა — ალბათ თავი ტკივა... (ამოხენვით).
ეჰ, სულ ავადმყოფობს.

სტეპანიდა — გაათხოვეთ... და ფიქრი ნუ გაქვთ, მალე მო-
ვა ჯანზე...

აკულინა ივანოვნა — არც ისე ადვილია ქალის გა-
თხოვება ეხლანდელ დროში, მით უფრო, თუ ნასწავლია.

სტეპანიდა — თუ კარგ მზითვს მისცემთ, ნასწავლსაც
ჩაიყვანს ვინმე... (მეტრე გამოიხედავს თავის ოთახიდან და ისევ დაიბალებს).

აკულინა ივანოვნა — ამ სიხარულს ვინ ელირსება...
გათხოვება არ უნდა ჩემ ტანის...

სტეპანიდა — როგორ შეიძლება, მაგ ხნის ქალს გათხოვება არ უნდოდეს.

აკულინა ივანოვნა — ეჰე-ჰე! ვინ ჰყავდა წუხელ სტუმრად ზევითა მდგმურს?

სტეპანიდა — მასწავლებელი... მწითური რომ არის...

აკულინა ივანოვნა — ის, ცოლი რომ გაქცა?

სტეპანიდა — ჰო, ჰო, ის! ჰო, აქციზი... გამხდარი და ჩაყვითლებული...

აკულინა ივანოვნა — ვიცი, ვაჭარ პიმენოვის ძმისწული ჰყავდა ცოლად... ის კლექიანია, გესმის?

სტეპანიდა — დახე!.. ეტყობა კიდევ...

აკულინა ივანოვნა — ჩვენი მგალობელიც იყო?

სტეპანიდა — მგალობელიც, პიოტრ ვასილიჩიცი... სიმღერებს ბლაოდია... ორ საათამდე იბღაგლა... დასაკლავ ხარივით...

აკულინა ივანოვნა — პეტია რა დროს დაბრუნდა?

სტეპანიდა — კარი რომ გავუღდე, გათენებული იყო.

აკულინა ივანოვნა — ოჰ, ოჰოჰ!

პეტრე — (შემოდის). აბა სტეპანიდა, მოათავე ეგ ზოზინი და აქედან წადი...

სტეპანიდა — ახლავე... მე თვითონ მოხარული ვიქნები, თუ მალე მოვრჩები საქმეს!..

პეტრე — ა! თუ ასე გინდა, მეტად გაისარჯე და ნაკლებ ილაპარაკე... (სტეპანიდა ფრუტუნით გადის). დედა! არაერთხელ მითხოვია თქვენთვის, რომ ამასთან საუბარს ნუ გააბამთ-მეთქი... ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგოთ, რომ უხერხულია მზარეულ დედაკაცთან ასე გულდასმით და ესე განდობით მასლაათი... მით უმეტეს გამოკითხვები და სხვა ასეთი. არ არის კარგი.

აკულინა ივანოვნა — (ნაწყენი). მაშ მიბრძანეთ, შენ და გეკითხო ვისთან შემიძლია ლაპარაკი? შენ, შენთან საუბრით მე და მამაშენს ხომ აღარ გეწყალობ... მაშ ნება მოგვეცი მოსამსახურებს მაინც გავცეთ ხმა...

პეტრე — გაიგეთ, რომ ის თქვენი ტოლი არ არის. ჭორის გარდა მისგან აბა რას გაიგონებთ.

აკულინა ივანოვნა — შენგან კი რა მესმის? აგერ ნახევარი წელიწადია შინა ხარ და ღვიძლ დედასთან ერთი საათიც არ მჯდარხარ... არაფერი არ ვითქვამს მისთვის... რა... ან როგორი იყო მოსკოვი...

პეტრე — მომისმინეთ...

აკულინა ივანოვნა — ხმა თუ ამოიღე, უნდა გეაწყენინო რამე და გული გვატყინო... ეს ასე არ არის, ეს ისე არ არის... ღვიძლ დედას, როგორც ბაღს, ჭკუას ასწავლი, ჰკიცხავ, დასციინი... (პეტრე ხელს ჩაიქნევს. სწრაფად გადის წინკარში. აკულინა ივანოვნა სიტყვას დაადევნებს). დახე, რამდენი რამ დავროშე! (წინსაფარის ბოლოთი ცრემლს აწმენდს და ზღუქუნებს).

პეტრიხინი — (შემოდის. ტანთ დაფლეთილი ქურთუკი აცვია. გახეულ ადგილებიდან მოჩანს ჭუჭყიანი ბამბა. წელზე ბაწარი აქვს შემოკრული. ფეხზე ქალამანი აცვია და თავზე ბეწვის ქუდი ხურავს). რას მოღუშულხარ? პეტრუხამ ხომ არ გაწყენინა? ნამგალა ჩიტვით გამისხლტა გვერდზე... გამარჯობაც არ უთქვამს... პოლია აქ არის?

აკულინა ივანოვნა — (ამოხენვით). სამზარეულოშია. კომპოსტოს კეპავს.

პეტრიხინი — აი ჩიტებს კარგი წესი აქვთ. ბუმბულით შეიშოსა და ფრთა შეისხა ბარტყმა? — გაფრინდი სადაც გინდა... არავითარი წვრთნა არ სჭირდება მშობლებსაგან... ჩაი ხომ არის?

აკულინა ივანოვნა — ეტყობა, შენც ფრინველების წესზე გაქვს აწყობილი შენი ცხოვრება?

პეტრიხინი — მაშ! სწორედ ეგრეა. კარგიც არის. არაფერი არ გამაჩნია, არც არავის ხელს არ ვუშლი... თითქოს ცისა და მიწის შუა ვცხოვრობდე.

აკულინა ივანოვნა — (ათვალწუნებით). არც არავითარი პატივისცემა ხალხისაგან. აბა, დალიე... მხოლოდ ცივია... და ცოტა ხაცი.

პეტრიხინი — (ჭიქას სინათლეზე გახედავს). ჰო, არ არის მუქი. მისთვისაც მადლობელი, რომ ცარიელი არ არის. მუქი მაწყინარია კიდევ... რაც შეეხება პატივისცემას, მოიღეთ მოწყალება და ნუ მცემთ პატივს... მე თვითონ არავის არ ვცემ პატივს...

აკულინა ივანოვნა — მერე და ვის სჭირდება შენი პატივისცემა? არავის...

პეტრიხინი — მით უკეთესი... ვატყობ, როცა თავის ლუკმას იღებს კაცი, ერთმანეთის ყანყრატოდან არის იგი მონატაცი. მე კი საზრდოს ჰაერიდან ვღებულობ... ციური ფრინველები მაპურებენ... ჩემი ხელობა სუფთაა...

აკულინა ივანოვნა — ჰო, ქორწილი მალე იქნება?

პეტრიხინი — ვისი? ჩემი თუ! ის კოკობზიკა გუგული, რომელიც ცოლად წამომყვება ჯერ ჩვენს ტყეებში არ მოფრენილა...

ვფიქრობ, შეაგვიანდება... ვერ მოგვსწრები, მანამ — ფეხებსაც გავფშუკ...

აკულინა ივანოვნა — შენ აქ სისულელეებს კი ნუ მიედ-მოედები, პირდაპირ სთქვი, ჯვარს როდის დასწერ?

პერჩიხინი — ვის?

აკულინა ივანოვნა — დახე, ვითომ არ იცის!

პერჩიხინი — ქალიშვილს! როცა უნდა, ჯვარს მაშინ დაეწერ. თუ კი მთხოვნელი გამოჩნდება.

აკულინა ივანოვნა — დიდი ხანია რაც წამოიწყო?

პერჩიხინი — რა? ვისთან?

აკულინა ივანოვნა — აბა, ნუ ოინბაზობ, შენ ხომ გეტყოდა... გაგიმხელდა...

პერჩიხინი — რას?

აკულინა ივანოვნა — ქორწილის საქმეს...

პერჩიხინი — ვისი ქორწილის?

აკულინა ივანოვნა — ფუი! დაბერდი კაცი და სირცხვილია ამდენი ოინბაზობა!

პერჩიხინი — დაიცა, დაიცა, ნუკი ცხარობ. უმჯობესია გამაგებინო, რაშია საქმე?

აკულინა ივანოვნა — შენთან ლაპარაკის ხალისიც არა მაქვს...

პერჩიხინი — რა ვიცი, ლაპარაკობ კია და... მერე რამდენს ხანი ლაპარაკობ და სულ უაზროთ...

აკულინა ივანოვნა — (მკვახედ და შურით) პელაგიას ნილზე როდის დააქორწინებ?

პერჩიხინი — (წამოიყვირებს, განცვიფრებულ) რაო? ნილზე? ოჰო!

აკულინა ივანოვნა — ნუთუ მართლა არაფერი უთქვამს შენთვის? ეს რა ხალხია... ღვიძლ მამას...

პერჩიხინი — (გახარებულ) რას ამბობ?! შენ ალბათ ხუმრობ? ნილი? ღმერთო, შენ შეეწიე! ნუთუ მართლა? ერთი ამ ეშმაკის კერძებს უყურეთ?! ესეც შენი პოლკა! ეს კადრილია და არა პოლკა... არა, ხომ არ მატყუებ? ოჰო, კარგია! მე კი, მართალი გითხრათ, ვფიქრობდი, ნილი ტატიანას შეირთავდა. ეტყობოდა, რომ ტატიანა უნდა...

აკულინა ივანოვნა — (ნაწყენი). მერე და, ტატიანას ვინ მიათხოვებდა? რა ოხრად გვინდა... ასეთი უკულმართი...

პერჩიხინი — ნილი რა ოხრად გინდათ? რას ამბობ? მე რომ

მკითხო... ათი ქალიშვილი, რომ მყავდეს, თვალდახუჭული ყველას მას გავატანდი. ნილი? ის... ას კაცს შეინახავს. ნილი? ხა, ხა!

აკულინა ივანოვნა — (დაცნობი). როგორც ვხედავ, დიდებული სიმამრი ეყოლება, მეტად საამური.

პერჩიხინი — სიმამრი? ძალიან. მისი სიმამრი კისერზე არაკის დააწვება... გაიგე! სიხარულით ფეხები ამითამაშდა... ამიერიდან რომ სულ თავისუფალი ქაბუკი ვარ. ეხლა მივყოფ ხელს ჩემებურ ცხოვრებას. თვალით ვერაფერს მნახავს... მოუსვამ პირდაპირ ტუისკენ, — და გაქრა პერჩიხინი. ესეც შენი პოლია! ხშირად მიფიქრია. როგორ უნდა იცხოვროს საწყალმა გოგომ მარტო-მეთქი... და სირცხვილით ვიწოდო... გაჩენით კი გავაჩინე, მაგრამ მეტი არაფერი შემიძლო... აწი... კი... აწი... საითაც მიინდა, იქით გავსწეე. ცხრა მთას იქით გაფრენილი სამოთხის ჩიტსაც გავედევნები დასაქერად.

აკულინა ივანოვნა — სად უნდა გასწიო? ბედნიერებას არ გაურბიან...

პერჩიხინი — ბედნიერება? ჩემი ბედნიერება სწორედ იმაშია, რომ გავრბივარ... პოლია კი ბედნიერი იქნება!.. ნილთან? ჯანსრთელი, მხიარული, უბრალო... რა თქმა უნდა, ბედნიერი იქნება!.. პირდაპირ თავში ტვინი ამიციკვდა... გულში კი ტოროლები აგალობდნენ. აშკარად ბედი მწყალობს. (ფეხებს აბაყუნებს და ჩამოიციკვებს). პოლიამ ნილი გამონახა, თავის ბედიც გამოჩარხა... აილული— თლული!

ბესსემენოვი — (შემოდის. პალტო აცვივს ხელში ჩიხაქული „კარტოზი“ უჭირავს). შენ ისევე მთვრალი ხარ?

პერჩიხინი — სიხარულისაგან. გაიგე? პელაგიას ამბავი... (სიხარულიდ იცინის). ნილს რომ მიჰყევა, ა? ზორბაა ხომ? ა?

ბესსემენოვი — (ცივად და მკვახედ). ეგ ჩვენ არ შეგვებება... ჩვენ თქვენსას მივიღებთ...

პერჩიხინი — მე კი სულ ვფიქრობდი, რომ ნილი ტატიანას შეირთავდა...

ბესსემენოვი — რაო-ო?

პერჩიხინი — მართალს გეუბნები, ტატიანასაც ეტყობოდა. რომ გუნებაში უნდა ჰქონოდა... ისეთი თვალებით უცქეროდა... როგორც იციან საერთოდ... და სხვა ამგვარი... და უცებ...

ბესსემენოვი — (ღინჯად და ბოროტად). აი, რას გეტყვი, კე-ილო ჩემო... თუმცა ბრყვი ხარ, მაგრამ უნდა გესმოდეს, რომ ქალიშვილზე ასეთი სისაძაგლის ლაპარაკი დაუშვებელია. ეს — ერთი (დასთან ხმას უწევს). შემდეგ, ვის როგორ უცქერდა შენი ქალიშვილი ან მას ვინ უცქეროდა და, საერთოდ, ის რას წარმოადგენს, არა-

ფერს ვამბობ, მხოლოდ იმას კი გეტყვი: თუ ნილს მიჰყვება, იქეთაც
გზა ჰქონია. გროშია მათი ფასი და, მიუხედავად იმისა, რომ ორთავე-
ზე დიდი ამაგი მიმიძღვის ამიერიდან მიმიფურთხებია მათთვის. ეს —
ორი. ეხლა კი, აი რა... თუმცე შორეული ნათესავები ვართ, მაგრამ
დახედე შენს თავს, რა ხარ შენ? მაწანწალა. ერთი ესეც მითხარი,
ვინ მოგცა ნება ქალამნებითა და ამ მორთულობით სუფთა ოთახში
შემოსვლისა?

ბერჩიხინი — რას ამბობ, ვასილ ვასილიჩ... რას ამბობ.
ძმაო? განა პირველად ვარ აქ ამ მორთულობაში?..

ბესსემენოვი — არ დამითვლია და არც განზრახვა მაქვს
ვიანგარიშო. ერთს კი ვხედავ, რაკი ამ სახით მოგვევლინე, ეს იმას
ნიშნავს, რომ მასპინძელს პატივს არ სცემ. კიდევ გეუბნები, ვინა
ხარ შენ? მათხოვარი, ჩამოფლეთილი მაწანწალა... გაიგე? ესეც —
სამი.. და გასწი აქედან!

ბერჩიხინი — (ღარეტიანებულ). რათა ვასილ ვასილიჩ? რის-
თვის...

ბესსემენოვი — გასწი! ნუ მელაკულობ!

ბერჩიხინი — გონს მოდი. აბა რა დამიშავებია შენთვის...

ბესსემენოვი — აბა! გაეთრიე... თორემ...

ბერჩიხინი — (შიდის საყვედურით და სინანულით). ეჰ, ბებერო!
ვაი, როგორ მებრალები! მშვიდობით! (ბესსემენოვი წელში გაიმართება.
ჩუმად, მძიმე და მტკიცე ნაბიჯებით მკაცრი სახით დადის ოთახში. აკულინა ივა-
ნოვნა ჰურჭელს რეცხს და შემოიხებულ თვალს ადევნებს ქმარს. ხელები უკანა-
ლებს, ტუჩებით რალაცას ბუტბუტებს).

ბესსემენოვი — მანდ რას ჩიფჩიფებ? ჯადოქრობ თუ რა?

აკულინა ივანოვნა — ლოცვას ვამბობ... გეთაყვა...
ლოცვას.

ბესსემენოვი — იცი... ვატყობ, ამ ჯერად... აღარ ამირჩე-
ვენ, გადამაყენებენ, აშკარად ვხედავ... არამზადები!

აკულინა ივანოვნა — ნუთუ? ეს რა თქვი? ვაი, ჩემს
მოსწრებას... და მერე რისთვის? რა იცი? ჯერ შეიძლება...

ბესსემენოვი — რა შეიძლება?! ფედკა დოსეკინი, საზეინ-
კლო სამაქროს უფროსი უმიზნებს მეთაურობას. ლაწირაკი! ლეკვი!

აკულინა ივანოვნა — ჯერ რა იცი... შეიძლება, არც
აირჩიონ... მაგას ნუ დარდობ...

ბესსემენოვი — აირჩევენ... ეგრე ეტყობა... აი, მივიღვარ
ქალაქის გამგეობაში და ვხედავ, ის ზის... და ენას რალაცანიარად
აკრიმანჭულებს. ცხოვრება გაძნელდაო, ამბობს. ერთმანეთს მხარი
უნდა მივსცეთო, ამბობს... ყველაფერში შეთანხმებულად უნდა

ვიმოქმედოთო... ამბობს, სამაქროებში უნდა გავერთიანდეთო... ეხ-
ლაო, ყველაფერი ფაბრიკა-ქარხნების ხელში გადადისო. ხელოსნე-
ბის ცალ-ცალკე ყოფნა შეუძლებელიაო... მე ვეუბნები — ყველა-
ფრის მიზეზი ურჩებია... ურჩები უნდა ავლაგმოთ-მეთქი... საჩივარი
შევიტანოთ გუბერნატორთან, რომ რუსებს გასაქანს არ გვაძლევენ
და ვთხოვოთ, ებრაელები გაასახლეთ-თქო. (ტატიანა ნელა გააღებს კარს
და ბარბაცით, უხმაურად გავა თავის ოთახში). ის კი ღრეჭით მეკითხება:
იმ რუსებს რაღა ვუყვით, ურჩებზე უარესნი რომ არიანო? და მიკი-
ბულ-მოკიბულად გადმოამკრა... მე კი, თითქოს არ მესმის, მაგრამ
ეგრძნობ, საითკენაც უმიზნებს... არამზადა. ვუსმინე, ვუსმინე და
გავეცალე... დამაცა, ვამბობ გუნებაში, მე შენ გიჩვენებ-მეთქი... ამ
დროს მომიახლოვდა მიხეილ კრიუკოვი, მეღუმელე... და მეუბნება:
იცი, მეთაურად არჩევა დოსეკინს არ ასცდება და ის უნდა იყოსო...
თანაც განზე იყურება და უხერხულად გრძნობს თავს... მინდოდა
მეთქვა — ჰაი, შე თვალმრუდო იუდაე-მეთქი!..

ელენე — (შემოდის). გამარჯობათ, ვასილი ვასილევიჩ, სალამი,
აკულინა ივანოვნა...

ბესსემენოვი — (შევახედ). აა, თქვენ ხართ? მობრძანდით...
ახალს რას გვეტყვიო?

ელენე — აი, ბინის ქირა მოგიტანეთ.

ბესსემენოვი — (უფრო თავაზიანად). კეთილი საქმეა... რამ-
დენია? 25 მანეთი... კიდევ მერგება თქვენგან... დერეფანში გატეხი-
ლი ორი შუშის ორმოცი კაპეიკი და შეშის საწყობის ანჯამის ხარ-
ჯი... თქვენმა მზარეულმა გატეხა... ისიც ოცი კაპეიკი...

ელენე — (ღიმილით). როგორი წესრიგი გყვარებიათ... ინებეთ
ნაშალი არა მაქვს... აი სამამანეთიანი...

აკულინა ივანოვნა — ერთი ტომარი ნახშირი... თქვენ-
მა გოგომ წაიღო.

ელენე — ნახშირი? რამდენი?

აკულინა — ნახშირი შვიდი შაური...

ბესსემენოვი — სულ ცხრამეტი შაური... ინებეთ ხურდა
ორი და ერთი შაური. რაც შეეხება წესრიგს, ძვირფასო ქალბატო-
ნო სამართლიანი ბრძანებაა. ქვეყნიერება წესრიგისაგან არის და-
მოკიდებული... მზეც კი ზუსტად თავის წესისა და რიგის მიხედვით
ამოდის და ჩადის. ეს დასაბამიდან ასეა... თუკი ზეცაში ასეთი
წესრიგია, დედამიწაზეც მით უმეტეს უნდა იყოს... აი თქვენც,
დრო მოვიდა და ფულიც მოიტანეთ...

ელენე — არ მიყვარს ვალის დაყოვნება...

ბესსემენოვი — ეს შესანიშნავი თვისებაა. სამაგიეროდ ნდობას დაიმსახურებთ.

ელენე — ძაჲ, ნახვამდის! უნდა წავიდე...

ბესსემენოვი — ჩვენი უმდაბლესი პატივი! (თვალს გააყოლებს). კარგია ეს კოკობზიკა, მაგრამ უდიდესი სიამოვნებით დავაპანლურებდი ამ ჩემ ბინიდან...

აკულინა ივანოვნა — და ძალიანაც კარგს იზამდი, გეთაყვა...

ბესსემენოვი — ეგრეც ნუ იტყვი... ვიდრე აქ არის... შეგვიძლია თვალყური კარგად ვადევნოთ; როცა გადავა, პეტია მასთან დაიწყებს წანწალს და კიდევ უფრო ადვილად გაკოჭავს... მერე მხედველობაში ისიც უნდა მიიღო, რომ ქირას დროზე იხდის და სხვა ხარჯებსაც უყოყმანოთ ანაზღაურებს. პეტია კი... უსათუოდ საშიშია, მეტად საშიში...

აკულინა ივანოვნა — შეიძლება ცოლად შერთვას არც ფიქრობს... არამედ ისე...

ბესსემენოვი — ეს რომ დარწმუნებით ვიცოდეთ, მაშინ რა მენადვლებოდა. საროსკიპოში წანწალს, ეს არ სჯობია — ერთ ჭერქვეშ. (ტატიანას ოთახიდან ხრინწიანი კვენესა მოისმის).

აკულინა ივანოვნა — (ნელა) ა?

ბესსემენოვი — (ისევ). ეს რაა?

აკულინა ივანოვნა — (ლაპარაკობს ხმადაბლა, თან მოუსვენრად აქეთ-იქით იცქირება, თითქოს რაღაცას აყურადებს). თითქოს წინ კარშია...

ბესსემენოვი — (ხმადაბლა). კატა იქნება...

აკულინა ივანოვნა — (გაუბედავად). იცი, გეთაყვა... რა უნდა გითხრა?

ბესსემენოვი — აბა, სთქვი!..

აკულინა ივანოვნა — ძალიან მკაცრად არ მოექვეცდლეს პერჩინის? ისეთი უწყინარი კაცია...

ბესსემენოვი — თუ უწყინარია, არც ეწყინება... ეწყინება და... გაუძლებთ ხარალს... მასთან ნაცნობობა არავითარი ღირსებაა... (კვნესა მეორდება, უფრო მძლავრად). ეს ვინ არის?

აკულინა ივანოვნა — (ფუსფუსით). ვერ გამიგია... მართლაცდა, რა უნდა იყოს?

ბესსემენოვი — (პეტრეს ოთახს მივარდება). აქედან ხომ არ მოისმოდა? პეტრე?

აკულინა ივანოვნა — (ზარდაცმული მისდევს). პეტია, პეტია...

ტატიანა — (ხმაჩხრინწული ყვირის). მიშველეთ... დედა... მიშველეთ... მიშველეთ... (ბესსემენოვი და აკულინა ივანოვნა გამორბიან პეტრეს ოთახიდან და ფეხაკრეფით გარბიან იქით, საიდანაც ხმაური მოისმის. ხმაურზე უჩემრად ტატიანას ოთახის კართან ერთი წუთით შედგებიან, თითქოს ვერ კლებდნით შესვლა და შემდეგ ორივენი შეცვივიან. მოისმის ტატიანას ყვიროლი). მეწვის... ო-ო! მტკივა... წყალი! წყალი! მიშველეთ...

აკულინა ივანოვნა — (გამოვარდება ოთახიდან, გააღებს წინკარს და ყვირის). ვაიმე! პეტია! (ტატიანას ოთახიდან მოისმის ბესსემენოვის კრუ ხმა): „რა იყო?... შვილო... რა მოგივიდა?... შვილო“.

ტატიანა — წყალი... ვკვდები!.. ყველაფერი მეწვის... ო. ღმერთო!

აკულინა ივანოვნა — მოდით!.. აქეთ მოდით, ვაიმე!..

ბესსემენოვი — (ოთახიდან). ვაიქეცი, ექიმს უხმე...

პეტრე — (შემობრბის). რა იყო? რა მოგივიდათ?

აკულინა ივანოვნა — (წავლებს ხელს და გულამომჯდარ ყვინება). ტანია... კვდება...

პეტრე — (ხელში გაუსხლტება). გამიშვით... გამიშვით...

ტიტრევი — (გზადაგზა პიჯაკს იცვამს). ცეცხლი ხომ არ გაჩნდა? ხომ არ იწვით?

ბესსემენოვი — ექიმი... ექიმს უხმე, პეტია... ოცდახუთი მსუთი მიეცი.

პეტრე — (გამოვარდება დის ოთახიდან. ტიტრევის). ექიმი! გაიქეცი ექიმთან... უთხარი, ქალი მოწამლულია-თქო... ნიშადურით... მაღე, მაღე! (ტიტრევი გარბის წინკარში).

სტეპანიდა — (შემობრბის). ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!

ტატიანა — პეტია... ვიწვი... ვკვდები... სიცოცხლე მინდა... სიცოცხლე... წყალი, წყალი მომეცი.

პეტრე — რამდენი დალიე? როდის დალიე? სთქვი...

ბესსემენოვი — ჩემო შვილო... ტანჩკა...

აკულინა ივანოვნა — რად დაიღუპე თავი... შე საწყალო.

პეტრე — დედა წადი!.. სტეპანიდა, გაიყვანე... წადით. ცლენს ზვირხეს ტატიანას ოთახში). გაიყვანეთ დედაჩემი... (შემოდის დედაცამე კრებში შედგება, ოთახში იცქირება და რაღაცას ბუტბუტებს).

ელენე — (გამოყავს აკულინა ივანოვნა მკლავში ხელგაყრილი). ეს რაფერია... საშიში არ არის...

აკულინა ივანოვნა — ვაიმე... შვილო! ვაიმე, შვილო... რა გაწყენინე ასეთი? რით გაგარისხეთ? ვაიმე...

ელენე — არაფერია, გაუვლის... ექიმი გვიშველის... ოჰ, რ. ეზღელურებაა...

დედაკაცი — (მეორე მკლავში შეეშველება აკულინა ივანოვნას). ნუ დარდობთ... განა ასეთი ამბავი ხდება? რას იზამ. ფათერაკია... აი ვაჰარ სიტანოვთან ცხენმა მეჯინიბეს ფერდში წიხლი ჩაარტყა...

აკულინა ივანოვნა — ჩემო საყვარელო... რა უნდა კენა?... ჩემო ერთად ერთო... (გაყავთ).

(ტატიანას ოთახიდან მოისმის მისი კენესა-ყვირილი, ბესსემენოვის ყრუ ხმა და პეტრეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნერვიული ლაპარაკი. აი, ისმის დამსხვრეული ჭურჭლის ხმაური, სკამის წაქცევა, რკინის საწოლის ჭრახუნები და იატაკზე რბილად ეცემა ბალიში. სტეპანიდა, რამდენიმეჯერ გამოვარდება ოთახიდან, თმა გაწეწილი, პირდაღებული და თვალღებდაქაჩული გამოიჩინებს კარადიდან თეფშებს, ფინჯნებს, რალაცას გატეხს, და ისევ გაქრება. წინკარიდან ვილაყვები იტკივებიან, მაგრამ შემოსვლას ვერ ბედავენ. შემოვარდება ბიჭი — მღებავი, ტატიანასთან შეიხედავს, უმალვე უკან გამოვარდება და ხმამაღალი ჩურჩულით იტყობინება: „კვდება“. ეზოში მოისმის არღნის ხმა, მაგრამ იმავე წუთში შესწყდება. წინკარში ყრუ ქოთქოთია: „მოკვლა! შამამ... ასე უთქვამს: მე შენ გიჩვენებო!... თავში? რითი? არ იცი? რას მიჭკარავ, თავისი ხელით უელი გამოუჭრია“. ჭალის ხმა: „გათხოვილია“ ვილაყვამ სინანულით, უარის ნიშნად გააწაპუნა ტუჩები).

დედაკაცი — (გამოდის მოხუცების ოთახიდან. მაგიდასთან ჩავლისას ბოთლს წაავლებს ხელს და თავსაფარში მალავს. მიღის კარებისაკენ). დაჩუმდით, სულს ლევს...

მამაკაცის ხმა — რა ჰქვია?

დედაკაცი — ლიზავეტა... ელისაბედი...

ჭალის ხმა — რა სჭირდა?

დედაკაცი — ჯერ კიდევ ღვთისმშობლის მიძინების დღეს დამუქრებია: (ხალხში მოძრაობაა. შემოდინა ეჭიმი და ტეტერევი. ეჭიმი საწყვიმართ და შლიაპით შედის პირდაპირ ტატიანასთან. ტეტერევი შეიხედავს კარებში და დაღვრემილი ჩამოშორდება. ტატიანას ოთახიდან მოისმის შერეული ხმები და კენესა, ბებრების ოთახიდან კი აკულინა ივანოვნას ზღუტუნები და წამოყვირება: „გამიშვით! გამიშვით, მასთან!“ წინკარში სხვადასხვა ხმები ირევა, გამოირჩევა: „დარბაისელი კაცია, ეს მგალობელი... ო-ო? ღმერთმანო... ივანე ზათლისმცემლის ეკლესიიდან“).

ტეტერევი — (მივა კარებთან). აქ რა გინდათ? აბა გასწითაქედან! მალე!

დედაკაცი — (ისიც კარებში გაიშველება). წადით, გაიარეთ, კეთილნო... ეს თქვენ არ შეგეხებათ...

ტეტერევი — შენ ვინა ხარ? აქ რა გინდა?

დედაკაცი — მე, გეთაყვა, ბოსტნეულით ვვაჭრობ... მწვანე ხახვით, კიტრით...

ტეტერევი — მერე რა გნებავს?

დედაკაცი — მე, გეთაყვა, სემიგინებთან მივდიოდი... ჩემი სათლიდელაა.

ტეტერევი — მერე? კი მაგრამ აქ რა გინდა?

დედაკაცი — მივდივარ... მესმის ხმაური... ვიფიქრე ცეცხლი თუ გაუჩნდა-მეთქი...

ტეტერევი — მერე?

დედაკაცი — შემოვედი... სანახავათ შემოვედი.

ტეტერევი — აბა მოუსვი აქედან... თქვენ ყველა... გასწითაქედან, სწრაფად!

სტეპანიდა — (გამოვარდება). აბა! წყალი, ცოცხლად! (კარებში თავს გამოყოფს ყბაახვეული ჰალარა ბებერი, თვალს ჩაუტრავს ტეტერევის): „პატრიკემულო! ამ დედაკაცმა მაგიდიდან ბოთლი აწაპუნა... (ტეტერევი მიდის მათკენ და ერეკება ყველას. წინკარში ფეხის ხმა და ვივილ-ხივილი: ზოგი იცინის, ზოგიც ნაწყენი წამოიძახებს): ჩუმად! ჩუმად!“.

ტეტერევი — (არ ჩანს). ეშმაკსაც წაუღიხართ! აქედან გასწით!

პეტრე — (კარებში თავს გამოყოფს). ჩუმად... (ოთახისაკენ) წადი. მამაჩემო დედასთან წადი. ჰო, კარგი წადი. (გასძახებს წინკარში). არაკინ შემოუშვათ!.. (ბესსემენოვი ბარბაცით გამოდის. დაჯდება მაგიდასთან სკამზე და წინ უაზროდ იყურება. მერე ადგება და თავის ოთახში შედის, საიდანაც მოისმის აკულინა ივანოვნას ხმა).

აკულინა ივანოვნა — მე არ მიყვარდა?... მე არ ვუყრთხილდებოდი?

ელენე — კარგით, დამშვიდდით... გეთაყვა...

აკულინა ივანოვნა — გაუბედურებულო მამა! ჩემო დეიძლო... (ბესსემენოვის შესვლის შემდეგ კარი იხურება და სხვა არაფერი არ ისმის. ოთახი ცარიელია. ორივე მხრიდან მოისმის ხმაური, ბებრების ოთახიდან ყრუ ლაპარაკის ხმა. ტატიანას ოთახიდან — კენესა და ფუსფუსი. ტეტერეგს ზოგჯერ სათლით წყალი, დგამს კარებთან და ფრთხილად უაკაუნებს. სტეპანიდას შეაქვს, იმ წამსვე გამოდის და სახეზე ოფლს იშენდავს).

ტეტერევი — რას იტყვი?

სტეპანიდა — არა უშავს რაო.

ტეტერევი — ეჭიმმა სთქვა?

სტეპანიდა — ჰო!.. ტყუილი იმედი... (უიმედოდ ჩაიჭნებს ხელს). დედ-მამას არ უშვებენ...

ტეტერევი — მოიკეთა?

სტეპანიდა — რა ვიცი, აღარ კენესის. შესწყვიტა... სულ გამოწვიანდა, თვალეები გაუფართოვდა... უძრავად წევს... (საყვადურის

კლთი). რამდენჯერ მითქვამს მათთვის... ბევრჯერ მითქვამს, გა-
თხოვეთ-მეთქი. პეი, გაათხოვეთ-მეთქი... არ გამოგონეს... და აი გა-
ნა კარგია ამ ხნის ქალისათვის უქმროდ ყოფნა? მერე კიდევ: ღმერ-
თიც არ სწამდა. არც ლოცულობდა... პირჯვარსაც კი არ გადაისა-
ვავდა... ჰო და, აი!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — დადუმდი... ყვაეო!

ე ლ ე ნ ე — (შემოდის). როგორ არის?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არ ვიცი... ექიმს, თითქოს უთქვამს, სახიფათო
რაფერიაო...

ე ლ ე ნ ე — მოხუცები პირდაპირ დახოცილები არიან... მებრა-
ლებიან საწყლები. (ტეტერევი მხრებს უხმოდ აიჩქარავს).

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — (გარბის ოთახიდან). ღმერთო მომკალი! სამზა-
რეულო სულ მივატოვე...

ე ლ ე ნ ე — მერედა, რატომ? რა მოუვიდა? საბრალო ტატიანა.
ალბათ როგორ ტკივა... (იკმუხნება და უცებ შეკრთება). რას იტყვი.

ალბათ მტკივნეულია, არა? ძალიან მტკივნეული? საშინელი ხომ?..

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არ ვიცი. არასოდეს ნიშადური არ დამი-
ლევიო...

ე ლ ე ნ ე — რა დროს ხუმრობაა!..

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — მე არ ვხუმრობ...

ე ლ ე ნ ე — (მიღის პეტრეს კარებისაკენ და ოთახში შეიხედავს). ჰე...
პეტრე ვასილიჩი კი ისევ იქ არის, მასთან?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ალბათ... რაკი იქიდან არ გამოსულა...

ე ლ ე ნ ე — (ფიქრში წასული). წარმოდგენილი მაქვს, როგორ იმო-
ქმედებდა მასზე... (პაუზა). როდესაც ასეთ რამეს ვხედავ... საშინელ
სიძულვილს განვიცდი უბედურებისადმი...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (ღიმილით). ბარაქალა...

ე ლ ე ნ ე — იცით? აი, ვწვდებოდი ყელში დავანარცხებდი ფიწა-
ზე და ფეხით გავთელავდი... სამუდამოდ.

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — უბედურებას?

ე ლ ე ნ ე — მაშ! მე კი მისი არ მეშინია — მეზიზღება. მე
ცხოვრება მხიარული, მრავალფეროვანი მიყვარს... მიყვარს ხალხში
ყოფნა... და უნარიც მაქვს, რომ მეც და იმათ, ვისც ჩემს ახლოა.
ცხოვრება შევუმსუბუქოთ, ხალისი მივცე...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — კიდევ ბარაქალა!..

ე ლ ე ნ ე — და იცით, რა? უნდა გამოგიტყდეთ და... მე ერთ
კულქვა, მჭისე ქალი ვარ. წარმოიდგინეთ, უბედურიც. არ მიყვარს...
იცით, არიან ისეთები, რომლებსაც რაც უნდა უყვით. მაინც უბე-
დურნი არიან. ასეთს კაცს თავზე ქუდის მაგიერ მზე რომ დაჰხუ-

რო, — ამაზე კარგი რა უნდა იყოს!, — ის კი მაინც იწუწუნებს და
იკვნესებს: ოხ, რა უბედური, რა ეული ვინმე ვარო! არავინ ყურად-
ღებას არ მაქცევსო... ცხოვრება ძალზე მოსაწყენი და კუბრივით შა-
ვი რამეაო... ახ, ოხ, ვაი და ვუი! როცა ასეთ ვაჟბატონს ვხედავ,
ეპოროტლები, მინდა, რომ უფრო გაუბედურდეს...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ძვირფასო ქალბატონო! ჩემდათავად უნდა
გამოგიტყდეთ, რომ ჭირივით მძულს როცა ქალი ფილოსოფოსობს,
საგრამ, როცა თქვენ მსჯელობთ, მზად ვარ ხელები დაგიკოცნოთ...

ე ლ ე ნ ე — (ცბიერად და თინიანად). მხოლოდ ხელები? და ისიც
საშინ, როცა ვმსჯელობ? (თავს შეიკავებს). აი, აი, აი! ვხუმრობ, ვლახ-
ლანდარობ, როცა იქ ადამიანი იტანჯება...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (ხელს გაიშვებს მოხუცების ოთახისაკენ). იქაც
იტანჯება. და ყველგან, საითაც არ უნდა გაიშვირო ხელი, ადამიანი
იტანჯება. ასეთი ყოფილა მისი წესი...

ე ლ ე ნ ე — და გული მაინც სტკივა...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — რასაკვირველია...

ე ლ ე ნ ე — და უნდა გვებრალებოდეს...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ყოველთვის არა... საერთოდ, კაცი არ უნდა
შეიბრალო... უმჯობესია, დაეხმარო.

ე ლ ე ნ ე — ყველას აბა როგორ დაეხმარები... მერე და, თუ არ
გეცოდება, ვერც დახმარებას აღმოუჩენ...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ქალბატონო! მე ასე ვმსჯელობ: ტანჯვას სურ-
ვილები ჰბადებენ. ადამიანში ბუდობენ ისეთი სურვილები, რომლე-
ხიც პატივისცემის ღირსნი არიან, და ისეთი სურვილებიც, რომელ-
თაც ასეთი რამ არ დაუმსახურები.თ. დაეხმარეთ მას იმ ხორციელ
სურვილების დაკმაყოფილებაში, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ის
ჯანსაღი და ძალუმი იყოს და აგრეთვე იმ სურვილების დაკმაყო-
ფილებაში, რაც მას გააკეთილშობილებს და აღამაღლებს პირუტყვისა
ზედა...

ე ლ ე ნ ე — (არ უსმენს). შეიძლება... შეიძლება, ეს ასეც იყოს...
სეტყვი იქ რა ამბავია? ალბათ დაეძინა! რა სიჩუმეა... რაღაცას ჩურ-
ჩულებენ... ბებრებიც წავიდნენ, მიიკუნჭნენ სადღაც თავის კუნ-
ჭულში. რა უცნაურია ყოველივე ეს! კენესა, ხმაური, კვილ-ფუს-
ფუსი... და უცებ ეს სამარისებური სიჩუმე და უძრაობა...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — რას იზამ, ცხოვრება ასეთია. ხალხი ახმაურდება,
დაილდება და დადუმდება... როცა შეისვენებს, ისევ ახმაურდება.
აქ, ამ სახლში კი, ყველაფერი განსაკუთრებული სისწრაფით ჩაკე-
დება ხოლმე... ტკივილიც, კენესაც და სიხარულიც... კისკისიც... ყო-
ველგვარი შერხევ-შერყევა მისთვის იგივეა, რაც ტალახის წუმპეში

ჯონის ჩარტყმა... საბოლოო სიტყვა კი მუდამ უხამსობას, აქაურობის ამ ფერის ეკუთვნის ხოლმე. გამარჯვებისა თუ გაბოროტების უკანასკნელი სიტყვა მაინც მისია...

ელენე — (ფიქრში წასული). როცა მე საპატიმროში ვცხოვრობდი... იქ ეს ცხოვრება უფრო საინტერესო იყო. ჩემი ქმარი ბანქოს თამაშობდა... ბევრს სვამდა და ხშირად სანადიროდაც დადიოდა. სამაზრო ქალაქი... ხალხიც რაღაცნაირი... ჩამორჩენილი... მიყრუებული... მე კი თავისუფალი ვიყავი, არსად არ დავდიოდი, არც არავის შინ არ ვიღებდი და ვცხოვრობდი ჩემთვის ტუსაღებთან. მართალი გითხრათ, მე მათ ვუყვარდი... თუ დააკვირდებით, მეტად უცნაური ხალხია. გარწმუნებთ, განსაცვიფრებლად სადა და საყვარელი ხალხია. უტკერი მათ და სრულიად დაუჯერებელი მგონია, რომ ეს კაცი კაცისმკვლელია, ეს მძარცველი, კი სხვა რაღაცის ჩამდენი — მოქმედი. როცა ვკითხავდი: შენ მოჰკალი? მოგკალი, გეთაყვა, ელენა ნიკოლაევნა, მოგკალი... რა გეწყობა?! და მე მეგონა, რომ მან, ამ მკვლელმა სხვისი დანაშაული იღო თავს... რომ ის მხოლოდ სხვისი ხელით ნასროლი ქვაა... დიახ, მე მათ ვუყვიდე წიგნები, ყოველ საკანს მივეცი შაში, სათამაშო ქალაღი... ვაძლევდი თამბაქოს... ღვინოსაც, ოღონდ ცოტ-ცოტას... სეიზნობის დროს ბურთსა და ქალაქობანას თამაშობდნენ და პატიოსნებას გეფიცები, ისე თამაშობდნენ, როგორც ბავშვები. დროგამოშვებით მხიარულ წიგნებს ვუკითხავდი... ისინი მისმენდნენ და ბავშვებივით ხარხარებდნენ. მერე ჩიტები ვიყიდე და გალიებით ყოველ საკანში ჩამოვარიგე... მათ ეს ჩიტები ისე უყვარდათ, როგორც მე ვუყვარდი. რომ იცოდეთ, როგორ მოსწონდათ, როცა კაშკაშა ფერად კაბას ჩავეცვამდი — წითელს ან ყვითელს, მაგალითად... გარწმუნებთ... იმათ ძალიან უყვართ მხიარული, ჭყეტელა ფერები და მეც განზრახ მათთვის ჭრელად ვიცვამდი. (ამოიხრებს). ჩინებულად ვიყავი მათთან! არც გამიგია, როგორ გავიდა სამი წელიწადი... და როცა ქმარი ცხენმა მომიკლა, მგონი, იმაზე უფრო ციხე მეტირებოდა... მენანებოდა იქიდან წასვლა... ტუსაღებიც... იმათაც იღარდეს... (მოაგლებს ოთახს თავს). აქ, ამ ქალაქში, უარესად ვცხოვრობ... ამ სახლში არის რაღაც... ცუდი... ხალხი კი არ არის აქ ცუდი, არამედ რაღაც სხვა... აი, იცით უკვე დავღონდი, გულიც როგორღაც დამიძიმდა... აი, ვსხედვართ, ვსაუბრობთ... და იქ კი, შეიძლება, ადამიანი კვდება...

ტეტერევი — (დინჯად). და არ გვებრალებათ...

ელენე — (სწრაფად). თქვენ არ გებრალებათ?

ტეტერევი — არც თქვენ...

ელენე — (წყნარად). დიახ, მართალი ხართ. ეს... ცუდია... მეს-

მის, მაგრამ როდი ვგრძნობ, რომ ცუდია... იცით, ხშირად ასეც ხდება... გესმის, რომ ცუდია, მაგრამ არ განიცდი... იცით? მე უფრო პეტრ ვასილევსი მეცოდება, ვიდრე ის... ის მებრალებს... აქ ის თავს ცუდად გრძნობს...

ტეტერევი — აქ ყველა ცუდად გრძნობს თავს.

პოლია — (შემოდის). გამარჯ...

ელენე — (წამოხტება, მიდის მისკენ). ჩუ... ჩუმად! იცით, ტანიამ თეი მოიწამლა.

პოლია — რაო?

ელენე — აბა! პო, პო! ახლა იქ, მასთან ექიმი და ძმია...

პოლია — კვდება... მოკვდება?

ელენე — არავინ იცის.

პოლია — მერე და, რისთვის? არ უთქვამს? არა?

ელენე — არ ვიცი, არა!

პეტრე — (გამოჰყვას კარებში გაწეწილ-აბურძგვილ თავს). ელენა ნიკოლაევნა... ერთი წუთი... (ელენე სწრაფად მიდის).

პოლია — (ტაბერებს). რათ მიცქერით ეგრე?

ტეტერევი — რამდენჯერ გიკითხავს ჩემთვის ასე?

პოლია — თუ სულ ერთი და იგივე... ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული ცქერა... რისთვის? (უახლოვდება, მკაცრად). თქვენ, რა? მე მთვლით დამნაშავედ?

ტეტერევი — (გაეცინება). განა გრძნობთ რაიმეს... დანაშაულის მსგავსს?

პოლია — ვგრძნობ, რომ სულ უფრო და უფრო მძულხართ... უკეთესია მითხრათ, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

ტეტერევი — გუშინ ხელი ოდნავ ჰკრეს და ის, სუსტი ძლეს წაიქცა... ეს არის სულ.

პოლია — სიცრუეა.

ტეტერევი — რაა სიცრუე?

პოლია — მიგიხვდით გადაკრულ სიტყვას... მაგრამ ეს სიცრუეა... ნილი...

ტეტერევი — განა ნილი? რა შუაშია აქ ნილი?

პოლია — არც ის, არც მე... ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ... თქვენ... არა, ვიცი, ჩვენ ვგამტყუნებთ... რა გეწყობა. მე ის მიყვარს... მას მე ვუყვარვარ... დიდხანია რაც ის დაიწყო.

ტეტერევი — (სერიოზულად). მე თქვენ არ გამტყუნებთ. ეს თქვენ დაიბრალებთ და აი — პირველ შეხვედრის წინაშე თავს იმარტლებთ... რისთვის? მე თქვენ... დიდათ გცემთ პატივს... ვინ გუბნებოდათ გამუდმებით და დაეინებით, აქაურობას გაშორდით და ამ

სახლში ნუ დადიხართ-მეთქი? აქ არაჯანსაღი ვარემოცვია და სულს ავიმღერევენ-მეთქი... გახსოვთ, ამას მე გეუბნებოდით...

პოლია — მერე?

ტეტერევი — არაფერი. აქ რომ არ გველოთ, რასაც ეხლა განცდით, იმის განცდა არ მოგიხდებოდათ... ეს არის სულ...

პოლია — ჰო... კი მაგრამ ეს როგორ ჩაიძინა? საშიშია? რითი?

ტეტერევი — არ ვიცი... (პეტრე და ექიმი შემოდის).

პეტრე — პოლია! გეთაყვა, ერთი ელენე ნიკოლაევნას მიეხმარეთ...

ტეტერევი — (პეტრეს). აბა, როგორაა საქმე?

ექიმი — უბრალო ამბავია! ოღონდ საქმე ის არის, რომ ნერვიულია, თორემ ისეთი არაფერია... ცოტა აქვს დაღუული და კუჭში უმნიშვნელო რაოდენობაა ჩასული... და ისიც ამონთხეულა.

პეტრე — ალბათ დაიღალეთ, ექიმო, დაბრძანდით...

ექიმი — მადლობა... ერთ კვირაში კარგად იქნება... ამას წინათ ერთი საინტერესო შემთხვევა იყო... მთვრალმა მღებავმა, ლუდის მაგიერ ჩაის ჭიქა ლაქი დალია... (შემოდის ბესემენოვი. კარებთან შედგება და ჩუმად კითხვის ნიშნად და ნაღვლიანად უცქერს ექიმს).

პეტრე — დამშვიდდი, მამაჩემო! სახიფათო არ არის თურმე...

ექიმი — დიახ, დიახ, ნუ გეშინიათ. ორ-სამ დღეში ფეხზე დადგება.

ბესემენოვი — ნუთუ მართლა?

ექიმი — გარწმუნებთ...

ბესემენოვი — გმადლობთ! რახან მართლა... არ არის საშიში... გმადლობთ! პეტრე, ერთი... აქ მოდი. (პეტრე უახლოვდება, ბესემენოვი უკან თავის ოთახის კარებისაკენ იხევს. ჩურჩული, ფულის წკრიალი).

ტეტერევი — (ექიმს). მერე რაო მღებავმა?

ექიმი — აჰ... როგორ?

ტეტერევი — რა მოუვიდა მღებავს?

ექიმი — მღებავს?... არაფერი... მმ... მგონი, სადღაც შევხვედარივართ ერთმანეთს?

ტეტერევი — შეიძლება.

ექიმი — თქვენ... ეე... სახადიანების განყოფილებაში ხომ არ იწეკით?

ტეტერევი — ვიწეკი...

ექიმი — (სიხარულით). აჰა! დიახ, დიახ! გიცქერით, ნაცნობი

სახე. ბოდიში... ეს გაზაფხულზე იყო, არა? ვგონებ, სახელი და გვარიც მახსოვს...

ტეტერევი — მეც მახსოვხართ...

ექიმი — მართლა?

ტეტერევი — მახსოვს, როცა მოვიკეთე და ულუფის გადღება ვთხოვეთ, თქვენ საშინლად დაიღმიკეთ და ეგრე მითხარით: „იმის მადლიერიც იყავი, რასაც გაძლევდნო. თქვენისთანა მაწანწალა და ლოთი ბევრიაო...“

ექიმი — (დაბნეული). უკაცრავად... ეს... ეს... არ მაგონდება... ბოდიში... თქვენი სახელი?... მე ექიმი ნიკოლოზ ტროეკუროვი ვახლავართ.

ტეტერევი — (უახლოვდება). მე კი, ჩამომავლობით ალკოგოლიკი და მწვანე გველის კავალერი ტერენტი ღეთისმეტყველი ვახლავართ. (ექიმი უკან იხევს). ნუ გეშინიათ! ხელს არ გახლებთ... (გვერდით ჩაუვლის. ექიმი დაბნეული თვალს გააყოლებს და ქუდიტ სახეს აგრილებს. შემოდის პეტრე).

ექიმი — (იცქირება წინაარსიან). ნახვამდის... მელოდებიან... თუ ვინცობაა ტკივილებმა შეაწუხოს... გაუძეოროთ... კიდევ მიეცით წვეთები... ძლიერი ტკივილები არ უნდა ექნეს. ნახვამდის... ერთი ეს სითხარით, გეთაყვა... წელან აქ ერთი თავისებური პიროვნება იყო... ის თქვენი ნათესავია?

პეტრე — არა, მდგმური...

ექიმი — აჰა, ძალიან სასიამოვნო... მეტად თავისებური კაცია... ნახვამდის... გმადლობთ. (მიდის. პეტრე კარში გააცილებს. ბესემენოვი და აქვლინა ივანოვნი გამოდიან თავის ოთახიდან და ფეხაკრფით მიდიან ქალიშვილის ოთახისაკენ).

ბესემენოვი — დაიცა, ნუ შეხვალ... არაფერი არ ისმის. შეიძლება სძინავს... არ გავაღვიძოთ... (გაიყვანს მოხუც ქალს კუთხეში სიარისიან). ხედავ, დედილო! ეს რას მოვესწარიო? ეს ამბავი ახლა მიელ ქალაქს მოედება... ჭორსა და ყბედობას საზღვარი არ ექნება...

აკულინა ივანოვნა — აბა რას ამბობ, ერთი მითხარი?! თუ უნდათ სულ ბუკი და ნალარა დაუქრან... ოღონდ ცოცხალი გადარჩეს და სანამ არ მოსწყინდებათ, ილაპარაკონ...

ბესემენოვი — ჰო, ეს ასეა... ოღონდ შენ... ეჰ, ეჰ... როგორ არ გესმის... ეს ხომ ჩვენი სირცხვილია.

აკულინა ივანოვნა — ა?... სირცხვილი?

ბესემენოვი — გაიგე, ქალიშვილმა თავი მოიწამლა. ვატყენო რაიმე? ვაწყენინეთ? ჩვენ რა, ნადირები ხომ არ ვართ? ლაპარაკით, რას არ იტყვიან... დამიფურთხებია. შეიღების გულისთვის

ყველაფერს მოვიტყენ... მაგრამ რისთვის? რა მიზეზით? ვიცოდე მაინც... ცხოვრობენ შვილები თავისთვის, ხმას არ გცემენ. რა აწუხებთ!.. რას ფიქრობენ, არ იცი... აი, რა არის საწყენი.

აკულინა ივანოვნა — მესმის, განა მე არ მწყინს... რაც არ უნდა იყოს, დედა ვარ... ფუსფუსებ, ფუსფუსებ მთელი დღე და მადლობელიც არავინ არის... მესმის. რა გაეწყობა... დეე, ცოცხლები და ჯანმრთელი იყვნენ... თორემ აი!..

პოლია — (შემოდის ტატიანას ოთახიდან). იძინებს... ჩუმად იყავით.

ბესსემენოვი — (წამოდგება). როგორ არის? ნახვა თუ შეიძლება?

აკულინა ივანოვნა — თითის წვერებით შევალთ... მე და მამამისი...

პოლია — ექიმმა თქვა, არავინ შეუშვათო...

ბესსემენოვი — (ეპვიო). შენ რა იცი? ექიმის დროს რომ არ ყოფილხარ?

პოლია — ელენა ნიკოლაევნამ გადმომცა.

ბესსემენოვი — თვითონ შიგ არის? გარეშე შეიძლება და მშობლები არა? საკვირველია...

აკულინა ივანოვნა — სამხარეულოში უნდა ისადილოთ... რომ არ შეეაწუხოთ... ჩემი გოგონა... შეხედვაც კი არ შეიძლება. (ჩაიქნევს ხელს და შედის წინკარში. პოლია დგას, კარადაზეა მიყრდნობილი და იქიბება ტატიანას ოთახის კარებისაკენ. წარბები შეკრული აქვს, ტუჩები მოკუმული, წელში გამართული დგას. ბესსემენოვი ზის მაგიდასთან, თითქოს რაღაცას უცდის).

პოლია — (წყნარად). მამაჩემი დღეს აქ თუ იყო?

ბესსემენოვი — შენ მამაშენს როდი კითხულობ. მამა შენ რათ გინდა? ვიცი, ვინც გინდა... (პოლია გაკვირვებული უცქერის). პო, იყო მამაშენი... კი, როგორ არა... დათხუნულ-დაფლეთილი, ყოველგვარ წესრიგს მოკლებული... მაგრამ მისი პატივისცემა მაინც უნდა გქონდეს...

პოლია — მე პატივს ვცემ... რათ მეუბნებით ამას?

ბესსემენოვი — რომ გაიგო... მართალია, მამაშენი ერთი უსახლკარო მაწანწალაა, მის მორჩილებაში მაინც უნდა იყო... განა თქვენ გესმით, რა არის მამა? თქვენ ყველანი უსულ-გულონი ხართ. აი შენ. ერთი ღარიბი, უსახლკარო გოგო ხარ... თავმდაბალი, მოკრძალებული და ყველასთან თავაზიანი უნდა იყო. შენ კი, ცხვირს მალულა სწევ, განათლებულ ხალხს ბაძავ... აი თხოვდები... იქ კი ადამიანი კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა.

პოლია — არ მესმის, რას ან რისთვის ლაპარაკობთ.

ბესსემენოვი — (ეტყობა, თითონ დაქარგა თავის აზრების ძაფი, გაბრაზებული). გაიგე. იფიქრე... იმიტომ გელაპარაკები, რომ მიხვდე ცინა ხარ. მაგრამ მაინც თხოვდები, ჩემი ქალიშვილი კი... აქ რაღას დგახარ?! წადი სამხარეულოში... რამე გააკეთე... მე ვუდარაჯებ... წადი (პოლია გაურკვევლად უცქერის. უნდა წავიდეს). დაიცა! დღეს მამაშენი დავტუქსე...

პოლია — რისთვის?

ბესსემენოვი — რა შენი საქმეა. გასწი-მეთქი (პოლია გაკვირვებული გადის. ბესსემენოვი ნელა მიდის ტატიანას კარებისაკენ, გამოაღებს, უნდა შიგ შესვლა, მაგრამ ამ დროს ელენე გამოდის და კარს მოაშორებს).

ელენე — ნუ შეხვალთ. მგონი, ძინავს... ნუ შეაწუხებთ...

ბესსემენოვი — მმ... ჩვენ ყველა გვაწუხებს და არაფერი... თქვენი შეწუხება კი არ შეიძლება.

ელენე — (გაკვირვებული). რას ლაპარაკობთ? ის ხომ ავადმყოფია?

ბესსემენოვი — ვიცი... ყველაფერი ვიცი... (მიდის წინკარში, ელენე მხრებს აიჩეჩავს. მიდის ფანჯრებისაკენ, დაჯდება ტახტზე, ხელებს კე-დაზე შემოიდებს და რაღაცას ფიქრობს. სახზე მერე ღიმილი გადაეკვრება და ოცნებაში წასული თვალებს ხუჭავს. პეტრე მოდუშული, ძარღვებაშლილი შემოევა, თავს ისე გაიქნევს, თითქოს რაღაც უნდა მოიშოროსო. დაინახავს ელენეს და შეთვბა).

ელენე — (თვალს არ ახელს). ვინ არის?

პეტრე — რა გაცინებთ? უცნაურია ყოველივე ამის შემდეგ მომღიმარი სახის დანახვა...

ელენე — (შეხდავს). გაჯავრებული ხართ? დაილაღეთ? საბრალო ბავშვი... როგორ მეცოდებით...

პეტრე — (დაჯდება სკამზე მის გვერდით). მე თვით მეცოდება ჩემი თავი.

ელენე — თქვენ სადმე უნდა გაემგზავროთ...

პეტრე — სწორია. არსებითად რომ ვთქვა, რა მინდა აქ? ეს ცხოვრება საშინლად მიმიძის.

ელენე — მამ როგორი ცხოვრება გწადიათ? მითხარით... ხშირად გეკითხებით... მაგრამ არასოდეს არ გიპასუხნიათ.

პეტრე — ძნელია გულახდილობა...

ელენე — ჩემთან?

პეტრე — თქვენთანაც... მე ხომ არ ვიცი, როგორი წარმოდგენისა ხართ ჩემზე? ან როგორ გაიგებთ იმას, რასაც გეტყვით? ხანდახან მგონია, რომ თქვენ...

ელენე — რა მე? აბა...

პეტრე — რომ კარგად...

ელენე — კარგად გექცევით, ძალიან კარგად, ჩემო კარგო ბიჭიკო...

პეტრე — (ფიცხად). მე ბიჭი არა ვარ, არა! ბევრი ვიფიქრე... ერთი ეს მითხარით... მოგწონთ ან მიგაჩნიათ თუ არა საინტერესოდ მთელი ეს ფაციფუსი, რომელსაც ეწვევიან ნილი, შიშკინი, ცვეტაევა... ყველა ეს ხმაურის ხალხი?.. შეიძლება, თქვენ გჯერათ, რომ ჭკვიანი წიგნების ზიარად კითხვა... წარმოდგენები მუშებისათვის... გონიერი გასართობები და მთელი ეს ფუსფუსი ნამდვილად ისეთი დიდი საქმეა, რისთვისაც ღირს სიცოცხლე?.. მითხარით...

ელენე — გეთაყვა! აბა რა გითხრა... მე მაგისი არ გამეგება რა. მე ერთი გაუნათლებელი ქალი ვარ. მე ხომ სერიოზული ადამიანი არ ვარ... ისინი ნილი, შიშკინი... მომწონს. მხიარული ხალხია. მუდამ რაღაცას აკეთებენ! მე მიყვარს მხიარული ხალხი... თვითონაც ასეთი ვარ... აბა რათ მეკითხებით ამას?

პეტრე — მე კი... ყოველივე ეს ძარღვებს მიშლის... თუ მათ ასეთი ცხოვრება უყვართ... თუ ისინი ამაში ჰპოვებენ კმაყოფილებას, კეთილი ინებონ, მე ხელს არ ვუშლი... არც მინდა, არავის არ მინდა ხელი შევეშალო, მაგრამ ნურც მე შემიშლით, მაცხოვრეთ ისე, როგორც მინდა... რათ ანიჭებენ თავიანთ მოქმედებას რაღაც განსაკუთრებულ აზრს? რათ მეუბნებიან, რომ მე მხდალი და ეგოისტი ვარ.

ელენე — (ხელოთ ეხება მის თავს). საწყალი, როგორ გააწვალეს... როგორ დაიქანცა.

პეტრე — არა, მე კი არ დავიქანცე... გაბრაზებული ვარ. მაქვს თუ არა უფლება ვიცხოვრო ისე, როგორც მე მომწონს, მაქვს თუ არა ამის უფლება?

ელენე — (მის თმას ეთამაშება). ესეც ბრძნული და თავსატეხი საკითხია ჩემთვის... მე ერთი ვიცი: ვცხოვრობ ისე, როგორც შემიძლია, ვაკეთებ იმას, რაც მინდა... რამდენიც არ უნდა მეჩინონ, მონასტერში მაინც არ წავალ... მაიძულებენ? გამოვიქცევი, წყალში გადავარდები.

პეტრე — მათთან კი მაინც უფრო ხშირად ხართ, ვიდრე ჩემთან... ჩემზე უფრო ისინი მოგწონთ. მე ვგრძნობ... მე მინდა გითხრა და მაქვს კიდევ ამის უფლება, ისინი ცარიელი კასრებია.

ელენე — (გავიწვევებული). რაო? როგორი?

პეტრე — ცარიელი კასრები... ერთი არაკია ასეთი, კასრებზე ნათქვამი...

ელენე — ჰოო, ვიცი... მაშასადამე... მეც... ხომ?.. გამოდის, რომ მეც ცარიელი ვარ?

პეტრე — არა! თქვენ არა. თქვენ ცოცხალი ხართ და ნაკადულივით ახალისებთ და აცხოველებთ ადამიანს...

ელენე — უფ! მაშ, თქვენის აზრით, ნაკადულივით ცვიც კყოფილვარ.

პეტრე — ნუ ხუმრობთ. მე გთხოვთ, ასეთ დროს... თქვენ აცინით? რატომ? განა სასაცილო ვარ? მე ცხოვრება მინდა, მინდა ვიცხოვრო... ჩემს ჭკუაზე... და ჩემს ნებაზე...

ელენე — იცხოვრეთ. მერე ვინ გიშლით?

პეტრე — ვინ? არის ვინმე... არის რაღაც, როცა ვფიქრობ, რომ საჭიროა ცხოვრება მარტო, დამოუკიდებლად... ასე მგონია ვიღაც ჩამჩიჩინებს — არ შეიძლებაო.

ელენე — სინდისი?

პეტრე — რა შუაშია აქ სინდისი?.. დანაშაულს ხომ არ ჩავდივარ? მე მხოლოდ მინდა, რომ თავისუფალი ვიყო... მე მინდა ვიქცე...

ელენე — (დაიხრება მისკენ). ეს ეგრე არ ითქმება. ეს უფრო სადად და მარტივად გამოითქმის... მე დაგეხმარებით, საბრალო ბავშვო, რომ უბრალო ამბები ერთმანეთში არ აურიო.

პეტრე — ელენა ნიკოლაევნა! მაგ ხუმრობით თქვენ მე მაქმებთ. ეს სისასტიკეა... მე მინდა გითხრა, რომ... აი მთლიანად თქვენ წინაშე ვარ.

ელენე — არა, მაინც ისე არ ლაპარაკობთ.

პეტრე — ალბათ სუსტი ვარ... ეს ცხოვრება ჩემს ძაღლონეს აღმატება. მე ვგრძნობ ამ ცხოვრების გაცვეთილობას და უხამსობას, მაგრამ არაფრის შეცვლა არ ძალმიძს. მინდა წავიდე, ვიცხოვრო მარტო...

ელენე — (თაფზე ხელი მოხვია). დამიგდეთ ყური და რაცა ვთქვა. კარგად გაიმეორეთ. აბა მომყევით: მე თქვენ მიყვარხართ.

პეტრე — ჰო, დიახ, დიახ! მაგრამ არა... თქვენ ხუმრობთ...

ელენე — მართალი გითხარით, მე სრულიად სერიოზულად გადაწყვეტივით გამოგყვეთ ცოლად. შეიძლება ეს კარგი არ იყოს... მაგრამ მე ძალიან მინდა ასე...

პეტრე — რა ბედნიერი ვარ, მე თქვენ მიყვარხართ, როგორც... (უღლის იქით მოისმის ტატიანას კენესა. პეტრე წამოხტება, დაბნეული ხმით იხილავს. ელენე მშვიდად დგება აღვილიდან, პეტრე ჩუმად). ტატიანა? და ჩვენ კი... აქ...

ელენე — (ჩაუვლის წინ). ცუდი არაფერი არ ჩავგიდენია...

ტატიანას ხმა — მწყურია... წყალი დამალევინეთ...

ელენე — მოედევარ. (გაუღიმებს პეტრეს და მიდის. პეტრე თავში ხელუბრაგლებული დგას და გაშტერებული იტყირება. წინა კარი იღება და აკულინა ივანონა ხმამალა ბუტბუტით შემოდის).

აკულინა ივანონა — პეტია! პეტია, სადა ხარ?

პეტრე — აქ ვარ...

აკულინა ივანონა — წადი ისადილე...

პეტრე — არ მინდა... არ წამოვალ...

ელენე — (შემოდის). ჩემთან წამოვა... (აკულინა ივანონა უკმაყოფილოდ გადახედავს და კარს მიეფარება).

პეტრე — (მივარდება ელენეს). ეს რა ცუდად გამოგვივიდა... ცუდად. ის იქ წევს და... ჩვენ... ჩვენ...

ელენე — კარგი, წამოდით... რა არის აქ ცუდი? თეატრშიც კი, მიძიმე დრამის შემდეგ მხიარულ რასმე მართავენ ხოლმე... ცხოვრებაში ეს მით უფრო აუცილებელია... (პეტრე უახლოვდება, ელენეს მკლავგაყრილი გაჰყავს).

ტატიანა — (ხმაჩახრინწული კენესის). ლენა... ლენა... (შემორბის პოლია).

ფარდა

მეორე მოქმედება

ივევ ოთახი.

სალამო. ოთახი მაგიდაზე დადგმულ ლამაზთ არის განათებული. პოლია ხის ჭურჭელს აგროვებს. ავადმყოფი ტატიანა ბნელ კუთხეში ტახტზე წვეს. ცვეტაევა მის მახლობლად ზის სკამზე.

ტატიანა — როგორ გგონია, განა არ მინდა, მეც ისეთი ხალისით და სიხარულით ვუცქეროდე ქვეყანას, როგორც შენ? ოხ, ძალიანაც მინდა, მაგრამ არ შემიძლია! მე დავიბადე, ისე, რომ გულში არაფრის რწმენა არ დამყოლია... მივეჩვიე ყველაფრის გონების თვალთ გაწსჯეს, მსჯელობას.

ცვეტაევა — ძვირფასო, შენ გადამეტებულად მსჯელობ. დამეთანხმე, ჰკვიანი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ იმსჯელო, არ ღირს, კარგია: გონება, მაგრამ იცი?... ადამიანს ცხოვრება რომ არ დაუმიძიმდეს და არ მოსწყინდეს, მეოცნებეც უნდა იყოს... ხანდახან წინ, მომავლისაკენაც უნდა იტყირებოდეს... (პოლია, ყურადღებით უსმის ცვეტაევას, ფიქრად წასული ალერსიანად იღიმება).

ტატიანა — რა არის იქ, წინ?

ცვეტაევა — ყველაფერი, რის დანახვასაც მოისურვებ.

ტატიანა — ოჰო-ო!.. უნდა ისურვო, გამოიგონო?

ცვეტაევა — უნდა ირწმუნო... დაიჯერო!

ტატიანა — რა?

ცვეტაევა — შენი ოცნება... იცი, როცა სკოლაში ვარ და ჩემს ბიჭუნებს თვალბში ვუცქერი, მე — ვფიქრობ მათზე. აი, ნოვიკოვი, ის დაამთავრებს სკოლაში სწავლას და გიმნაზიაში შევა... შემდეგ უნივერსიტეტში. მე მგონია... ექიმი გამოვა. მეტად დინჯი, გულისყურიანი და კეთილი ბიჭია... ფართო შუბლი აქვს და მოსიყვარულე გულისაა. ბევრს იმუშავებს, უანგაროა და ჩინებული... ხალხის სიყვარულს და პატივისცემას დაიმსახურებს... დარწმუნებული ვარ, ოდესმე, როცა თავის ბავშვობას გაიხსენებს, მოაგონ-

დება ისიც, რომ მასწავლებელმა ცვეტაევამ ერთხელ დასვენებაზე თამაშობის დროს უცაბედად ცხვირი როგორ გაუტეხა... შეიძლება არც მოაგონდეს... მაგრამ ეს სულერთია! არა, ვფიქრობ. რომ მოაგონდება... ძალიან ვუყვარვარ. მყავს კიდევ ერთი გულმაღვიწყვი, თმაგაჩეჩილი და თხუპნია კლოკოვი... მოკამათე, ურჩი და ჭირვეული ბიჭია. ობოლია! სცხოვრობს ბიძასთან, რომელც ღამის ყარაულია და ღარიბია, თითქმის მათხოვარი... მაგრამ საშინლად ამაყი და გაბედულია! ვფიქრობ, ის ჟურნალისტი შეიქმნება. ოჰ, რომ იცოდეთ, რამდენი საინტერესო ბიჭუნები მყავს! როგორღაც შენდა უნებურად ფიქრობ რა მოუვათ, რას გააკეთებენ ცხოვრებაში... საშინლად მინტერესებს როგორი იქნებიან მომავალში, როგორ იცხოვრებენ... აი, ხომ ხედავ, ტანია, ეს ცოტაა, მაგრამ... რომ იცოდე, რა სასიამოვნოა!

ტ ა ტ ი ა ნ ა — შენ კი? შენ ამ დროს სად ხარ? ვსთქვათ, შენი მოწაფეები იცხოვრებენ... შეიძლება კარგადაც... მაშინ შენ ხომ...

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — ქვეყანაზე აღარ ვიქნები, არა? ვინ მოგახსენა! არა, განზრახული მაქვს დიდხანს ვიცოცხლო...

პ ო ლ ი ა — (წყნარად, ალერსით და თითქმის ამოოხვრით). რა კარგი ხარო თქვენ, მაშა! შესანიშნავი...

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — (გაუღიმა პოლიას). გალობდა ჭეინტა-ჩიტი... იცი, ტანია, სანტიმენტალური ქალი მე არ ვარ... მაგრამ, როდესაც ვფიქრობ მომავალზე... ხალხზე, ცხოვრებაზე — ტუბილ სევდანარევ გუნებაზე ვდგები... თითქოს ჩემს გულში შემოდგომის ცხოველი დღე კისკისობდეს... იცი? შემოდგომით იცის ასეთი დღეები. კრიალა ცაზე დინჯი მზე, ჰაერი ღრმა, გამსჭვირვალე. შორ მანძილიდანაც ყველაფერი მკაფიოდ მოჩანს... გრილა და სულ არ ცივა... თბილა. არ გცხელა...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ყოველივე ეს... ზღაპარია... თუმცა დასაშვებია, რომ შენ, ნილს, შიშკინს და ყველა თქვენ მსგავს ადამიანებს ნამდვილად შეგწევდეთ უნარი იცხოვროთ ოცნებით... მე კი არ შემიძლია.

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — არა, მომითმინე... განა მარტო ოცნებით...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მე არასოდეს არაფერი არ მგონებია უტყუარი და უცილებელი... გარდა იმისა, რომ ეს მე ვარ, ეს კედელია... როცა ვამბობ „ჰო“ თუ „არა“.. ვამბობ არა გულდაჯერებით, არამედ ისე რალაცნაირად... მხოლოდ ეპასუხობ. მართლაც! ხანდახან ვიტყვი „არას“ და იმავე წუთში ვფიქრობ ჩემთვის. განა ასეა? რომ შეიძლება, რომ „ჰოც“ იყოს.

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — და შენ ეს მოგწონს... აბა დაუკვირდი შენ თავს. შეიძლება, სიამოვნებას ჰპოვებ... სულის ასეთ გაორებაში? ან შეიძლება, რწმენის გეშინია... რომელიც გავალდებულებს...

ტ ა ტ ი ა ნ ა — არ ვიცი... არ ვიცი. მაიძულე, რომ მეც ვირწმუნო. აი, სხვებს, ხომ არწმუნებთ... (წყნარად იცინის). მე კი, მეცოდებიან ისინი, რომელთაც თქვენი სჯერათ... თქვენ მათ ატყუებთ! ცხოვრება ხომ მუდამ იყო, როგორც ახლა... ისეთი მღვრიე და შეზღუდული... და... ასეთადვე დარჩება მუდამ!

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — (ღიმილით). განა? იქნებ — არა?

პ ო ლ ი ა — (თითქოს თავისთვის). არა!

ტ ა ტ ი ა ნ ა — რა თქვი?

პ ო ლ ი ა — მე ვამბობ, რომ ის ასეთი არ დარჩება.

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — ყოჩაღ, ჩემო ჩიტუნია, ყოჩაღ!

ტ ა ტ ი ა ნ ა — აი ერთი უბედურთაგანი... მორწმუნეთაგანი... აბა ჰკითხე, რატომ — არა! რატომ გამოიცვლება ცხოვრება? ჰკითხე.

პ ო ლ ი ა — (ნელა უახლოვდება). იცით რა... ადამიანთა უმრავლესობა ჯერ როდი ცხოვრობს! ძალიან ცოტანი სარგებლობენ ცხოვრებით... უმრავლესობას ცხოვრებისათვის არ სცალია... ისინი მხოლოდ შრომობენ, ლუკმა პურისათვის ირჯებიან... აი, როცა ისინიც...

შ ი შ კ ი ნ ი — (სწრაფად შემოდის). საღამო მშვიდობისა! (პოლიას) საღამო მეფე დუნკანის თმაქერა ასულს!

პ ო ლ ი ა — რაო? რომელი მეფის ასულს?

შ ი შ კ ი ნ ი — აჰა-ა! ხომ დაგიპირე! ახლა კი ვხედავ, რომ ჰეინე არ წაგიკითხავთ. თუმცა ის წიგნი ორ კვირაზე მეტია, რაც თქვენ ხელთ არის. გამარჯობათ, ტატიანა ვასილევნა!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ხელს უწვილს). ახლა მის წიგნებისათვის არ ცხედა... თხოვდება...

შ ი შ კ ი ნ ი — ოჰ-ოო! ვისზე? ა?

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — ნილს მიჰყვება...

შ ი შ კ ი ნ ი — აჰა-ა! რაკი ასეა, მოგილოცავთ... ოღონდ, საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, ეს ჰკვიანური საქციელი როდია, საერთოდ, კოლის შერთვა, გათხოვება და სხვა ამგვარი... ქორწინება მანამედროვე პირობებში...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ოჰ, არა, არ არის საჭირო! დაგვეხსენით! თქვენ არაერთხელ გამოგიტყვამთ ეგ აზრი ამ საკითხის გამო...

შ ი შ კ ი ნ ი — რაკი ეგრეა-ვდუმვარ! მით უმეტეს — არცა მკალია. (დაბთავას). მოდიხარ ჩემთან? საუცხოვო! პეტრე არ არის?

პ ო ლ ი ა — ზევითაა.

შ ი შ კ ი ნ ი — მმ... არა, მასთან არ ავალ! მე უნდა გთხოვოთ, ტატიანა ვასილევნა... ან თქვენ, პოლია... გადასცეთ, რომ მე...

ისევ... იცი?.. ესე იგი, გაკვეთილები პროხოროვთან თავისუფა-
ლია...

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — იქაც? არა, ბედი მართლაც არ გწყალობთ!

ტ ა ტ ი ა ნ ა — წაეჩხუბეთ!

შ ი შ კ ი ნ ი — სწორედ რომ ვსთქვა... არც მაინცდამაინც! თავ-
შეკავებული კაცი ვარ.

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — კი მაგრამ — რა იყო მიზეზი? თქვენ თვითონ-
ვე აქებდით პროხოროვს!

შ ი შ კ ი ნ ი — აფსუს! ეაქებდი... დალახვროს ეშმაკმა! არსები-
თად ის... ბევრზე წესიერია... არც უჭკუოა... ოღონდ ცოტა ბა-
ქიაა... ყბედი და, საერთოდ... (უეცრად და აგზნებით) გვარიანი პი-
რუტყვია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — ამის შემდეგ საეჭვოა, რომ პეტამ კიდევ გიშოვ-
ნოთ გაკვეთილები...

შ ი შ კ ი ნ ი — ჰო, ო, ესეც მართალია! შეიძლება გაბრაზდეს,
არა?

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — კი მაგრამ პროხოროვთან რა შეგემთხვათ?

შ ი შ კ ი ნ ი — წარმოიდგინეთ, ანტისემიტია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — მერე და, თქვენ რა გესაქმებათ?

შ ი შ კ ი ნ ი — როგორ თუ რა? ეს ხომ უხამსობაა! არასაკადრი-
სი ინტელიგენტ კაცისთვის. საერთოდ, ის ბურჟუაა! ავიღოთ თუნ-
დაც ასეთი რამ: მისი დამლაგებელი ქალი საკვირაო სკოლაში და-
დიოდა. საუცხოვოა! თვითონვე მეტად მოსაწყენად მიმტკიცებდა სა-
კვირაო სკოლების სარგებლობას... რაც არასოდეს არ მითხოვნიდა
იკვებინდა კიდევ, რომ ამ სკოლების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი
თვითონაც არის. ჰოდა, გასულ კვირას ბრუნდება შინ და კარს დამ-
ლაგებლის მაგიერ გამდელი უღებს. სად არის საშა? სკოლაში. აჰაა
და აუკრძალა დამლაგებელ ქალს სკოლაში სიარული. ამას აბა რა
უნდა ვუწოდოთ... თქვენი აზრით? (ტატანა მხრებს იშმუშნის და ღუმს).

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — მერედა როგორი ყბედია...

შ ი შ კ ი ნ ი — მართალი გითხრათ, ეს ჩვენი პეტრე თითქოს
ვანზრახ, ყოველთვის ვიღაც თაღლითებთან შოულობს ჩემთვის გაკ-
ვეთილებს.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მკაზხად). მახსოვს, ხაზინადარსაც აქებდით.

შ ი შ კ ი ნ ი — დიახ... გვარიანი ბებრუცანა იყო! მაგრამ საში-
ნელი ნუმინმატი! მაჩრიდა ცხვირში ათასგვარ სპილენძის ნატეხებს
და თავს მილაყებდა კეისრების, დიადოხების და ფარაონების ზღაპ-
რებით. ამიკლო, არაქათი გამაცალა! ჰოდა, ერთხელ ვეუბნები:
გამიგონეთ, ვიკენტი ვასილევჩი! მე კი მგონია ყოველივე ეს დიდი

სისულელეა-მეთქი. თითოეული რიყის ქვა სიძველის თვალსაზრისით
მეტ ღირებულედას წარმოადგენს, ვიდრე თქვენი სპილენძის გროშე-
ბი-მეთქი. ეწყინა, მაშ ჩემი ცხოვრების თხუთმეტი წელიწადი სი-
სულელეში ჩამიკლავსო? ეგრე გამოდის-მეთქი. საბოლოო ანგარი-
შის გასწორებისას ათშაურიაანი დამაკლო... ალბათ იმ თავის კოლექ-
ციის შესავსებად თუ დაიტოვა. მაგრამ ეს არაფერი... პროხოროვთან
კი სულ სხვაა... (ნადვლიანად). საძველი ხასიათი მაქვს! (სწრაფად). გა-
მაგონეთ, მარია ნიკიტინა, წავიდეთ, დროა!

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — მზად ვარ. ნახვამდის, ტანია! ხვალ კვირაა...
ჰოდა, დილითვე მოვალ...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ვმადლობთ. ასე მგონია, რაღაც მხოხავი მცენა-
რე ვარ-მეთქი... არც ლაზათი და არც სიხარული არ გამაჩნია...
ხალხს კი სიარულს ვუშლი. ფეხებში ვებლანდები...

შ ი შ კ ი ნ ი — რა მავნე აზრებია... ფუ!

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — მწყინს, რომ ასე ლაპარაკობ, ტანია!

ტ ა ნ ი ა — არა, მაცალე... იცი? მე მესმის... გავიგე ცხოვრების
მკაცრი ლოდიკა: ვისაც არ შეუძლია რამე ირწმუნოს, მას ცხოვრე-
ბაც არ შეუძლია... ის უნდა დაიღუპოს... დიახ!

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — (ღიმილით). განა? შეიძლება, არა?..

ტ ა ტ ი ა ნ ა — მაჯაგრებ?... განა ღირს? ღირს კი ჩემი დაცინვა?

ც ვ ე ტ ა ე ვ ა — არა, ტანია, გეთყუა. ყველაფერ ამას ეგ შენი
ფედიყოფობა და დაღლილობა ლაპარაკობს და არა შენ... აბა ნახ-
ვამდის! ნუ ჩაგვთვლი მკაცრ და ბოროტ ადამიანებად.

ტ ა ტ ი ა ნ ა — წადით... ნახვამდის!

შ ი შ კ ი ნ ი — (პოლას). აბა, მიბრძანეთ, როდის წაიკითხავთ
ბიუსეს? ჰო, მართლა, თქვენ გათხოვილი ქალი ბრძანდებით... მმი
ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ზოგი რამ ითქვას... მაგრამ ნახ-
ვამდის! (გაყვავ ცვეთავს. პაუზა).

პოლია — მწუხრის წირვა ალბათ მალე დასრულდება... ვუთ-
ხრა, რომ სამოვარი შემოიტანონ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — არა მგონია, რომ მოხუცებმა ჩაი დალიონ... თუმ-
ცა როგორც გინდა. (პაუზა). წინათ მყუდროება მიმძიმდა, ახლა მახა-
რებს კიდევ, რომ ჩვენსა ასეთი სიწყხარეა.

პოლია — განა, წამლის დაღვევის დრო არ არის?..

ტ ა ტ ი ა ნ ა — ჯერ არა... უკანასკნელ დღეებში ჩვენსა დიდი
ფსიქუსი და ალიაქოთი იყო. როგორი ხმაურაა ეს შიშკინი.

პოლია — (უახლოდება) კარგი ყმაწვილია...

ტ ა ტ ი ა ნ ა — გულკეთილია... მაგრამ ბრიყვი...

პოლია — სამართლიანი და გამბედავი კაცია. სადაც რაიმე

უსამართლობას დაინახავს, იმ წამსვე გამოექომაგება. აი, დამლაგებელიც შევამჩნია. ვინ აქცევს ყურადღებას, როგორ ცხოვრობენ დამლაგებლები და, საერთოდ, ისინი, რომელნიც მდიდრებს ემსახურებიან? რომ დაინახოს კიდევ ვინმემ, განა გამოესარჩლება?

ტ ა ტ ი ა ნ ა — (არ უტყვრის პოლიას). შენ ეს მითხარი, პოლია... არ გეშინია, რომ ნილს ცოლად მიჰყვები?

პოლია — (მშვიდად, გაკვირვებით). აბა რის უნდა მეშინოდეს? არა, არაფრის არ მეშინია...

ტ ა ტ ი ა ნ ა — რატომ?... მე კი შემეშინდებოდა. კიდევ იმიტომ გელაპარაკები, რომ... მიყვარხარ! შენ ისეთი არ ხარ, — როგორიც ის... უბრალო ხარ, ის ნაყთხია, განათლებულიც. ვინ იცის შენთან კიდევაც მოიწყინოს... შენ ეს არ გიფიქრია?

პოლია — არა. მე ის ვიცი, რომ ვუყვარვარ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (სინანულით). რა იცი? როგორ შეიძლება ამის ცოდნა? (ტეტერევს შემოაქვს სამოვარო).

პოლია — აი, გმადლობთ! წავალ და რძეს მოვიტან. (მიდის).

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (ნამთვრალევი, და დაფიქვინებული სახით). სამზარეულოსთან რომ გავიარე, სტეპანიდა შემომეხვეწა: დედაშვილობას, ერთი ეს სამოვარი შეიტანე და, როცა მკავე კიტრი... ან წათხი მოგინდება, მოგცემთო... წამძლია სულმა... რა ვქნა, წუწვი ვარ...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მწუხრის წირვიდან მოხვედით?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არა, დღეს არ წავსულვარ... თავი მისკდება. როგორ ბრძანდებით? თავს ხომ უკეთ გრძნობთ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — არა მიშავს, გმადლობთ. ამის დღეში ორჯერ მაინც მეკითხებიან... უფრო უკეთ ვიგრძნობდი თავს, რომ ჩვენსა ნაკლები ფუსფუსი და ხმაური იყოს... მამრახებს რატომღაც ეს ფაციფუსი... ყველანი სადღაც მიიჩქარიან, ყვირიან, ჩხავიან, მამაჩემი ბრაზობს ნილზე, დედაჩემი სულ ოხრავს... მე კი ვწევარ... თვალყურს ვადევნებ და არავითარ აზრს არ ვხედავ... ყოველივე იმაში, რასაც ისინი... ცხოვრებას ეძახიან.

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არა, რატომ? ყოველივე ეს საყურადღებოა. მე ერთი გარეშე კაცი ვარ და ამქვეყნიურ საქმეებში როდი ვერევი... მხოლოდ ცნობისმოყვარეობისათვის ვცხოვრობ და იმ დასკვნამდე მივდი, რომ აქ ცხოვრება საკმაოდ საინტერესოა...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მართალია, თქვენ დიდ მოთხოვნილებას არ უყენებთ ცხოვრებას, მაგრამ მაინც, რას ხედავთ საინტერესოს და საყურადღებოს?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — იმას, რომ ხალხი საცხოვრებლად ეწყობა და ემზადება. მაგალითად, მე ძალიან მიყვარს თეატრში იმის მოსმენა,

როგორ მართავენ და აწყობენ მემუსიკენი თავიანთ საკრავებს, ჰიანური იქნება ეს, ნალარა, თუ სხვა რამ. ადამიანის ყური ათასნაირ ხსნს და ზოგჯერ ლამაზ კილოსაც დაიჭერს ხოლმე... და საშინლად მინდა, რაც შეიძლება, მალე გავიგონო ის, რასაც ისინი დაუტყრავენ... მინდა გავიგო, რომელია მათში დამწყები და რას წარმოადგენს ეს პიესა? აქაც ისეა... ეწყობიან... ლავდებიან...

ტ ა ტ ი ა ნ ა — თეატრში სხვაა. იქ დირიჟორი მოვა, აიქნევს ყოვს და მემუსიკენიც საძაგლად, უსულგულოდ უტყრავენ რაღაც ძველსა და მომამბურებელ ნაწარმოებს. აქ კი... ამათ? მათ რისი დაყვრის უნარი აქვთ? არ ვიცი...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ვფიქრობ, რაღაც მძლავრს, ფორტისიმოს...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ვნახოთ. (პაუზა. ტეტერევი აბოღებს ჩიბუხს). რატომ ჩიბუხს ეწვეით და არა პაპიროსს?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ეს უფრო მემარჯვება. მე ხომ ერთი მოხეტიალე კაცი ვარ... მაწანწალა... წლის უმეტეს დროს გზაში ვატარებ. თ, მალე ისევ გავსწევ. ფხს მოიდგამს თუ არა ზამთარი, გზას გაუფრავები.

ტ ა ტ ი ა ნ ა — საით?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — არ ვიცი... განა სულერთი არ არის?

ტ ა ტ ი ა ნ ა — სადმე გაიყინებით... ნასვამი...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — გზაში არასოდეს არ ვსვამ... გავიყინები და, ზეზე რა? მირჩევენია სიარულში გავიყინო, ვიდრე ერთ ადგილას ყდომით დავღპე...

ტ ა ტ ი ა ნ ა — მე ვადმომკარით?..

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (შემკრთალი წამოხტება). ღმერთმა დამიფაროს! რა ბრძანებაა? განა მე... მხეცი კი არ ვარ!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ლიბილით). ნუ წუხდებით... არ მწყინს. ტკივილის შეგრძნების უნარი უკვე დაკარგული მაქვს. (სინანულით). ყველაზე მეტს, რომ ჩემი წყენინება არ შეიძლება. პოლიამ, ელენემ, მამამ... ისინი იქცევიან მდიდრებივით, არაფრად ესაქმებათ, რას განიცდის, ეს რას ფიქრობს მათხოვარი... როცა ხედავს, როგორ შეექცევიან მდიდრები გემრიელ საქმელებს.

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (ფიჭმუხუნება). რა საჭიროა ეს დამცირება? იქვენი თავის პატივისცემა უნდა იცოდეთ...

ტ ა ტ ი ა ნ ა — კარგი... თავი დავანებოთ ამას. (პაუზა). მიაბზეთ რამე... თქვენს შესახებ! არასოდეს თქვენ არაფერი არ გითქვამთ თქვენ თავზე... რატომ?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — სავანი დილია, მაგრამ არასაინტერესო.

ტ ა ტ ი ა ნ ა — არა, მითხარით! რათ ცხოვრობთ ასე უცნაუ-

რად? ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი მგონიხართ... ისეთი რა შეგემთხვათ ცხოვრებაში?

ტეტერევი — (ცბილების ღრჭენით). რა შემემთხვა? ეპ, ეს გრძელი და მოსაწყენი ამბავი იქნება, ჩემი სიტყვებით რომ გიამბოთ...

მზისა და ბედის საქმენულად ბევრი ვიარე,
მაგრამ გაძრკენილი, ფენიშველი დაგბრუნდი უკან;
ამ წანწალში შემომაცვდა ტანისამოსი და იმედებიც
დაიფერფლენ ჩემი მას უკან.

ეს განმარტება მეტად ლამაზია ჩემთვის... თუმც მოკლე კია. ყოველივე ამას ისიც უხდა დაუმატოთ, რომ რუსეთში მოსახერხებელია, თანაც უფრო უხიფათო ლოთობა და მაწანწალური ცხოვრება, ვიდრე ფიზიკურ, პატროსან და საქმიან კაცად ყოფნა. (შემოდიან პეტრე და ნილი). მხოლოდ პირდაპირ, მტკიცე და მახვილივით უღმობელ ხალხს შეუძლია გზის გაკაფვა... ა, ნილი! საიდან?

ნილი — დეპოდან და ისიც ბრძოლის შემდეგ, სადაც ბრწყინვალედ გავიმარჯვე. ეს მუხისთავა დეპოს უფროსია...

პეტრე — უმჯველია, მალე დაგიბრუნებენ სამსახურიდან...

ნილი — სხვას ვიშოვი...

ტატიანა — იცი, პიოტრ, შიშკინი პროხოროვს წაჩხუბებია და ვერ გაუბედავს ყოველივე ეს პირადად გითხრას...

პეტრე — (გულმოსული). დალაზეროს ეშმაკმა იმისი თავი! ეს... აღმაშფოთებელია. პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს პროხოროვთან! ბოლოს და ბოლოს, საშუალებას მართმევს სხვა ამხანაგებსაც გამოვადგე...

ნილი — ნუკი ბრაზობ. ჯერ ის გაიგე, ვინ არის დამნაშავე?

პეტრე — ვიცი!

ტატიანა — შიშკინს არ მოსწონს, რომ პროხოროვი ანტი-სემიტია...

ნილი — (სიცილით). ოხ, რა დიდებული ყვინჩილა!

პეტრე — რა თქმა უნდა! შენ ეს მოგწონს. არც შენ გაგაჩნია სხვისი შეხედულებებისადმი პატივისცემის უნარი... ნამდვილი ველურები ხართ!

ნილი — დაიცა! შენ კი პატივს სცემ ებრაელთა მოძულეს?

პეტრე — ყოველ შემთხვევაში, ჩემ თავს ნებას არ მივცემ ყელში ვსწვდე ვინმეს.

ნილი — მე კი, ვწვდები...

ტეტერევი — (ათვლიერებს რიგრიგობით ორივეს). სწვდი!

პეტრე — დაიცათ, ვინ მოგცათ... ვინ მოგცათ ამის უფლება?..

ნილი — უფლებას არ იძლევიან. ბრძოლით მოიპოვებენ... ადამიანსა უფლება ბრძოლით უნდა მოიპოვოს, თუ არ უნდა, გათვლილ აქსას რაღაც უხეში ვალდებულებებით...

პეტრე — მოითმინე!

ტატიანა — (ნაღვლიანად). აჰა, კამათი იწყება... დაუსრულებელი კამათი! ნეტავი, როგორ არ მოგებურდათ?!

პეტრე — (თავშეკაფებით). მაპატიე, მეტს აღარ! მართალი ვიყავი, ეს შიშკინი მაყენებს ისეთ...

ტატიანა — მესმის... ბრიყვია!

ნილი — პირიქით, დიდებულია! არამცთუ ფეხს არ დაგაბიჯებინებს, თითონ მოგასწრებს და გაგსრესს. კარგია, როცა კაცს ადამიანური ღირსების ამოდენა გრძნობა აქვს...

ტატიანა — ამდენი ბალღობა გინდოდა გეთქვა, ხომ?

ნილი — არა, არ შევემცდარე, დეე ბალღობა იყოს, მაინც კარგია!

პეტრე — სასაცილოა...

ნილი — როდესაც უარს ამბობს უკანასკნელ ლუკმა პურზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არასიმპატიურ კაცის მიერ არის გამოწვეული...

პეტრე — ეს იმას ნიშნავს, რომ არ შია... ვიცი, შემომეკამათებო შენც ისეთი ხარ... შენც... ბალღი ხარ... აი, ყოველ ნაბიჯზე ცდილობ აგრძნობინო მამას, რომ არავითარ პატივს არ სცემ... აბა რა საჭიროა ეს?

ნილი — რათ უნდა დავმალო?

ტეტერევი — ყრმალ ჩემო უგუნურო, წესიერება მოითხოვს, რომ ადამიანები ტყუოდნენ...

პეტრე — კი მაგრამ, რა აზრი აქვს ყოველივე ამას? რა აზრი?..

ნილი — ერთმანეთისას ჩვენ ვერას გავიგებთ... ამიტომაც არავინს გეტყვი. ყველაფერი, რასაც მამაშენი აკეთებს ან ლაპარაკობს, მჯობილება...

პეტრე — შეიძლება... მეც მეზიზღება, მაგრამ თავს ვიკავებ. შენ კი მულამ აბრაზებ... და ამ ბრაზის საფასურს ვიხდით ჩვენ... მე და ტანია...

ტატიანა — კარგი, გეყოფათ! ნუთუ არ მოგეწყინათ! (ნილი უხედავს მას და მიდის მაგილისაკენ).

პეტრე — გაწუხებს ჩვენი ლაპარაკი?

ტატიანა — მომბეზრდა. სულ ერთი და იგივე, სულ ერთი...

და იგივე. (შემოდის პოლია სარქვეთ. მომღიპარ ნილს შეხედავს, მერე ყველას შეათვალიერებს და ლაპარაკობს).

პოლია — უცქირეთ, როგორ ნეტარებს!

ტეტერევი — რა გაცინებს!

ნილი — მე? გამახსენდა, როგორ გავთათხე დეპოს უფროსი... საინტერესო რამე კი არის ეს ცხოვრება!

ტეტერევი — (ბოხი ხმით). ამინ!

პეტრე — (მხრების აჩეჩვით). საკვირველია! თპტიმისტები, ალბათ, ბრემებად იბადებიან.

ნილი — თპტიმისტი ვარ, თუ სხვა რამ, ეს სულერთია, მაგრამ ცხოვრება მაინც მომწონს. (აღგება და აქეთ-იქით დაღის). დიდებული რამ არის ცხოვრება!

ტეტერევი — კი, საყურადღებოა.

პეტრე — თუ ამას მართლა გულწრფელად ფიქრობთ, სასაცილონი ხართ ორივენი!

ნილი — შენ? არც კი ვიცი, რა გიწოდო! მე ვიცი, და ეს არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ შენ შეყვარებული ხარ, შენც — უყვარხარ. აი, თუნდაც ამიტომ, ნუთუ არ გინდა იმღერო, იცეკვო? ნუთუ არც ეს გახარებს? (პოლია ყველას ამაყად უცქერის სამოვრის იქედან. ტატიანა მოუსვენრად წრიალებს, უნდა ნილის სახე დაინახოს. ტეტერევი იღიმება და ჩიბუხს ბერტყავს).

პეტრე — შენ ზოგი რამ გავიწყდება. პირველი — სტუდენტისათვის ცოლის თხოვა შეუძლებელია, მეორეც — ამის გამო დიდი ბრძოლა მომელის მშობლებთან, მესამეც...

ნილი — უპ, დედაჩემო! ეს რა ამბავია! მხოლოდ ესღა დავრჩენია, რომ თავს უშველო და გაიქცე! უდაბნოში გაიქცე! (პოლია იღიმება).

ტატიანა — შენ ოინბაზობ, ნილ...

ნილი — არა, პეტრუხა, არა. შეყვარებულიც რომ არ იყო, სიყვარული მაინც დიდებული რამ არის. საძაგელ ორთქლმავალზე მგზავრობა შემოდგომის ღამით... ქარსა და წვიმაში... ან ზამთრის ქარბუქში, როცა შენს ირგვლივ სივრცე არა ჩანს, მთელი დედამიწა წყვდიადითა და თოვლით არის მოცული... მომქანცავია, თუ გინდათ მართალი გითხრათ... სახიფათოც, მაგრამ ამაშიც არის თავისებური რაღაც ხალისი და მშვენიერება! დიახ, მაინც არის! ოღონდ ისა მწყინს, რომ მე და სხვა პატიოსან ხალხს ღორები, რეგვენები და ქურდები უბრძანებენ... მაგრამ ეს არაფერია, ცხოვრება მთლად მათ არ ეკუთვნით! ისინი ჩაივლიან, გაჰქრებიან, როგორც ჯანსაღ სხე

ულზე მუწუკები. არ არსებობს მოძრაობის ისეთი განრიგი, რომ არ შეიცვალოს.

პეტრე — ეს არაერთხელ მსმენია შენგან. ვნახოთ, ცხოვრება რა პასუხს გაცემს.

ნილი — ვაიძულე, რომ ის მიპასუხოს, რაც მე მინდა. ნუ მამინებ! შენზე უკეთ ვიცი, რომ ცხოვრება სამძიმოა, რომ ის ზოგჯერ შემზარავად მკაცრია, აღვირახსნილი, უხეში ძალა ქყლეტს და ავიწროებს ადამიანს. ეს კარგად ვიცი, არ მომწონს და მაშფოთებს კლდე. არ მინდა ასეთი წესწყობა! კარგად ვიცი, რომ ცხოვრება სერიოზული საქმეა, მაგრამ მოუწყობელი... და მის მოწესრიგებას მთელი ჩემი ძალ-ღონე არ ეყოფა. ისიც ვიცი, რომ დევგმირი არ ვარ... ერთი უბრალო პატიოსანი და ჯანსაღი ადამიანი ვარ და მაინც ვამხობი არაფერია! ჩვენსას გავიტანთ! და მთელი ჩემი სულიერი შესაძლებლობით ვიკმაყოფილებ ცხოვრების ორომტრიალში ჩარევის სურვილს... მოვზილო იგი ხან ასე და ხან ისე... ამას ხელი შევუწყო, ამას — შევუშალო... აი ეს არის სიცოცხლის აზრი და სიხარული!

ტეტერევი — (სიცილით). აი მეცნიერების უღრმესი აზრი! მთელი ფილოსოფიის არსი! ყველა სხვა ფილოსოფოსებს კრულა და შეჩვენება!

ელენე — (ყარბში). რა მიზეზის გამო ყვირიან და იქნევენ ხელებს?

ნილი — (მივარდება). ქალბატონო! თქვენ გამიგებთ. მე ახლა დიდებას ვუმღერდი სიცოცხლეს! აბა მითხარით, სიცოცხლე ხომ სიამოვნებაა?

პოლია — (ხმადაბლა). სიცოცხლე ძალიან კარგია!

ელენე — ვინ არის წინააღმდეგი?

ნილი — (პოლიას). ეჰ! შენ... ჩემო წყნარო!

ელენე — აბა, ჩემი თანდასწრებით აქ ნუ არშიყობთ!

პეტრე — დალახვროს ეშმაკმა! თითქოს მთვრალი იყოს... (ტატიანა ტახტის საზურგეზე გადაჰკიდებს თავს, ნელა ასწევს ხელებს და სახეზე იფერებს).

ელენე — მოითმინეთ! ჩაის სმას აპირებდით? მე კი თქვენი დაბატოება მინდოდა... რახან ასეა, მეც თქვენთან დავრჩები. დღეს აქ მსიარულებათა. (ტატიანას). მხოლოდ ეს ბრძენი ყვავი, რას იფხოჩება, რაშია საქმე?

ტეტერევი — მეც მსიარულად ვარ. მე ასე ვიცი — სიხარულს დუმილით გამოვხატავ, მოწყენილობას კი — ხმაურით...

ნილი — როგორც ყველა დიდად გონიერი და პირქუში ნავა-

ელენე — არსად არ მინახავხართ არც მხიარული და არც მოწყენილი, მხოლოდ მოფილოსოფოსეს კი გზედავდით! იცით, ბატონებო, იცი, ტატინა! ეგ მე ფილოსოფიას მასწავლის. გუშინ მთელი ლექცია წამიკითხა საკმაო საფუძვლიანობის კანონის შესახებ. ოხ, დამავიწყდა, როგორ გამოითქმება ეს საკვირველი კანონი?

ტეტერევი — (ღიმილით). არა არის რა უსაფუძვლო, რამეთუ იგი არს...

ელენე — გესმით? აი, რა ბრძნული რამ ვიცი. თქვენ კი არ იცით, რომ ეს კანონი — წარმოადგენს... წარმოადგენს სწორედ ამ ფილოსოფიურს სიტყვას... რაღაც კბილის მსგავსს, იმიტომ, რომ მას ოთხი ფესვი აქვს... ხომ ასეა?

ტეტერევი — შეკამათებს ვერ გაგიბედავთ...

ელენე — რა თქმა უნდა! აბა ერთი გაბედეთ! ფესვი პირველი შეიძლება, პირველი არც იყოს, — კანონი ყოფიერების საკმაო საფუძვლიანობისა... ყოფიერება — კი მატერიაა სხვადასხვა სახით მოცემული... აი მე, მატერია ვარ, რომელსაც უსაფუძვლოდ როდი მიმიღია — ქალის სახე... მაგრამ — სრულიად უსაფუძვლოდ ვარ მოკლებული ყოფიერებას. ყოფიერება მარადიულია, მატერია კი ათასნაირი სახით გვევლინება და ფიუიტი! გაჰქრა! სწორია?

ტეტერევი — არაუშავს, როგორმე გამოდგება.

ელენე — ისიც ვიცი, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. აპრიორი და აპოსტერიორი, მაგრამ რანი არიან ისინი — დამავიწყდა! თუ ყოვლად ბრძნულ ამბებისაგან არ გავმელოტდი, ჰკვიანი ქალი ვიქნები! მაგრამ ყველაზე საყურადღებო და უგონიერესი მთელ ამ ფილოსოფიაში ეს არის: რათ ლაპარაკობთ, ტერენტი ხრინსაფოვიჩ, ჩემთან ფილოსოფიაზე?

ტეტერევი — იმიტომ რომ... ჯერ ერთი, სასიამოვნოა თქვენი ცქერა...

ელენე — გმადლობთ! მეორეც ალბათ არ არის საინტერესო.

ტეტერევი — მეორეც, იმიტომ რომ მხოლოდ ფილოსოფოსობის დროს არ ცრუობს ადამიანი, ვინაიდან ის თხზავს...

ელენე — ვერაფერი გავიგე! ჰო, მართლა, როგორ გრძნობთ თავს, ტანია? (პასუხს არ დაელოდება). პიოტრ... ვასილევჩი! რითი ხარო უკმაყოფილო?

პეტრე — საკუთარი თავით.

ნილი — და სხვა დანარჩენით, არა?

ელენე — იცით, ძალიან მინდა, რომ ვიმღერო! სამწუხაროა.

რომ შაბათია და მწუხრის წირვა არ გამოსულა... (შემოდიან მოხუცები. ის, მოდიან კიდევ მორწმუნენი). გამარჯობათ...

ბესსემენოვი — (მკვახლად). მადლობას მოგახსენებთ...

აკულინა ივანოვნა — გაგიპარჯოთ! დღეს აკი ვნახეთ ერთმანეთი.

ელენე — ოჰ, მართლა! სულ დამავიწყდა... სხვა... ეკლესიაში რომ არ ცხელოდა?

ბესსემენოვი — იმიტომ კი არ დავდივართ ეკლესიაში, რომ პაევა ვზომოთ.

ელენე — (დარცხენით). ო, რა თქმა უნდა, შე ის მინდოდა მეცათხა, რომ... ხალხი ბლომად თუ იყო-მეთქი?

აკულინა ივანოვნა — არ დაგვიტვლია, გეთაყვა!..

ბოლია — (ბესსემენოვს). ჩაის მიირთმევთ?

ბესსემენოვი — ჯერ ვივანშმებთ... დედაკაცო... წადი და რამე გაამზადე. (აკულინა ივანოვნა ცხვირაბზუებით გადის. ყველანი სდუმან. ტატინა ეღვინეს დახმარებით დგება და მაგიდისაკენ გადადის. ნილი ტატინას დედას ეღვინება. პეტრე დადის ოთახში. ტეტერევი პიანინოსთან ზის და ღიმილით ყველას უთვალთვალავს. პოლია სამოვართანაა. ბესსემენოვი კუთხეში სკივრზე ზის; როგორც ვახდა ეს ხალხი, ქურდებად გადაიქცნენ. პირდაპირ საკვირველია! ახლა, ეკლესიაში რომ მივდიოდით — ჭიშკართან ტახტში ფეხი რომ არ დამსვროდა, ფიცარი გავდე. ვბრუნდები უკან და ფიცარი აღარ არის... ვიღაც ქურდ-ბაცაცას აუწაპნავს. გათახსირდა ქიეყანა... (პაუზა). ძველად ასეთი ქურდობა როდი იყო... ყაჩაღობდნენ, იმიტომ, რომ ხალხი უფრო დიდსულოვანი იყო... ასეთი წყრილობისთვის თავს აბა როგორ შეირცხვენდნენ... (ქუჩაში, ფანჯრის ქვეშ გარმოშვის ხმა გაისმის). დახე — მღერიან. შაბათია და მღერიან.

მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნები... (მღერა ახლოვდება, ორ ხმაზე მღერიან. ხელოსნები იქნებიან. მუშაობის შემდეგ სამიკიტნოში წავიდოდნენ და, რაც აიღეს, იქ შესვამდნენ... ახლა ჩხავიან. (სიმღერა უახლოვდება ფანჯარას. ნილი სახით მინას ზეკრდობა და ქუჩაში იცქირება). ორ წელიწადს ძლივძლივობით გააჩანჩალებენ და გათავდა! მაწანწალებად, ქურდბაცაცებად გადაიქცე-

ნილი — ძალიან მარჯვედ საუბრობდით ბებრებთან.

ელენე — თავს მასთან მუდამ როგორღაც უხერხულად ვგრძნობ... ვიცი, არ ვუყვარვარ... და რატომღაც არ მსიამოვნებს... მწყინს კიდევ! ნეტავ ვიცოდე, რათ ვეჯავრები?

პეტრე — არსებითად ის კეთილი მოხუცია... მაგრამ დიდად თავმოყვარეა...

ნილი — ცოტა ხარბიცაა... ცოტა ბოროტიც.

პოლია — ჩუ! რათ ლაპარაკობ მის ძვირს ზურგს უკან! ეს არ არის კარგი!

ნილი — არც სიხარბე და სიძუნწეა კარგი.

ტატიანა — (მკვახლდ). წინადადება შემომაქვს, შევწყვიტოთ ეს საუბარი... ამ საკითხის განხილვა... მოსალოდნელია, რომ მამა ყოველ წუთში შემოვა... ეს უკანასკნელი სამი დღეა, რაც ის... არ ილანძღება... ცდილობს ყველასთან კარგად იყოს...

პეტრე — რაც ძვირად უჯდება მას...

ტატიანა — ეს უნდა დავაფასოთ... ის მოხუცია... განა ის დამნაშავეა, რომ ჩვენზე ადრე დაიბადა... და ისე არ მსჯელობს, როგორც ჩვენ... (გაანჩხლებული). რამდენად სასტიკია ადამიანი! ჩვენ ყველანი უხეშნი და უღმობელნი ვართ! ჩვენ გვასწავლიან ერთმანეთის სიყვარულს... გვეუბნებიან, იყავით კეთილნი... იყავით სათნონი...

ნილი — (ტატიანას კილოზე). და ამავე დროს თავს გვასხდებიან და გვაჭენებენ... (ელენე ხარხარებს. პოლია და ტეტერევი იღიმებიან. პეტრეს უნდა რაღაც უთხრას ნილს და მიდის მისკენ. ტატიანა საყვედურის ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნევს).

ბესსემენოვი — (შემოდის, უკმაყოფილოდ გადახედავს ელენეს). პელაგია! იქ, სამზარეულოში, მამაშენია... წადი და უთხარი, რომ... სხვა დროს მოვიდეს... როცა ფხიზელი იქნება... დიას! უთხარი მამაჩემო — შინ წადი-თქო — უთხარი... და სხვა ამგვარი! (პოლია და შემდეგ ნილი გადიან).

ბესსემენოვი — შენც... წადი... შეხედე შენს მომავალს... მმ... (სწყვეტს სიტყვას და სწრაფად ჯდება მაგიდასთან). რას გაჩუმებულხართ? ვატყობ, როგორც კი კარებში გამოვჩნდები, იმ წამსვე პირს მოკუშავთ...

ტატიანა — ჩვენ თქვენს მოსვლამდე... ბევრი ვილაპარაკეთ...

ბესსემენოვი — (შეშფეპუ უცქერის ელენეს). მამ რაზე იცინოდით?

პეტრე — ისე... რაღაც სისულელეზე! ნილმა...

ბესსემენოვი — ჰო, ნილი? ყველაფერი მისი გამოისობით მჭირს... ვიცი.

ტატიანა — ჩაი დაგისხათ?

ბესსემენოვი — დამისხი...

ელენე — მომეცი, ტანია, მე დავასხამ...

ბესსემენოვი — არა, თქვენ რატომ უნდა გაისარჯოთ. ჩემი შვილი დამისხამს...

პეტრე — სულ ერთი არ არის, ვინც დაასხამს? ტანია შეუძლოდა...

ბესსემენოვი — ეს შენ არ გეკითხება... თუ შენთვის ფცხო ხალხი საკუთარ დაზე ახლობელია...

პეტრე — მამაჩემო! როგორ არ გრცხვენია?

ტატიანა — დაიწყო პეტრე, იყავ გონიერი.

ელენე — (ნაძალადეოდ იღიმება). განა ღირს... (ყარი ნელა იღება და შემოდის პერჩინი. ის გადაკრულშია, მაგრამ არც ისე).

პერჩინი — ვასილ ვასილევჩი! მე აქ მოვედი... შენ იქიდან გამოხველი და მეც... დაგედევნე...

ბესსემენოვი — (არ უცქერს). მოსულხარ, დაჯექი... აი ჩაი, დალიე...

პერჩინი — არა-ა, ჩაი არ მინდა! თვითონ მიირთვი, დმეტრია შეგარგოს... მე სათქმელი მაქვს...

ბესსემენოვი — რაა სათქმელი? ყოველივე ფუჭი საქმეა!

პერჩინი — ფუჭი? ნუთუ? (იცინობ). საკვირველი კაცი ხარ. (მისი შემოდის და კარადასთან აყუდებული მკაცრად უყურებს ბესსემენოვს). მისი დღეა შენთან წამოსასვლელად ვემზადები და ამა მოვედი...

ბესსემენოვი — ჰო და, კეთილი...

პერჩინი — ვითომ კეთილი? ვასილ ვასილევჩი, ჰკვიანი კაცი ხარ, მდიდარი ხარ... მაგრამ ახლა შენს სინილისთან მოვედი!

პეტრე — (მიდის ნაღთან). აქ რათ შემოაუშვი?

ნილი — თავი დაანებე. ეს შენ არ გეხება.

პეტრე — ყოველთვის რაღაც უცნაური უნდა ჩაიღინო. და-ღახეროს ეშმაკმა...

პერჩინი — (უყურებს პეტრეს). ბერი კაცი! დიღინანია რაც გიცნობ...

ბესსემენოვი — (გულმოსული). მერე რა გნებავს?

პერჩინი — ერთი ეს მითხარი, ამას წინათ შენი სახლიდან რათ გამოგდე? ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი! შენ მაინც მითხარი, მამო! კეთილი გულით მოვედი შენთან... გესმის?... სიყვარულით...

ბესსემენოვი — ავი განზრახვით მოხვედი... გაიგე?!

ტატიანა — პეტრე! მიშველე... დაუძახე პოლიას... (პეტრე გადის).

პერჩინი — აი, პოლია! ჩემი კარგი გოგონა, ჩემი უმანკო

ჩიტი... იმის გულისთვის გამაგდე, არა? ხომ მართალია? იმისთვის, რომ ტატიანას საქმრო გადაიბირა?

ტ ა ტ ი ა ნ ა — ოჰ, რა უახრობაა... რა საძაგლობაა...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (ნელა წამოდგება). ფრთხილად, პერჩინინს მეორედ...

ე ლ ე ნ ე — (ნილს ხმადბლა). გაიყვანეთ აქედან... წაიხსუბებთან...

ნ ი ლ ი — არ მინდა...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — მეორედ ვერ გამაგდებ, ვასილ ვასილიჩ! არაფრისთვის... პოლია... მიყვარს... კარგი გოგო მყავს! მაგრამ ამას მაინც ვერ მოვუწონებ... არა, ძმაო, ვერ მოვუწონებ, ვერა... სხვისი ლუკმა აბა რათ უნდოდა? ეს არ არის კარგი...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ლენა! ჩემს ოთახში მივდივარ... (ელენე ტანის მხარში ამოუღდება. გაუვლიან ნილს და ხმადბლა ეტყვის). როგორ არა გრცხვენია! აქედან გაიყვანე.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (თავშეკავებით). პერჩინინ! ხმა ჩაიგდე! ჩუმიად იყავი ანდა შინ წადი... (შემოდის პოლია, შემდეგ პეტრე).

პ ე ტ რ ე — (პოლიას). დამშვიდდით... გთხოვთ...

პ ო ლ ი ა — ვასილი ვასილიჩ! რათ გავიგდიით მამაჩემი? (ბესსემენოვი ხმის ამოუღებლად და მკაცრად რიგრიგობით უცქერის ყველას).

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ჩუმად, შვილო! ხმა! კრინტი!.. უნდა ვაიგო... ტატიანამ თავი მოიწამლა და რატომ? ჰა-ა? ვასილ ვასილევიჩ, ხედავ? მე, ძმაო, ყველას და ყველაფერს სისწორით განვსჯი... სინდისიერად... როგორც საჭიროა! უბრალოდ...

პ ო ლ ი ა — მოიცა, მამაჩემო...

პ ე ტ რ ე — მომითმინე, პოლია...

ნ ი ლ ი — ჩუმად იყავი...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — პელაგია, რას გეტყვი?.. კადნიერი ქალი ყოფილხარ...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ეგა? არა, გეთაყვა... ჩემი გოგონა...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — შენ ჩუმად იყავ! მე აქ რაღაც ვერ გავრკვეულვარ... ვისია ეს სახლი? მითხარით, ვინ არის აქ სახლის პატრონი? ვინ არის მსაჯული?

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — მე! რიგრიგობით განვსჯი ყველას და ყოველივეს... პირველი — სხვისას ხელს ნუ ახლებ! აიღე? უკან დაუბრუნე — ეს მეორე.

პ ე ტ რ ე — (პერჩინინს). გამიგონე, გეყოფა ყბედობა! წამოდი ჩემთან...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — არ მიყვარხარ, პიოტრ... ამპარტავენი და ფუყე კაცი ხარ! არაფერი არ გაგეგება... აბა მითხარი, რა არის კანალი-

ხალია? მითხარი, ძმობილო... (პეტრე სახელურში მწევა). დაიცა, ხელი გასივნი...

ნ ი ლ ი — (პეტრეს). თავი დაანებე...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (ნილს). შენ აქ რა ამბავში ხარ? ძაღლებს უსისინებ, თუ რა?

ნ ი ლ ი — არა, მინდა ვაიგო, რაშა საქმე. მინდა ვიცოდე რა დაშავა პერჩინინმა? რათ გავიგდიით და რა შუაშია აქ პოლია?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — როგორ? დაკითხვასაც მიბედავ?

ნ ი ლ ი — თუნდაც ევრე იყოს! შენც ადამიანი ხარ და მეც...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (გაცეცხლებული). არა, შენ არა ხარ ადამიანი... შენ შხამი ხარ! მხეცი ხარ!

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ჩუ-შ! წყნარად! მშვიდად, სინდისიერად უნდა...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (პოლიას). შენ კი, გველი ხარ! მათხოვარია...

ნ ი ლ ი — (ცბილების ღჭენით). აბა, ნუ ყვირით!

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — რაო? გაეთრიე აქედან! გველის წიწილი... ჩემი ოფლით და სისხლით გამოგზარდე...

ტ ა ტ ი ა ნ ა — (თავის ოთახიდან). მამაჩემო! მამა!

პ ე ტ რ ე — (ნილს). აჰა! ამას უცდიდი! ეხ, შეგრცხვეს მაინც!

პ ო ლ ი ა — (ხმადბლა). ნუ... ნუ მიბედავთ ყვირილს! მე თქვენნი მისი კი არა ვარ... ყველას დაჩაგვრის უფლება თქვენ არა გაქვთ... მეტყვეით თუ არა, რათ გააგდეთ სახლიდან მამაჩემი?

ნ ი ლ ი — (მშვიდად). მეც ამას ვკითხულობ... აქ საგიყეთი ხომ არ არის?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (წყნარად, თავშეკავებით). წადი, ნილ, ცოდვილი არ გაერიო! წადი! ერთი ამას უცქირეთ?.. მე ვაჭმევდი... მე გეცხარდე...

ნ ი ლ ი — პურს ნუ მაყვედრით! რაც მიჭამია, ყველაფერი ავიხსოვლურე.

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — შენ... სული ჩაყლაპე ჩემი... ავაზაკო!

პ ო ლ ი ა — (მოჰკიდებს ნილს მკლავში ხელს). წავიდეთ აქედან!

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — გასწი... გასრიალდი, გველო, აქედან! სულ შენა ხარ... შენი მიზეზით... ქალიშვილი შენ დამიგესლე... წყეულო... შენი მიზეზით ჩემმა ქალმა...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ვასილ ვასილევიჩ! წყნარად! მშვიდად... სინდისიერად!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ყვირის). მამაჩემო! აბა რას ამბობ, რას? პეტრე, შენ რაღას გაჩუმებულხარ? (გამოჩნდება კარებში, უმწეოდ გაიშვებს ხე-

ლებს და შუა ოთახში გამოვა). პეტრე, რა საჭიროა ყოველივე ეს? ოხ? ღმერთო ჩემო! ტერენტი ხრისანფოვიჩი! უთხარით იმათ... ნილი!.. პოლია! წადით აქედან ღვთის გულისთვის! წადით! რა საჭიროა ყოველივე ეს... (ყველანი უაზროდ ფუსფუსებენ. ტატერევი კბილების ღჭენით ნელ-ნელა დგება სკამიდან. ბესსემენოვი ქალიშვილის წინ და უკან იხევს. პეტრე დას ხელს შეაშველებს და აქეთ-იქით დაბნეული იტყობება).

პოლია — წავიდეთ!

ნილი — კარგი! (ბესსემენოვს). მაშ, ჩვენ მივდივართ! მწყინს, რომ ასეთი აღრზაურით გათავდა ყოველივე ეს.

ბესსემენოვი — წადი, წადი... და ესეც წაიყვანე...

ნილი — უკან აღარ დაებრუნდები...

პოლია — (ხმადაბლა, ათრთოლებული ხმით). განა ჩემი ამაში გამტყუნება... შეიძლება? ტანიას გამო... ჩემი გამტყუნება? მე ვარ მტყუნანი? თქვენ უსიტცხვილო ხართ!

ბესსემენოვი — (გახელებული). წახვალთ თუ არა?

ნილი — წყნარად!

პეტრე — ნუ ცხარობთ! გეთაყვათ! წყნარად! მშვიდად...

პოლია — მშვიდობით! წამოდი, მამა!

ნილი — (პეტრეის). წავიდეთ!

პეტრე — ა-არა, თქვენთან არ წამოვალ... ეს ხელს არ მოძლევის... მე ჩემდა თავად... ტერენტი! მე მარტოხელა კაცი ვარ... ჩემი საქმე სუფთაა.

ტეტერევი — ჩემთან წავიდეთ.

პოლია — წამოდი! წამოდი, ვიდრე არ გაუგდისხარ!

პეტრე — არა... არ წამოვალ... ტერენტი, მათთან ერთად წასვლა მე ხელს არ მომცემს! მესმის...

პეტრე — (ნილს). წადით... ეშმაკმა დალახვროს!

ნილი — მივდივარ... მშვიდობით... შენც კარგი ვინმე ყოფილხარ რაღა...

პოლია — წავიდეთ, წავიდეთ... (მიღიან).

ბესსემენოვი — (მათ გასვლისთანავე). დაბრუნდით! ბოღიში მოიხადეთ!

პეტრე — კარგი მამა, გეყოფა!

ტატიანა — მამაჩემო! ჩემო კარგო... ნუ ყვრი...
ბესსემენოვი — შეჩერდით!.. მოითმინეთ!..

პეტრე — ესეც ასე... წავიდნენ... კარგიც ქნეს! იყვნენ თავისთვის!

ბესსემენოვი — წასვლის წინ უნდა მეტყვა მათთვის... არა-მზადებო-მეთქი! მე იმისთვის ვაჭამე... ვასვი... (პეტრეის). შენ, ბე-

ჩემო ყარყუმო! ბრიყვო! მოხვედი, იბურტყუნე და... აბა, რა გინდა, ერთი მითხარი? რა?

პეტრე — კარგი, გეყოფა მამაჩემო!

პეტრეისი — ვასილ ვასილევინი! აბა რა გაყვირებს, ჰა?.. მე და ჩემმა ღმერთმა ახირებული კაცი ხარ, მაგრამ რა ვქნა, პატივს გცემი მართალია, ბრიყვი ვარ! მაგრამ ყველას გზა-კვალი მაინც ვიცი.

ბესსემენოვი — (აღება სავარძელში). გონება გამეფანტა! არ მესმის... რა მოხდა? როგორც ზაფხულის პაპანაქებაში... უეცრად ხსიძარი რომ გაჩნდება... ამბობს არ დაებრუნდებიო... დახე, რა უბრალოდ! ერთი ამას უყურეთ... არა... არა... ამას ვერ დავიჯერებ...

ტეტერევი — (პეტრეისს). აბა, აქ რა გინდა? რა საჭირო ხარ?

პეტრეისი — წესრიგისათვის... მე, ძმაო, მარტივად ვმსჯელობ... ერთი, ორი! მორჩა და გათავდა! ის ჩემი ქალია? კეთილი და პატიოსანი... მაშასადამე, უნდა კიდევ... (უცებ გაჩუმდება). ცუდი მამა კარ... არაფერიც არ უნდა... დეე იცხოვროს, როგორც მოესურვება! ტანიო კი მეცოდება... ტანიო, იცი, მებრალეები... ძმანო, ყველანი მებრალეები! ეჰ-ჰე!.. თუ სინდისიერად განვსჯით, ყველანი ბრიყვები ხართ!..

ბესსემენოვი — გაჩუმდი!

პეტრე — ტანიო! ელენა ნიკოლაევიწა წავიდა?

ელენე — (ტანიას ოთახიდან). აქ ვარ... წამალს ვამზადებ...

ბესსემენოვი — აზრები სულ დამეხლართა... არაფერი არ გამეგება... ნუთუ ნილი მართლა წავა?

იკულიანა ივანოვანა — (შემოდის შეშფოთებული). რა მოხდა? ნილი და პოლია იქ სამზარეულოში არიან... მე კი საეკუქნაოში ვიყავი.

ბესსემენოვი — წავიდნენ?

იკულიანა ივანოვანა — არა... პეტრეისს უხმობენ... პე-ლაგია მეუბნება, მამას უთხარითო... და თანაც ტუჩები უთრთის... ნილი კი ძალივით იღრინება... რა მოხდა?

ბესსემენოვი — (აღება). აი, ახლა... წავალ და...

პეტრე — მამაჩემო, არ არის საჭირო! ნუ მიდიხართ...

ტატიანა — მამილო! გთხოვთ ნუ... ნუ გინდა!..

ბესსემენოვი — რა არ მინდა?

იკულიანა ივანოვანა — რაშია საქმე?

ბესსემენოვი — გესმის... ნილი მიდის... სულ გვტოვებს...

პეტრე — მერე რა მოხდა? მიდის და კარგსაც შვრება... რაც გინდათ... ცოლს ირთავს... უნდა თავისი ოჯახი მოაწყოს...

ბესსემენოვი — ა! მამა განა... მე... მე უცხო ვარ მისთვის?

აკულინა ივანოვნა — რა გაწუხებს?.. ია და ვარდი ჰქენია. წავიდეს... ჩვენ ჩვენი შვილები გვყავს... (პერჩიხინს). რაღაც უყურებ? წალი!

პერჩიხინი — ისინი ჩემი თანამგზავრები არ არიან...

ბესსემენოვი — არა... ეგრე როდია საქმე... მიდიხარ? წალი! მაგრამ როგორ? როგორ წავიდა?.. როგორი თვალებით მიცქეროდა!.. (ელენე გამოდის ტატიანას ოთახიდან).

ტეტერევი — (პერჩიხინი მკლავგაყრილი მიყავს კარებისაკენ). წავიდეთ, თითო არაყი გადავხუხოთ.

პერჩიხინი — ეჰ! შე ღვთის ღუღუკო! ბრძენი კაცი ხარ... ბრძენი. (გაღიან).

ბესსემენოვი — ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან წავიდოდა... მაგრამ ამას კი არ მოველოდი. დახე იმ გომბიოს... რა გამიბედა... წავიდე ერთი, მე იმას ვუჩვენებ...

აკულინა ივანოვნა — კარგი, გეყოფა, ბერიკაცო! ისინი უცხონი არიან ჩვენთვის. რა გენადლეება? წავიდნენ და კარგიტქნეს!

ელენე — (პეტრეს ხმადაბლა). წამოდი ჩემთან...

ტატიანა — (ელენეს). მეც, მეც წამიყვანეთ...

ელენე — წამოდი... წავიდეთ...

ბესსემენოვი — (გაიგონა ელენეს სიტყვები). საით?

ელენე — ჩემთან.

ბესსემენოვი — ვის ეპატიყებით? პეტრეს?

ელენე — დიან... ტანისაც...

ბესსემენოვი — ტანია არაფერ შუაშია. პეტრას კი თქვენთან სიარული არ ესაჭიროება.

პეტრე — მოითმინე, მამაჩემო! მე... ბავშვი ხომ არა ვარ წავალ თუ არ წავალ ეს...

ბესსემენოვი — ვერ წახვალ!

აკულინა ივანოვნა — პეტრე! დაუთმე მამას! დაუთმე ვეთაყვა...

ელენე — (აღშფოთებული). მომითმინეთ, ვასილი ვასილევინი!

ბესსემენოვი — არა, სწორედ თქვენ მომითმინეთ, მართალია განათლებული ხალხი ბრძანდებით... თუმცა თქვენ ნამუსი და კარგეთ და არავისი პატივისცემა არა გაქვთ...

ტატიანა — (ისტერიული ყვირილით). მამაჩემო! შესწყვიტეთ!

ბესსემენოვი — ხმა, კრინტი! როცა შენი ბედობლის გამკვებელი არა ხარ, ჩუმად იყავი! საით? (ელენე მიდის კარებისაკენ).

პეტრე — (გაეიღება, წააგლებს ხელს). მომითმინეთ... ერთი წუთით... უმჯობესია უცებ... უნდა გავარკვიოთ...

ბესსემენოვი — უნდა მომისმინოთ... დამდეთ პატივი და მომისმინეთ. გამაგებინეთ, რაშია საქმე? (შემოდის პერჩიხინი, სახეგაბრუნებული და მხიარული, შემდეგ მომღიმარი ტეტერევი. ორნივე კარებში შედგებიან და ერთმანეთს გადახედავენ. პერჩიხინი თვალს ჩაუკრავს და ბესსემენოს ანიშნებს, მერე ხელს ჩაიჭნევს). ყველანი სადღაც მიდიან... არც გეუბნებიან, სად და რისთვის... უაზროდ... რაღაც ფუქსავატურად... სხვა არა იყოს, ეს უწესურია და საწყენიც! აბა, პეტრე, სად უნდა წახვიდე? რა ხარ შენ? როგორ გინდა იცხოვრო? რა უნდა აკეთო? (აკულინა ივანოვნა აქვითინდება. პეტრე, ელენე და ტატიანა ჯგუფად დგანან ბესსემენოს წინ; მის სიტყვებზე — სად უნდა წახვიდეო, — ტატიანა მიდის მაგილისაკენ, სადაც დედა დგას. პერჩიხინი რაღაცას ანიშნებს — ტეტერევეს, თავს აიჭნევს და ხელებს ააფრიალებს, თითქოს ჩიტებს აფრთხობდეს). ამის შეკითხვის უფლება მაქვს... ჯერ ანაღვარდა ხარ, ჯერ ბრიყვი ხარ! არმოცდათვრამეტი წელი პირუტყვულ შრომაში გამიტარებია და ჯერ ვისთვის? შვილებისთვის...

პეტრე — გამიგონია, მამაჩემო! ასჯერ მაინც...

ბესსემენოვი — ხმა! კრინტი!

აკულინა ივანოვნა — ახ, პეტრე, პეტრე!

ტატიანა — დედილო, თქვენ... არაფერი გაგეგებათ! (აკულინა თავს აჭნევს).

ბესსემენოვი — ჩუმად! რა შეგიძლია, რომ სთქვა? რას შეგიითთებ? ვერაფერს...

პეტრე — მამაჩემო, შენ მე მაწამებ! მეცა მაქვს გული. მეც...

აკულინა ივანოვნა — (უცებ ხმადაბლა). დაიცა! მეცა მაქვს გული... მეც მაქვს ხმა! შვილო ჩემო! რას შერებთ? რა გაყრახავთ? ვის დაეკითხე!

ტატიანა — ეს საშინელება! პირდაპირ ბლაგვი ხერხივით ხართ... თქვენ დაფლითეთ სული... სხეული...

აკულინა ივანოვნა — ეს დედაა — ხერხი? დედა?

ბესსემენოვი — დაიცა, დედაბერო! დააცადე... თქვას, რაც უნდა...

ელენე — (პეტრეს). კარგი, გეყოფათ! მეტი აღარ შემიძლია... ჩემი მივიღივარ.

პეტრე — დაიცათ... ღვთის გულისათვის! ეხლა ყველაფერი კარგდება...

ელენე — არა, ეს ნამდვილი საგიჟეთია! ეს...

ტეტრევი — ელენე ნიკოლაევნა, წადით! ამათ კი ჯანდა-
ბამდისაც გზა ჰქონიათ...

ბესსემენოვი — თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე! თქვენ...

ტატიანა — მოკლება ამას ბოლო თუ არა? პეტრე, წადი!

პეტრე — (თითქმის ყვირილით). მამაჩემო... დედა... შეხედეთ... აი
ეს არის ჩემი საცოლო! (პაუზა. ყველა პეტრეს უცქერის. აკულინა ივანოვნა
ხელებს გაასავსებებს და შეშინებული უცქერის. ქმარს. ბესსემენოვს
თითქოს უბიძგესო, მთელი სხეულით უკან მიაწყდება და თავს დაბლა წრის. ტა-
ტიანა ღრმად ამოისუნთქავს და ძირს დაშვებული ხელებით მიდის პიანინოსკენ).

ტეტრევი — (ხმადაბლა). ეს რა მარჯვე დრო შეურჩევია...

პეტრე — (წინ მიდის). მორჩა და ვათავდა! ესეც ასე, ყვე-
ლანი აქეთ-იქით გაფრინდნენ! არიქა, ბარტყებო, გამოფრინდით გა-
ლიებდინან, როგორც ჩიტები ხარებობა დღეს...

ელენე — (წაართმევს ხელს პეტრეს). გამიშვით! არ შემძლია...

პეტრე — (ბურტყუნებს). ახლა ყველაფერი ნათელია... უცებ...

ბესსემენოვი — (თავს უკრავს შვილს). მადლობა მომიხსენე-
ბია, ჩემო შვილო, ასეთი სასიხარულო ამბისათვის...

აკულინა ივანოვნა — (ტირილით). თავი დაიღუპე, პე-
ტრესკა! აბა ეგ რა შენი ტოლია?..

პეტრე — ეს? პეტრეს? რას ამბობ, ქალო? რას წარ-
მოადგენს პეტია?

ბესსემენოვი — (ელენეს ნელა). თქვენც მადლობა, ქალბა-
ტონო! ახლა ცხადია, სულ დაიღუპა. ამას ჯერ კიდევ უნდა ესწაე-
ლა... ახლა კი... ზორბაა! თუმცა ამას ვგრძნობდი... (ბოროტად). გილო-
ცავთ ნადავლს! პეტკა! ჩემგან დალოცვას ნუ მოელო! შენ კი გააბი-
მახეში, არა? შვილი მომტაცე? აი, შე მსუნაგო კატავ...

ელენე — როგორ მიზედავთ!

პეტრე — მამა! ხომ არ გაგიყდი!

ელენე — არა, მოითმინეთ! ეს მართალია! დიახ! მე მოგტაცეთ!
მე თვითონ პირველმა მივეცი წინადადება ცოლად შევერთე, გესძით
თქვენ, ბებერო ჭოტო? გაიგონეთ? მე გამოგტაცეთ! მეცოდება! თქვენს
მას აწამებთ... თქვენ ადამიანები კი არა, ჟანგი ხართ, ჟანგი! თქვენი
სიყვარული დამღუპველია მისთვის! თქვენ გგონიათ... ო, ეს მე ვი-
ცი! თქვენ ფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის ჩავიდინე? ძალიან
სცდებით!.. ოხ, როგორ მეზიზღებით!

ტატიანა — ლენა! ლენა! რა მოგდის!

პეტრე — ელენე... წავიდეთ!

ელენე — იცით, შეიძლება ჯვარიც არ დავიწერო... რა?.. გა-
გიხარდათ?.. ო, ეს სულ ადვილი მოსალოდნელია! გული ნაადრევად

გისკდებათ! ისე ვიცხოვრებ მასთან... უგვირგვინოდ, მაგრამ თქვენ კი
საინც არ დაგიბრუნებთ! არა! თქვენ მას მეტი ველარ აწამებთ. და
ისიც არასოდეს არ მოვა თქვენთან, არასოდეს! არასოდეს!

ტეტრევი — ვივატ, ვივატ ქალთა სქესს!

აკულინა ივანოვნა — ოხ, ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია
ჩვენს თავზე? რა?

პეტრე — (უბიძგებს ელენეს კარებისაკენ). გაღით, გაღით, წადით
ქედან!

ბესსემენოვი — (უშწოთ მიმოიხედავს). ეს რა ამბავია? (უცებ
ხამალა და სწრაფად). პოლიციას დაუძახეთ! (ფეხების ბარტყუნით). გამე-
ცალე ბინიდან! ხვალვე... ახ, შე!..

ტატიანა — მამილო! დამშვიდდი!

პეტრე — (გაკვირვებული. არაფერი არ გეგება). ვასილ ვასი-
ლევიჩი! გეთაყვა! რა მოგდის? რას ყვირი? სიხარულით მალაყს უნ-
და გადადიოდე... და შენ...

ტატიანა — (მიდის მამასთან). გამიგონეთ...

ბესსემენოვი — შენ კი!.. შენ... დარჩი? რატომ არ მიდი-
ხარ? შენც წადი... არავინ გყავს? ვასაქცევი გზა არა გაქვს? ხელი-
დან გამოგაცალეს? (ტატიანა უკან მიაწყდება და სწრაფად მიდის პიანინოს-
კენ. აკულინა ივანოვნა — დაბნეული და საცოდავი გაეჩანება მისკენ).

პეტრე — ვასილ ვასილევიჩი, ნუ დარდობ! აბა იფიქრე! პე-
ტია მინც არ ისწავლის... ანდა, რა საჭიროა? (ბესსემენოვი უაზროდ შეს-
ცქერის სახეში პეტრისის და თავს უქნევს). სარჩო-საბადებელი ბლომად
აქვს. ფული ხომ დაუგროვე?.. ცოლი მარწყვივით ქალია... შენ კი
ყვირი და ხმაურობ! ბრიყვო, გონს მოდი! (ტეტრევი ხარხარებს).

აკულინა ივანოვნა — (ზღუქუნებს). ყველამ დაგვეტოვა,
ჩველა გავექცა!

ბესსემენოვი — (მიმოიხედავს). დაჩუმდი, დედაკაცო! დაბ-
რუნდებიან... ვერ გაბედავენ! სად წავლენ? (ტეტრევის). შენ კი... რას
აღრქენ კბილებს? შენ წყეული ხარ! ბოროტი სული! გამშორდი სახ-
ლიდან! ხვალვე დაცალე ბინა! ყაჩაღების მთელი ხროვა ხართ!

პეტრე — ვასილ ვასილევიჩი!

ბესსემენოვი — მომწყდი თავიდან! უბადრუკო... მაწანწა-
ლა...

აკულინა ივანოვნა — ტანია, ტანეჩკა! ჩემო უღიბლო
შვილო! ეს რა მოგვივიდა? და ვინ იცის, კიდევ რა მოგველის!

ბესსემენოვი — ქალო! ყველაფერი იცოდი და სღუმდი?
შეთქმულებას აწყობდი მამის წინააღმდეგ! (უთაბ შეშინებული). შენ
გგონია, რომ... არ მიატოვებს? უნამუსო დედაკაცი ცოლად შეირთო?

ჩემმა შვილმა... შეჩვენებული ხალხი ხართ! შეჩვენებული... ფუქსა ვატი!

ტ ა ტ ი ა ნ ა — თავი დამანებეთ! მეტი არ შემძლია და თავი ნუ შემაძულეთ...

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — შვილო ჩემო! უბედურ დღეზე გაჩენილო! დაგვტანჯეთ! გვაწამეთ... რისთვის?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — მერე ვინ? ყველაფერში ნილია დამნაშავე... არაშადა! პეტრისაც იმან აუბნია თავგზა... ტანიაც იმის გამო იტანჯება! (დინახავს ტეტერვს). შენ კი, ბოგანოვ, ისევ აქა ხარ? გამეცალე სახლიდან!

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ვასილ ვასილევჩი! მაგას რაღას ერჩი? სულ გადაცდი ჭკუას, ბებერო!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — (შვილად). ნუ ზმურობ, ბერიკაციო! რაც გეულის, იმას ვერ მოიგერიებ... ნუ სწუხარ... შენი შვილი დაბრუნდება...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (სწრაფად). შენ... შენ... საიდან იცი?

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — შორს არ წავა, ღრობით ავიდა ზევით... ისიც ძალით შეათრის... მაგრამ ისევ ჩამოვა ძირს... შენ რომ მოკვდები, ის ამ ბოსელს ცოტათი შეაკეთ-შემოაკეთებს, ავეჯეულობასაც ადგილს შეუნაცვლებს და იცხოვრებს შენსავით ჭკუით, წყნარად და საამურად.

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — (ბესემენოვს). ხედავ? ბრიყვო! ფეთიანო! კაცს შენთვის სიკეთე უნდა... დასამშვიდებლად საამურ სიტყვებს გეუბნება. შენ კი ღრიალებ! ტერენტი ბრძენი კაცია...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ავეჯეულობას ადგილს შეუნაცვლებს — დიცხოვრებს იმ შეგნებით, რომ თავისი ვალი ცხოვრებისა და ხალხის წინაშე ჩინებულად მოიხადა. ის ხომ ისეთივეა, როგორც შენ...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — როგორც ორი წვეთი წყალი!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — მთლად შენ გგავს... ისეთივე მშინარა და რეგვენიც...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — (ტეტერვს). დაიცა! რას ამბობ?

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — ნუ კი ილანძღები, ილაპარაკე... როგორ მიბედავ?..

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — თავის ღროზე ხარბიც იქნება და ისეთივე ჯიუტი და სასტიკი, როგორც შენ ხარ. (პერჩიხინი გაკვირვებული შესცქერის სახეში ტეტერვს, ვერ მიმხვდარა, აშვიდებს ის ბებერს, თუ ლაშქარს, ბესემენოვიც ვერ გარკვეულა, მაგრამ ტეტერვის ლაპარაკი საინტერესოდ ეჩვენება). უბედურიც კი ისევე იქნება, როგორც შენ დღეს ხარ... ცხოვ-

რება წინ მიისწრაფის, ბებერო... ვინც ფეხს ვერ ააყოლებს, მარტო-ხელად, ეულად დარჩება...

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — აი, ხომ გესმის? მაშასადამე ყველაფერი თავის რიგზეა... შენ კი ბრაზობ!

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — დაიცა! დამეხსენ!

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — შენს საცოდავ და უბედურ შვილსაც ისევე არ დაზოგავენ და პირში მიახლიან სიმართლეს, როგორც მე გეუბნები. მოხარბი, რისთვის ცხოვრობდი ქვეყანაზე? რა კეთილი საქმე გიკეთებია? ...შენი შვილიც როგორც შენ ახლა ამ კითხვას, ვერაფერს ვერ უპასუხებს...

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — აი, შენ... ლაპარაკობ... შენ ყოველთვის დალაგებულად ლაპარაკობ! მაგრამ გულში რა გაქვს? არა, მე შენი არ მჯერა! ბინა მაინც უნდა დაცალო! კმარა... ბევრი გითმინეთ! შენც... ბევრ მავნე აზრებს თესავდი აქ...

ტ ე ტ ე რ ე ვ ი — ეჰ, მე რომ?!.. მაგრამ არა, მე არა... (მიღის).

ბ ე ს ს ე მ ე ნ ო ვ ი — (თავს გაიქნევს). კარგი... უნდა მოვითმინოთ, რა გაეწყობა! დავიცადოთ... მთელ ჩემ სიცოცხლეს ვითმენდი... კიდევ მოვითმენ! (მიღის თავის ოთახში).

ა კ უ ლ ი ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — (მისდევს ქმარს). აბა, ეს რა გვიყვებს შვილებმა?! რისთვის? რად ჩაგვამწარეს ეს სიბერე? (შედის თავის ოთახში. პერჩიხინი დგას შუა ადგილას განცვიფრებული და თვალებს ახმანამებს. ტატინა პიანინოსთან ზის და ეელური თვალებით უცქერის ყველაფერს. ბებრეხის ოთახიდან მოისმის ყრუ ლაპარაკი).

პ ე რ ჩ ი ხ ი ნ ი — ტანია! ტან! (ტატინა უცქერის მას და არ უპასუხებს) ტანია! რის გამო არის, რომ ზოგი გაიქცა და ზოგიც ტირის? ა? (უცქერის ტატინას, მერე ამოიოხრებს). უცნაურებია!.. (გასცქერის მოხუცების ოთახის კარებს და თავის ქნევით მიღის წინკარისკენ). სჯობია ისევე ტერენტისთან წავიდე... ბრიყვები! (ტატინა წელში ნელა იხრება და კლავიშებს ჩამოეყრდნობა. ოთახში გაისმის სიმების აუწყობელი და შერეული ხმები. სიმთა ბგერა თანდათან წყდება).

ფ ა რ დ ა